



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში





ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის №31 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 14/02/2023 №1, 03/05/2023 №8, 24/07/2023 №16 და 29/11/2023 №26 დადგენილებებით.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 308 727,2 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 343 456,8 ათასი ლარია. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 361 377,2 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 337 641,2 ათასი ლარი.

2023 წელს პრიორიტეტული იყო ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

✓ **მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება:**

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 68 181,2 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება - 25 611,5 ათასი ლარი;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 13 904,0 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი - 36 986,6 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 887,4 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 12 804,9 ათასი ლარი;
- ქალაქის კეთილმოწყობა - 7 059,2 ათასი ლარი.

✓ **ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება:**

- ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება - 16 099,7 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 19 363,6 ათასი ლარი;

✓ **განათლება:**

- სკოლამდელი განათლება - 39 590,4 ათასი ლარი;
- პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 146,5 ათასი ლარი;

✓ **კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი:**

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 7 098,6 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა - 2 908,9 ათასი ლარი;
- კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები - 4 307,7 ათასი ლარი;
- კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა - 3 742,6 ათასი ლარი;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება - 2 315,7 ათასი ლარი;
- ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა - 203,5 ათასი ლარი.



✓ **ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა:**

- ჯანმრთელობის დაცვა - 6 837,4 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 18 735,4 ათასი ლარი;
- სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა - 950,0 ათასი ლარი.

✓ **ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება:**

- ქალაქის ურბანული განვითარება - 336,9 ათასი ლარი;
- ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა - 73,3 ათასი ლარი;

✓ **მუნიციპალური სერვისების განვითარება:**

- მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება - 8 754,7 ათასი ლარი;
- ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო, მერია) ხარჯების დაფინანსება (9 799,8 ათასი ლარი), სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (30 864,9 ათასი ლარი), წვევამდელთა ტრანსპორტირება (12,9 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება (63,9 ათასი ლარი).



I თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

ქ. ბათუმის 2023 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქ. ბათუმის ბიუჯეტის ბალანსი

(ათასი ლარი)

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის შესრულება	შესრულების %
შემოსავლები	299 227,2	333 364,7	111%
გადასახადები	97 296,4	102 991,5	106%
გრანტები	136 373,9	134 000,4	98%
სხვა შემოსავლები	65 556,9	96 372,8	147%
ხარჯები	207 195,6	192 282,7	93%
შრომის ანაზღაურება	38 167,7	37 636,0	99%
საქონელი და მომსახურება	72 300,2	68 368,1	95%
პროცენტი	4 805,4	4 488,7	93%
სუბსიდიები	23 048,2	19 422,8	84%
გრანტები	15,0	2,5	17%
სოციალური უზრუნველყოფა	18 976,2	16 926,2	89%
სხვა ხარჯები	49 883,0	45 438,5	91%
საოპერაციო სალდო	92 031,6	141 081,9	153%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	117 804,3	109 649,7	93%
ზრდა	127 304,3	119 741,9	94%
კლება	9 500,0	10 092,1	106%
მთლიანი სალდო	-25 772,7	31 432,2	-122%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-52 650,0	5 815,6	-
ზრდა	0,0	5 815,6	-
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	5 815,6	-
კლება	52 650,0	0,0	-
ვალუტა და დეპოზიტები	52 650,0	0,0	-
ვალდებულებების ცვლილება	-26 877,3	-25 616,6	95%
ზრდა	0,0	0,1	-
საგარეო	0,0	0,1	-
კლება	26 877,3	25 616,6	95%
საშინაო	26 877,3	25 616,6	95%
ბალანსი	0,0	0,0	



ქ. ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

(ათასი ლარი)

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის შესრულება	შესრულების %
შემოსულობები	308 727,2	343 456,8	111,2%
შემოსავლები	299 227,2	333 364,7	111,4%
არაფინანსური აქტივების კლება	9 500,0	10 092,1	106,2%
გადასახდელები	361 377,2	337 641,2	93,4%
ხარჯები	207 195,6	192 282,7	92,8%
არაფინანსური აქტივების ზრდა	127 304,3	119 741,9	94,1%
ვალდებულებების კლება	26 877,3	25 616,6	95,3%
ნაშთის ცვლილება	-52 650,0	5 815,6	

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის
ბიუჯეტის შემოსულობები**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 343 456,8 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2023 წლის გეგმიური მაჩვენებლის 111,2%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 102 991,5 ათასი ლარი (შემოსულობების 30,0%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე – 134 000,4 ათასი ლარი (შემოსულობების 39,0%) სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 96 372,8 ათასი ლარი (შემოსულობების 28,1%) და არაფინანსური აქტივების კლებაზე - 10 092,1 ათასი ლარი (შემოსულობების 2,9%).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის ანგარიშს (დანართი №1).




**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის
ფაქტიური შემოსულობები**

(ათასი ლარი)

№	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	შემოსავლები	333 364,7	97,1%
1,1	გადასახადები	102 991,5	30,0%
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	134 000,4	39,0%
1,3	სხვა შემოსავლები	96 372,8	28,1%
2	არაფინანსური აქტივების კლება	10 092,1	2,9%
ჯამი		343 456,8	100%

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:






(ათასი ლარი)

#	შემოსულობების დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	შემოსავლები	299 227,2	333 364,7	34 137,5	111,4%
1,1	გადასახადები	97 296,4	102 991,5	5 695,1	105,9%
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	136 373,9	134 000,4	-2 373,5	98,3%
1,3	სხვა შემოსავლები	65 556,9	96 372,8	30 815,9	147,0%
2	არაფინანსური აქტივების კლება	9 500,0	10 092,1	592,1	106,2%
ჯამი		308 727,2	343 456,8	34 729,6	111,2%

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება გეგმასთან მიმართებაში






ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის
შემოსულობების დინამიკა (ცხრილი/გრაფიკები)



(ათასი ლარი)


#	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი
1	შემოსავლები	117 242,4	115 022,2	119 877,0	155 497,8	162 247,9	168 419,0	140 757,1	180 451,5	254 575,9	333 364,7
1,1	გადასახადები	13 937,5	18 819,4	35 081,9	30 914,9	32 055,0	80 404,6	62 478,6	77 736,0	98 039,5	102 991,5
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	76 387,1	63 170,7	51 564,0	82 154,5	81 242,1	38 463,2	60 777,6	59 638,5	87 327,7	134 000,4
1,3	სხვა შემოსავლები	26 917,8	33 032,1	33 231,1	42 428,4	48 950,8	49 551,2	17 500,9	43 077,0	69 208,6	96 372,8
2	არაფინანსური აქტივების კლება	362,6	1 626,2	5 064,7	13 139,7	4 779,7	8 824,4	1 410,4	16 770,7	11 558,3	10 092,1
3	ფინანსური აქტივების კლება				0,1				4,2		
	სულ ჯამი	117 605,0	116 648,5	124 941,7	168 637,5	167 027,5	177 243,5	142 167,5	197 226,5	266 134,2	343 456,8





შემოსულობები (ათასი ლარი)





შემოსავლები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 308 727,2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 343 456,8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 111,2%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

გადასახადები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 102 991,5 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის _ 97 296,4 ათასი ლარის 105,9%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 30,0%-ს.



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის
საგადასახადო შემოსავლების დინამიკა

(ათასი ლარი)

№	შემოსავლის სახე	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულება				
													2023 წ. გეგმასთან		2022 წ. ფაქტთან		
													გადახრა	%	გადახრა	%	
1	საშემოსავლო გადასახადი			10 742,6	5 599,5	5 005,9								-		-	
2	დამატებული ღირებულების გადასახადები						50 467,5	43 114,3	48 224,3	52 676,9	57 296,4	57 209,4	-87,0	99,8%	4 532,5	108,6%	
3	ქონების გადასახადი	13 936,5	18 820,2	24 339,2	25 315,4	27 049,1	29 937,2	19 364,3	29 511,7	45 362,7	40 000,0	45 782,1	5 782,1	114,5%	419,4	100,9%	
3,1	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი	861,8	1 117,8	1 199,1	1 528,1	1 754,2	2 129,7	2 152,8	2 510,7	2 988,2	2 700,0	4 074,9	1 374,9	150,9%	1 086,7	136,4%	
3,2	საწარმოთა ქონების გადასახადი	11 376,5	16 322,4	21 448,6	22 064,9	23 459,0	25 868,1	15 291,5	24 988,4	40 220,0	35 000,0	39 362,0	4 362,0	112,5%	-858,0	97,9%	
3,3	მიწის გადასახადი	1 698,2	1 380,1	1 691,5	1 722,4	1 835,9	1 939,3	1 920,0	2 012,6	2 154,5	2 300,0	2 345,3	45,3	102,0%	190,8	108,9%	
4	სხვა გადასახადები	1,0	-0,8											-		#DIV/0!	
	სულ	13 937,5	18 819,4	35 081,9	30 914,9	32 055,0	80 404,6	62 478,6	77 736,0	98 039,5	97 296,4	102 991,5	5 695,1	105,9%	4 951,9	105,1%	

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2023 წლის გეგმიური მაჩვენებელი 40 000,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 45 782,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 114,5%-ია.

ქონების გადასახადის ცალკეული სახეობის მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

(ათასი ლარი)



№	დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება %
1	სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	40 000,0	45 782,1	5 782,1	114,5%
1,1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	35 000,0	39 362,0	4 362,0	112,5%
1,2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	2 700,0	4 074,9	1 374,9	150,9%
1,3	მიწაზე ქონების გადასახადი	2 300,0	2 345,3	45,3	102,0%

საწარმოთა ქონების გადასახადის საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 35 000,0 ათასი ლარით. ფაქტიურად მობილიზებული იქნა 39 362,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 112,5%-ია.


ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის სახით დაგეგმილი იყო 2 700,0 ათასი ლარის მობილიზება, ფაქტიურად მიღებული იქნა 4 074,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 150,9%-ია.

მიწაზე ქონების გადასახადი მობილიზებული იქნა 2 345,3 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (2 300,0 ათასი ლარი) 102,0%-ია.


(ათასი ლარი)

№	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი
1	სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	13 936,5	18 820,2	24 339,2	25 315,4	27 049,1	29 937,2	19 364,3	29 511,7	45 362,7	45 782,1
1,1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	11 376,5	16 322,4	21 448,6	22 064,9	23 459,0	25 868,1	15 291,5	24 988,4	40 220,0	39 362,0
1,2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	861,8	1 117,8	1 199,1	1 528,1	1 754,2	2 129,7	2 152,8	2 510,7	2 988,2	4 074,9
1,3	მიწაზე ქონების გადასახადი	1 698,2	1 380,1	1 691,5	1 722,4	1 835,9	1 939,3	1 920,0	2 012,6	2 154,5	2 345,3

ქონების გადასახადის 2023 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2022 წლის შესრულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით - 419,4 ათასი ლარით (0,9%-ით) გაზრდილია.




საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქონების გადასახადი ბიუჯეტში არათანაბარი სიდიდით აისახებოდა, რომლის ფაქტიური მობილიზაციაც ცალკეული თვეების მიხედვით შემდეგია:






ქონების გადასახადის შესრულება ცალკეული თვეების მიხედვით (ნაზარდი ჯამით)




ქონების გადასახადის შესრულება წლების მიხედვით (2014-2023 წლები)






ქონების გადასახადის დინამიკა 2011-2023 წწ.




დამატებული ღირებულების გადასახადი - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად დამატებული ღირებულების გადასახადიდან 19% ნაწილდება მუნიციპალიტეტებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის მომზადებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გაიანგარიშებს და ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახავს მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრულ დამატებული ღირებულების გადასახადში თითოეული მუნიციპალიტეტის კუთვნილი წილის პროცენტულ მაჩვენებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის 2023 წლის გეგმიური მაჩვენებელი 57 296,4 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 57 209,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 99,8%-ია.

დამატებული ღირებულების გადასახადის 2023 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2022 წლის შესრულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით - 4 532,5 ათასი ლარით (8,6%-ით) გაზრდილია.



დამატებული დირებულების გადასახადის დინამიკა 2019-2023 წწ.



ფინანსური დახმარება და გრანტები

2023 წლის განმავლობაში ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 134 000,4 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 136 373,9 ათას ლარს, რაც გეგმის - 98,3%-ს შეადგენს.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან 2023 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება - 133 824,8 ათას ლარს შეადგენს, რაც გეგმის 136 177,2 ათასი ლარის 98,3%-ია. ასევე ფინანსური დახმარება მიღებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიმდინარე



დანიშნულების გრანტის სახით - 175,6 ათასი ლარი, გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით მიმდინარე ევროკავშირის რეგიონული ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) მეორე ფაზის ფარგლებში - „მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელი“.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში გრანტების (ფინანსური დახმარების) წილი 39,0%-ია.

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის შესრულება	გადახრა
1	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	136 373,9	134 000,4	-2 373,5
1,1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	136 177,2	133 824,8	-2 352,4
	კაპიტალური ტრანსფერი	66 510,0	65 274,0	-1 236,0
	სპეციალური ტრანსფერი	69 490,0	68 373,6	-1 116,4
	რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი	177,2	177,2	0,0
2	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	196,7	175,6	-21,1
2,1	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	196,7	175,6	-21,1
	ჯამი	136 373,9	134 000,4	-2 373,5

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები

2023 წლის განმავლობაში ქ. ბათუმის ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 133 824,8 ათასი ლარი, მათ შორის:

- კაპიტალური ტრანსფერი - კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად 65 274,0 ათასი ლარი, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №2);



- სპეციალური ტრანსფერი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 68 373,6 ათასი ლარი **დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №3);**

- რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან (სპეციალური ტრანსფერი) - 177,2 ათასი ლარი, კერძოდ:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 10 მარტის №442 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 880 ლარი ქ. ბათუმში დ. აღმაშენებლის ქ. №22, ბ. 8-ში მცხოვრები ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 880 ლარი (100%).

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 15 მაისის №786 ბრძანების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 21 859 ლარი, ხანძრისა და ხანძრის ჩაქრობის მიზნით გამოყენებული წყლის ჭავლის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების გაწევის მიზნით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 21 859 ლარი (100%).

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 7 აგვისტოს №1293 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 154 460 ლარი, ქ. ბათუმში ხანძრისა და ხანძრის ჩაქრობის მიზნით გამოყენებული წყლის ჭავლის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების გაწევის მიზნით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 154 460 ლარი (100%).

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები (მიმდინარე დანიშნულების გრანტები)

2023 წელს საერთაშორისო ორგანიზაცია (UNDP) მიღებულ იქნა მიმდინარე დანიშნულების გრანტები - 175,6 ათასი ლარი. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტმა 2022 წლის დასაწყისში გაიმარჯვა გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით მიმდინარე ევროკავშირის რეგიონული ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) მეორე ფაზის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში „მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელი“. კონკურსში გამარჯვებული მუნიციპალიტეტისთვის პროექტი ითვალისწინებს მუნიციპალური გარდაქმნის პორტფელის შექმნასა და მათ დანერგვას, რისთვისაც ბათუმის მუნიციპალიტეტს გადმოეცემა გრანტი 200 000 ევროს ოდენობით.

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2023 წლის საპროგნოზო მოცულობა 65 556,9 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 96 372,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 147,0%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 28,1%-ს შეადგენს.



საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების ფაქტიური მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 13 865,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (11 530,4 ათასი ლარი) 120,3%-ია. მათ შორის:

- **პროცენტებიდან** მობილიზებულია 10 775,9 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე (დეპოზიტი) წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

- **რენტის** სახით მიღებულია 3 090,0 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 264,0 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 2 826,0 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 67 967,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (45 850,0 ათასი ლარი) 148,2%-ია. აქედან:

- **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების** სახით – 67 567,1 ათასი ლარი, მათ შორის:

- **მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა)** – 1 212,7 ათასი ლარი.

- **საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი** – 1,6 ათასი ლარი;

- **სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი** – 12,0 ათასი ლარი;


- **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** – 62 070,2 ათასი ლარი, მათ შორის:


სათამაშო აპარატებიდან – 29 968,3 ათასი ლარი;

წამახალისებელი გათამაშებიდან – 439,2 ათასი ლარი;

სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან – 300,0 ათასი ლარი;

სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 31 362,6 ათასი ლარი;





- **მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის** მობილიზებული იქნა 4 038,2 ათასი ლარის ოდენობით, დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ღონისძიებებს ახორციელებს შპს „სანდასუფთავება“. 2023 წლის გეგმის შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია რიგი ფაქტორებით, კერძოდ: ქალაქ ბათუმის საკრებულოს „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 29 იანვრის №3 დადგენილების შესაბამისად, ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენის წარმომქმნელი პირი, ვალდებულია დარეგისტრირდეს დასუფთავების აბონენტად. მიუხედავად ვალდებულებისა, მომართვიანობა აბონენტად რეგისტრაციის მიზნით ძალიან მცირეა. აღნიშნული პრობლემა ძირითადად დაკავშირებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელ პირებთან. რომელთა დაზუსტების მიზნით ხდება სახელმწიფო სერვისების სააგენტოდან ინფორმაციის გამოთხოვა (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში კონკრეტულ მისამართებზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობის შესახებ) და შემდგომ ხდება თანხვედრა სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს აბონენტთა რეესტრთან. არსებული დავალიანებების ამოღების მიზნით (ძირითადად იურიდიული პირები) ხორციელდება საჩივრის შეტანა სასამართლოში.

- **ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის** _ 232,4 ათასი ლარი;

- **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება** _ 399,9 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს შემოსავლებს მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 12 687,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (7 000,0 ათასი ლარის) 181,2%-ია. მათ შორის:



შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში - 169,6 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სახელმწიფო საკუთრების ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამ - 1,0 ათასი ლარი;

სხვა შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში - 152,7 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, განათლებისა და აღზრდის სფეროში - 40,1 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო სოფლის მეურნეობაში, ვეტერინალურ - სანიტარული წესების დარღვევა - 0,02 ათასი ლარი;

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის - 8 491,6 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) უბილეთო მგზავრობის გამო - 205,6 ათასი ლარი;

საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობების დარღვევის გამო - 9,2 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ავტომობილის გაჩერების წესების გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობისათვის - 18,0 ათასი ლარი;

სხვა დანარჩენი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობასა და კავშირგაბმულობის დარგში - 816,2 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობასა და ფინანსების დარგში - 44,2 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 87,3 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 524,2 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო მოქალაქეთა საბინაო უფლებების, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში - 41,4 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 118,3 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 1 967,1 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) -1,0 ათასი ლარი;

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული სახით მიღებულია 1 852,4 ათასი ლარი. შემოსავლის აღნიშნულ სახეში გეგმა 1 176,5 ათას ლარს შეადგენდა, ფაქტიურად მობილიზებული იქნა გეგმის 157,5%/ შემოსავლის აღნიშნული სახე აერთიანებს:



სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი - 180,2 ათასი ლარი;

შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 94,8 ათასი ლარი;


სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 3,2 თასი ლარი;

შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგა-სამტებლოდან - 928,3 ათასი ლარი;

წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 5,9 ათასი ლარი;

სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს - 640,0 ათასი ლარი;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

(ათასი ლარი)




დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის შესრულება	გადახრა
სხვა შემოსავლები	65 556,9	96 372,8	30 815,9
შემოსავლები საკუთრებიდან	11 530,4	13 865,9	2 335,5
პროცენტები	9 700,4	10 775,9	1 075,5
რენტა	1 830,0	3 090,0	1 260,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	155,0	264,0	109,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1 675,0	2 826,0	1 151,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	45 850,0	67 967,1	22 117,1
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	45 850,0	67 567,1	21 717,1
სანებართვო მოსაკრებელი	750,0	1 212,7	462,7
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,0	1,6	1,6
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,0	12,0	12,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	39 800,0	62 070,2	22 270,2
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	5 300,0	4 038,2	-1 261,8
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის		232,4	232,4
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0,0	399,9	399,9
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	0,0	399,9	399,9
ჯარიმები, სანქციები და საურავები	7 000,0	12 687,4	5 687,4
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	1 176,5	1 852,4	675,9



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დინამიკა

(ათასი ლარი)

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი
სხვა შემოსავლები	26 917,8	33 032,1	33 231,1	42 428,4	48 950,8	49 551,2	17 500,9	43 077,0	69 208,6	96 372,8
შემოსავლები საკუთრებიდან	3 243,4	3 347,7	1 431,1	1 993,5	3 840,7	4 337,5	5 536,4	6 979,5	9 665,4	13 865,9
პროცენტები	2 639,4	2 430,0	699,3	917,5	1 273,4	1 525,1	1 291,1	4 929,0	7 544,1	10 775,9
დივიდენდები					900,0	838,0	3 500,0			
რენტა	604,1	917,7	731,8	1 076,1	1 667,3	1 974,4	745,2	2 050,5	2 121,2	3 090,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	102,2	284,9	154,6	157,3	355,4	145,4	116,3	153,5	185,6	264,0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	501,9	632,8	577,2	918,7	1 311,9	1 829,1	628,9	1 897,0	1 935,6	2 826,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	16 340,6	22 932,9	25 445,3	34 028,1	38 689,4	36 480,9	5 785,8	28 249,9	46 931,3	67 967,1
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	16 334,3	22 927,1	25 444,4	34 011,4	38 684,1	36 476,4	5 781,5	28 203,4	46 711,9	67 567,1
სანებართვო მოსაკრებელი	468,9	525,1	435,8	450,9	449,3	1 123,8	1 320,7	1 137,6	1 287,1	1 212,7
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	1,9	3,5	3,0	3,0	2,8	2,5	1,3	1,3	2,0	1,6
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	5,0	3,4	2,4	4,4	2,0	3,0	1,0	3,4	4,4	12,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	13 644,9	20 167,5	21 835,4	30 630,2	36 174,5	31 967,1	1 724,5	23 440,8	41 388,9	62 070,2
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი									1,7	
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	943,5	687,5	1 458,6	1 074,0	238,9	636,8	2 247,3	421,2	101,4	232,4
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1 270,1	1 540,0	1 709,3	1 848,7	1 816,6	2 743,1	486,7	3 199,1	3 925,2	4 038,2
სხვაარაკლასიფიცირებული მოსაკრებელი				0,2				0,0	1,3	
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	6,3	5,8	0,9	16,7	5,3	4,6	4,3	46,5	219,4	399,9
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	6,3	5,8	0,9	16,7	5,3	4,6	4,3	46,5	219,4	399,9
ჯარიმები, სანქციები და საურავები	4 871,8	4 901,6	4 187,9	4 947,8	4 486,2	6 527,8	4 379,1	6 457,9	10 063,7	12 687,4
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	2 462,0	1 849,9	2 166,8	1 458,9	1 934,5	2 205,0	1 799,6	1 389,8	2 548,2	1 852,4



საანგარიშო პერიოდის სხვა შემოსავლების დინამიკა პანდემიის შემდგომ მზარდია და 2021 წელთან შედარებით იგი გაზრდილია - 53 295,8 ათასი ლარით, ხოლო 2022 წელთან მიმართებით - 27 164,2 ათასი ლარით, ძირითადი ზრდა შეეხება პროცენტებიდან, რენტიდან, ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან და სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან მიღებულ შემოსავლებს.

არაფინანსური აქტივების კლება

2023 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა - 10 092,1 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (9 500,0 ათასი ლარის) 106,2%-ია. შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს 2,9%-ს. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან, ძირითადი აქტივებიდან და მატერიალური მარაგებიდან მიღებულ შემოსავალს.




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 33 238,7 ათას ლარს შეადგენდა, საიდანაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების (კლების) გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა 52 650,0 ათასი ლარით. აღნიშნული მოიცავს ფინანსურ აქტივებს, მიმართული ხარჯების დასაფარავად წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან. ნაშთის ცვლილების ფაქტიურმა მაჩვენებელმა (დაგროვება) შეადგინა 5 815,6 ათასი ლარი, შესაბამისად 2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი - 58,631.5 ათას ლარს შეადგენდა.

დასახელება	2023 წლის გეგმა	2023 წლის შესრულება
ნაშთი 01.01.2023		52 815,9
ნაშთის ცვლილება	-52 650,0	5 815,6
ზრდა	0,0	5 815,6
ვალუტა და დეპოზიტები		5 815,6
კლება	52 650,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	52 650,0	
ნაშთი 01.01.2024		58 631,5

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში
 ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხილეთ დიაგრამა):






ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

(ათასი ლარი)

#	გადასახდელის დასახელება	გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	27 883,0	24 203,6	86,8%	7,8%
1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	10 719,5	9 863,7	92,0%	3,2%
1.2	საერთო დანიშნულების მომსახურება	11 518,9	9 091,7	78,9%	2,9%
1.3	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	5 573,9	5 248,3	94,2%	1,7%
1.4	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	70,7	0,0	0,0%	0,0%
2	თავდაცვა	20,0	12,9	64,6%	0,00%
3	ეკონომიკური საქმიანობა	93 334,2	86 910,7	93,1%	27,9%
3.1	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	92 243,1	85 950,0	93,2%	27,5%
3.2	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1 091,1	960,7	88,0%	0,3%
4	გარემოს დაცვა	29 424,6	29 223,5	99,3%	9,4%
4.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	16 104,5	16 099,7	100,0%	5,2%
4.2	ჩამდინარე წყლების მართვა	13 320,1	13 123,8	98,5%	4,2%
5	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	73 348,5	66 318,7	90,4%	21,3%
5.1	ბინათმშენებლობა	28 007,1	27 647,7	98,7%	8,9%
5.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	23 881,8	19 909,4	83,4%	6,4%
5.3	წყალმომარაგება	1 741,7	780,3	44,8%	0,3%
5.4	გარე განათება	9 205,3	7 842,7	85,2%	2,5%
5.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	10 512,6	10 138,7	96,4%	3,2%
6	ჯანმრთელობის დაცვა	7 578,1	6 942,4	91,6%	2,2%
7	დასვენება, კულტურა და რელიგია	41 690,5	39 940,5	95,8%	12,8%
7.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	30 342,7	29 371,0	96,8%	9,4%
7.2	მომსახურება კულტურის სფეროში	11 000,8	10 365,9	94,2%	3,3%
7.3	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	347,0	203,5	58,7%	0,1%
8	განათლება	40 175,0	39 736,9	98,9%	12,7%
9	სოციალური დაცვა	21 046,0	18 735,4	89,0%	6,0%
გადასახდელის ჯამი		334 499,9	312 024,6	93,3%	100,0%



ქ. ბათუმის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში (გეგმა-ფაქტი)



საერთო დანიშნულებების სახელმწიფო მომსახურებაზე 2023 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 27 883,0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 24 203,6 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 86,8%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), მუნიციპალური საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების, ელექტრონული სერვისების დანერგვისა და განვითარების, თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვის, ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის, საერთო დანიშნულებების მომსახურების, ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საერთო დანიშნულებების სხვა მომსახურების, წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 7,8%-ს.

თავდაცვის სფეროსათვის გათვალისწინებული იყო 20,0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 12,9 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 64,6%-ით, აღნიშნული სფერო მოიცავს რეზერვისტების და წვევამდელების ტრასპორტირების ხარჯებს.

ეკონომიკური საქმიანობისათვის დაგეგმილი იყო 93 334,2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 86 910,7 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 93,1%. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 27,9%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობის, საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობის, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარების და მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამების დაფინანსებას.



გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 29 424,6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 29 223,5 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 99,3%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანის, კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციისა და მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამებზე გაწეული ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 9,4%-ს.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, ქალაქის გაფორმების ღონისძიებების, ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის, უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების, დეზინსექცია-დერატიზაციის ღონისძიებების და ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს ხარჯები შეადგენდა 73 348,5 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 66 318,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 90,4%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 21,3%-ს.

ჯანმრთელობის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 7 578,1 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 6 942,4 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 91,6%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 2,2%-ს, მასში გაერთიანებულია მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფის, მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურების, ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობის, შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაციის, ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენციისა და რეაბილიტაციის, ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარების, მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების, ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგის და თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების ხარჯები.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 41 690,5 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 39 940,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 95,8%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 12,8%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის გამწვანების ღონისძიებების, სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობის, ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობის, სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის და რეაბილიტაციის, ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრის, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობის, ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"-ს, ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბის, კულტურული ღონისძიებების მართვის, ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებების, კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობის, საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერის,



კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის, ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღის, ფოლკლორის ხელშეწყობის, თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობის, ხელოვანთა ხელშეწყობის, ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის, შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მხარდაჭერის, ახალგაზრდული ცენტრის, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის ხარჯები.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 40 175,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 39 736,9 ათას ლარს, ანუ გეგმის 98,9%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის საფეხურის დაფინანსება, საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაციის ხარჯები, ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის, ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის, ასევე პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამები. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 12,7%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 17 259,1 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 21 046,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 89,0%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 6,0%-ს. იგი მოიცავს კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირების, მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის, მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა-უზრუნველყოფის, მუნიციპალური უფასო სასადილოს, მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობისა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარების, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირების, დროებითი ღამის თავშესაფარის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურების და ერთჯერადი მატერიალური დახმარების ხარჯებს.


ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

(ათასი ლარი)

#	გადასახდელის დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
I	ხარჯები	207 195,6	192 282,7	92,8%	56,9%
1	შრომის ანაზღაურება	38 167,7	37 636,0	98,6%	11,1%
2	საქონელი და მომსახურება	72 300,2	68 368,1	94,6%	20,2%
3	პროცენტი	4 805,4	4 488,7	93,4%	1,3%
4	სუბსიდიები	23 048,2	19 422,8	84,3%	5,8%
5	გრანტები	15,0	2,5	16,6%	0,0%
6	სოციალური უზრუნველყოფა	18 976,2	16 926,2	89,2%	5,0%
7	სხვა ხარჯები	49 883,0	45 438,5	91,1%	13,5%
II	არაფინანსური აქტივების ზრდა	127 304,3	119 741,9	94,1%	35,5%
III	ვალდებულებების კლება	26 877,3	25 616,6	95,3%	7,6%
გადასახდელის ჯამი		361 377,2	337 641,2	93,4%	100%

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები
(საკასო შესრულება - 337,641.2 ათასი ლარი)





ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 192 282,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 207 195,6 ათასი ლარის 92,8%-ია, მისი ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში 56,9%-ია.

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 37 636,0 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში 11,1%-ია.

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 68 368,1 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 20,2%-ია.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 4 488,7 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 1,3%-ია.

სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 19 422,8 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში 5,8%-ია.

გრანტებზე მიიმართა 2,5 ათასი ლარი.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 16 926,2 ათასი ლარი, გადასახდელების მთლიანი მოცულობის - 5,0%.

სხვა ხარჯებზე მიიმართა 45 438,5 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 13,5%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 119 741,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 127 304,3 ათასი ლარის 94,1%-ია, მთლიანი გადასახდელების _ 35,5%-ია.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 25 616,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 26 877,3 ათასი ლარის 95,3%-ია. ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში - 7,6%-ია.



II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ორგანიზაციულ ჭრილში

პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს შემდეგი სახე აქვს:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა	შესრულების %
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	43 301,4	40 741,5	2 559,9	94,1%
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2 932,4	2 655,5	276,9	90,6%
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	7 708,5	7 144,2	564,2	92,7%
01 03	სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	32 451,2	30 864,9	1 586,3	95,1%
01 04	სარეზერვო ფონდი	1,7	0,0	1,7	0,0%
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	70,7	0,0	70,7	0,0%
01 06	წვევამდელთა ტრანსპორტირება	20,0	12,9	7,1	64,6%
01 07	საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება	40,0	0,0	40,0	0,0%
01 08	მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება	77,0	63,9	13,1	83,0%
02 00	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება	178 951,0	165 434,9	13 516,1	92,4%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	72 413,9	68 181,2	4 232,7	94,2%
02 02	სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება	29 034,5	25 611,5	3 423,0	88,2%
02 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	15 061,8	13 904,0	1 157,8	92,3%
02 04	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	38 296,1	36 986,6	1 309,5	96,6%
02 05	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	894,4	887,4	7,0	99,2%
02 06	ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა	16 089,0	12 804,9	3 284,1	79,6%
02 07	ქალაქის კეთილმოწყობა	7 161,3	7 059,2	102,1	98,6%
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	35 674,2	35 463,3	210,9	99,4%
03 01	ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება	16 104,5	16 099,7	4,8	100,0%
03 02	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	19 569,7	19 363,6	206,1	98,9%




04 00	განათლება	40 175,0	39 736,9	438,1	98,9%
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	40 000,0	39 590,4	409,7	99,0%
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	175,0	146,5	28,5	83,7%
05 00	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	22 120,8	20 576,9	1 543,9	93,0%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	7 288,7	7 098,6	190,1	97,4%
05 02	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა	3 484,3	2 908,9	575,4	83,5%
05 03	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	4 550,4	4 307,7	242,7	94,7%
05 04	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	3 867,2	3 742,6	124,6	96,8%
05 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება	2 583,2	2 315,7	267,5	89,6%
05 06	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	347,0	203,5	143,5	58,7%
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	29 469,2	26 522,8	2 946,4	90,0%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	7 473,1	6 837,4	635,7	91,5%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	21 046,0	18 735,4	2 310,6	89,0%
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	950,1	950,0	0,1	100,0%
07 00	ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება	1 804,0	410,2	1 393,8	22,7%
07 01	ქალაქის ურბანული განვითარება	1 607,3	336,9	1 270,4	21,0%
07 02	ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა	196,7	73,3	123,4	37,3%
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება	9 881,6	8 754,7	1 126,9	88,6%
08 01	მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება	9 881,6	8 754,7	1 126,9	88,6%
გადასახდელების ჯამი		361 377,2	337 641,2	23 736,0	93,4%


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პრიორიტეტების ფაქტიურ ხარჯები შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 40 741,5 ათასი ლარი;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 165 434,9 ათასი ლარი;
- ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 35 463,3 ათასი ლარი;
- განათლება - 39 736,9 ათასი ლარი;
- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - 20 576,9 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 26 522,8 ათასი ლარი;
- ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება - 410,2 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სერვისების განვითარება - 8 754,7 ათასი ლარი;

პრიორიტეტების პროცენტული წილი მთლიან გადასახდელებში



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გადასახდელების დინამიკა 2014-2023 წლებში
წარმოდგენილია გრაფიკის სახით





ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების (გადასახდელების) შესრულების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის (დანართი №4).



III თავი. პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულება

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 00)

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (პროგრამული კოდი 01 01) ხარჯებმა შეადგინა 2 655,5 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2 932,4 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 90,6%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 1 498,4 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 794,1 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 3,2 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 166,9 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 192,9 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (პროგრამული კოდი 01 02) ხარჯებმა შეადგინა 7 144,2 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 7 708,5 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 92,7%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 4 663,1 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 2 156,9 ათასი ლარი, გრანტებზე - 2,5 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 124,8 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 27,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 170,0 ათასი ლარი.

სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი 01 03)

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 29 910,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 28 324,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი 94,7%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების დადგენილ ვადებში დაფარვა. მათ შორის, საპროცენტო ხარჯების დაფარვა 4 242,1 ათასი ლარი, სხვა ხარჯები - 759,6 ათასი ლარი, ხოლო სესხის ძირი თანხის - 23 323,1 ათასი ლარის ოდენობით.

➤ მიღწეული შედეგები:

სასესხო ვალდებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხების დადგენილ ვადებში დაფარვა. მათ შორის, საპროცენტო ხარჯების დაფარვა 246,6 ათასი ლარის, ხოლო სესხის ძირი თანხის - 2 293,6 ათასი ლარის ოდენობით.



➤ **მიღწეული შედეგები:**

სასესხო ვადებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

წვევამდელთა ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 01 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 20,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 12,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 64,6%. შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია წვევამდელთა გადაყვანის მომსახურების რაოდენობაზე, რაც რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის მიხედვით.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის მიხედვით, მოხდა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ წვევამდელთა გაწვევა და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება. გაწვევის პუნქტამდე გადაყვანილ იქნა 247 წვევამდელი და ტრანსპორტირების მიზნით განხორციელებულა 19 რეისი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესი ხორციელდება შეუფერხებლად.

საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება (პროგრამული კოდი 01 07)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 40,0 ათასი ლარი; საზოგადოების ინფორმირებულობა განხორციელდა მუნიციპალური საკომუნიკაციო არხების საშუალებით (პირდაპირი საინფორმაციო შეხვედრები, მუნიციპალური ვებგვერდი, სოციალური ქსელი) და რეგიონში არსებული მედია საშუალებებით (სარეკლამო რგოლები).

პროგრამის აღწერა:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები: დასახლების საერთო კრება, პეტიცია, მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, სხვა ფორმატის მოსახლეობის ჩართულობის მექანიზმები. მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით ხორციელდება მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტი - „შენი იდეა ბათუმს“

მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია საზოგადოების ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ და გაზრდილია მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.

მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება (პროგრამული კოდი 01 07)



➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 77,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 63,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 83,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

აეროპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე სისტემების მოწყობის (ქ. ბათუმში, კახაბრის მე-3 ჩიხი N2-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა, ქ. ბათუმში, შაშიკაშვილის ქუჩის N4-დან N10-დე სანიაღვრე არხის მოწყობა), კახაბრის ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე სისტემების მოწყობისა (ქ. ბათუმში, მურმან ლებანიძის ქუჩის სანიაღვრე არხის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები; ნაჭყებიას ქუჩის N77-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა; ქ. ბათუმში, მაჭახელას ქუჩა N70-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა; ზედაღელეს ქუჩა N9-დან N21-მდე სანიაღვრე არხის მოწყობა; ქ. ბათუმში, შარაშიძის III ჩიხის სანიაღვრე არხის მოწყობა; ქ. ბათუმში, ზედაღელეს ქუჩის N63-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა) და მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე სისტემების მოწყობის (ქ. ბათუმში, მარკოზ აქარელის მე-3 შესახვევის ქუჩის N107-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის



მოწყობა; ქ. ბათუმში, თამარ მეფის გზატკეცილის N5-N7-N9-ის მონაკვეთში სანიაღვრე არხის მოწყობა; ჯინჭარადის ქუჩის მონაკვეთზე (N20-N65) სანიაღვრე არხის მოწყობა) სამუშაოები - მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

"ქ.ბათუმში სამრეწველოს ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე სისტემების მოწყობის (ქ.ბათუმში, რობაქიძის ქუჩის სანიაღვრე არხის მოწყობა; ქ.ბათუმში, ლევან გოთუას N14 სახლის მიმდებარედ (VII ჩიხში) სანიაღვრე არხის მოწყობა; ქ.ბათუმში, ლევან გოთუას ქუჩის N42-46-ის საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა; ქ.ბათუმში, ლევან გოთუას მეექვსე ჩიხში სანიაღვრე არხის მოწყობა; ქ.ბათუმში, ლევან გოთუას მეოთხე ჩიხში სანიაღვრე არხის მოწყობა; ქ.ბათუმში, გოთუას მეორე ჩიხში სანიაღვრე არხის მოწყობა; ქ.ბათუმში, ლევან გოთუას მესამე ჩიხში სანიაღვრე არხის მოწყობა; ქ.ბათუმში, ლევან გოთუას N1 ჩიხში სანიაღვრე არხის მოწყობა) და გონიოკვარიანის ადმინისტრაციული ერთეულში სანიაღვრესისტემების მოწყობის

(ქ.ბათუმში, იოანე ლაზის N27-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა; იოანე ლაზის პირველ შესახვევსა და იოანე ლაზის N27-ის კვეთაში სანიაღვრე არხის მოწყობა; სვიმონ კანანელის N36-იდან ანდრია პირველწოდებულის VI ჩიხის შემაერთებელი არხის მოწყობა; გონიოს დასახლებაში, მატათა მოციქულის ქუჩის N56ბ-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა; ქ.ბათუმში, ავგიის ქუჩის მონაკვეთების სანიაღვრე არხის მოწყობა) სამუშაოების - მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება."

ქ. ბათუმში, ე.წ. ბონის კულტურის სახლის უკანა ტერიტორიაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობა, თამარ მეფის გამზირის III შესახვევის და ჯინჭარადის ქუჩის N1-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა - მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

ქ. ბათუმში, სანიაღვრე არხების მოწყობა (ურეხის დასახლება N1-დან N24-მდე მონაკვეთში სანიაღვრე არხის მოწყობა; ქ. ბათუმში, კონცელიძის ქ. N1-ის

მიმდებარედ სანიაღვრე არხისა და საყრდენი კედლის მოწყობა; მამია ვარშანიძის ქუჩაზე მდებარე N28 საჯარო სკოლის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა; თამარ მეფის N48-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა; თბილისის ქ. N63-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა) - მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება."

➤ მიღწეული შედეგები:

განხორციელდა სანიაღვრე ქსელის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და უზრუნველყოფილ იქნა სანიაღვრე არხების მოვლა-ექსპლუატაცია.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 04)

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 02 04 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:



დაზუსტებული გეგმა - 10 289,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 9 338,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 90,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქალაქში არსებული მრავალსართულიანი/მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია - ცამეტი მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლის სახურავი იქნა რეაბილიტირებული.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის ფარგლებში ქალაქში არსებული მრავალსართულიანი/მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების რეაბილიტაცია (შეცვლა, რემონტი, განახლება) - ოცდაერთ მისამართზე განხორციელდა სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავის სარემონტო სამუშაოები.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების და ეზოების კომუნალური სისტემის მოწესრიგება - ოცდაორი მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლსა და ეზოში შეიცვალა კომუნალური სისტემა.

ღონისძიება არის მრავალწლიანი. მომწოდებელმა კომპანიამ წინსწრებით აწარმოა სამუშაოები, რამაც გამოიწვია დაგეგმილ ინდიკატორსა და ფაქტიურად შესრულებულ ინდიკატორს შორის სხვაობა მეტობით. "

"მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლებში არსებული ამორტიზირებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი - მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლებში დამონტაჟდა ორმოცდათორმეტი ერთეული ახალი ლიფტი.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში სადარბაზოს კარისა და ელექტრო საკეტების მოწყობა - ცხრამეტ მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლის სადარბაზოებში მოეწყო სადარბაზოს კარები და ელექტრო საკეტი.

საცხოვრებელ სახლებზე ლითონის პროფილური ფურცლების აკვრა - ექვს საცხოვრებელ სახლზე, დაზიანებული აზბესტისა და ლითონის ფურცლების ნაცვლად აკრულ იქნა ლითონის პროფილური ფურცლები.

ეზოებში შესასვლელში ახალი ჭიშკრების შეძენა-მონტაჟი - შეძენილ იქნა და დამონტაჟდა 13 ერთეული ჭიშკარი.

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი და რეაბილიტაცია - საბავშვო ატრაქციონების შეძენა-მონტაჟის და რეაბილიტაციის სამუშაოების წარმოება მიმდინარეობდა 17 ეზოში.

აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით განვიმარტავთ, რომ შემსრულებელმა კომპანიამ მოგვმართა წერილობით (N10/1423263356-90), სადაც აღნიშნავდა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე ტენდერის პროცედურების გასაჩივრებიდან გამომდინარე ხელშეკრულება გაფორმდა ტენდერის გამოცხადებიდან 5-თვის შემდეგ, ხელშეკრულების გასაფორმებლად განსაზღვრული სტანდარტული ვადის (მაქსიმალური ვადა 40 კალენდარული დღე) გამოკლებით დაახლოებით სამი თვის დაგვიანებით, შესაბამისად სამუშაოების მოწოდების ვადა შემჭიდროვდა იმდენად, რომ შეუძლებელი გახდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში სამუშაოების მოწოდება და მოითხოვა სამუშაოების შესრულების ვადის გაზრდა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და არსებული სიტუაციის ანალიზის შედეგად, სამმართველომ მიზანშეწონილად მიიჩნია N99 (NAT230007931) ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საჭიროება და მხარეთა შეთანხმება N1-ის საფუძველზე, სამუშაოების შესრულების ვადა გაგრძელდა 2024 წლის 10 აპრილის



ჩათვლით. შესაბამისად ღონისძიება გახდა გარდამავალი (19.09.2023-10.04.2024წწ.) ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ღონისძიება გახდა გარდამავალი, ვერ განხორციელდა ინდიკატორის დაგეგმილი მაჩვენებლის შესრულება.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია -მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოებში დაიგო 10 528,8 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი (17 ერთეული ეზო), შეიცვალა და შეკეთდა 42 კვ.მ. დაზიანებული ფილები (1 ერთეული ეზო), შეიცვალა და შეკეთდა 50 გრძ.მ. დაზიანებული ბორდიურები (2 ერთეული ეზო), 50 ცალი ჭა მოყვანილ იქნა პროფილზე (7 ერთეული ეზო). (დასრულდა).

ქ. ბათუმის ურბანული ნაწილის გადაღების, დამუშავების და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა - განხორციელდა ქალაქ ბათუმის (ადმინისტრაციული საზღვრების ურბანული სივრცე - 65 კვ.კმ) ობლიქ გადაღებისა და დამუშავების შესყიდვა - 65 კვ.კმ და ქალაქ ბათუმის (ადმინისტრაციული საზღვრების ურბანული სივრცე - 65 კვ.კმ) ფოტორეალისტური 3D მოდელის დამზადება - 65 კვ.კმ. (დასრულდა).

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხა)

ქ. ბათუმში, მრავალსართულიანი სახლების ეზოებისთვის ატრაქციონების შეძენა-მონტაჟისა და რეაბილიტაციის სამუშაოები - მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

ქ. ბათუმში, მრავალსართულიანი სახლების ეზოებისთვის ატრაქციონების შეძენა-მონტაჟისა და რეაბილიტაციის სამუშაოები - მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

ქ. ბათუმში, მრავალსართულიანი სახლების ეზოებისთვის ატრაქციონების შეძენა-მონტაჟისა და რეაბილიტაციის სამუშაოები - მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხები) (მეორე 2,5%)

ქ. ბათუმში, საცხოვრებელი სახლების ეზოს მიწისქვეშა კომუნიკაციების სარეაბილიტაციო სამუშაოები - მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

ქ. ბათუმში, ქუჩებსა და მრავალსართულიანი სახლების ეზოებში გარე განათების სამუშაოები - მომწოდებელ კომპანიას დასაფინანსებლად სამმართველოში შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

ქ. ბათუმში, მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების და ეზოების კომუნალური სისტემის მოწესრიგების სამუშაოები - მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

ქ. ბათუმში, მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები (ასფალტი, ფილა, ბორდიური, ჭების მოყვანა პროფილზე) - მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

ქ. ბათუმში, მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების (ასფალტი, ფილა, ბორდიური) კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები - მომწოდებელ კომპანიას დასაფინანსებლად სამმართველოში შესაბამისი დოკუმენტაცია არ



წარმოუდგენია, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

ქ. ბათუმში, გორგილადის ქ. N86ა-ში მდებარე შენობის სახლის გამაგრება-გამლიერების სამუშაოები - მომწოდებელ კომპანიას დასაფინანსებლად სამმართველოში შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 04 01-02 04 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 28 007,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 27 647,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,7%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქ. ბათუმში, ე.წ. „შანხაის დასახლებაში“ სოციალური სახლის მშენებლობა - 2023 წლის 16 თებერვლის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №21 ხელშეკრულებით (NAT220025957) გათვალისწინებული სამუშაოების წარმოება მიმდინარეობს, მომწოდებელ კომპანიას შესრულებულ სამუშაოებზე სამმართველოში დოკუმენტაცია არ წამოუდგენია. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №21 ((16.02.2023) (NAT220025957)) ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.6 პუნქტის თანახმად გაიცა ავანსი 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარი.

ურების ყოფილი ინტერნატის მზრუნველობამოკლებულ ხანდაზმულთა ცენტრად რეკონსტრუქცია-ადაპტაცია - განხორციელდა ჩამოტეხილი ღიობის მოჩარჩოება-გამლიერება 0,29 ტნ. ლითონის ელემენტებით; 279 ტნ. გრუნტი იქნა გატანილი 7 კმ. მანძილზე; 118 კვ.მ. საძირკვლის კედელი იქნა შელესილი ჰიდროიზოლაციის მოსაწყობად; 122,5 კვ.მ. საძირკველზე მოეწყო ჰიდროიზოლაცია; მოეწყო 181,8 კვ.მ. კედლები; მოეწყო 608,81 კვ.მ. ტიხარი; მოეწყო 5,21 კვ.მ. მონოლითური რკ/ბეტონის ზღუდარები; ჩაისვა 17,22 კვ.მ. მეტალოპლასტიკის ფანჯარა; მოეწყო 99,2 კვ.მ. მეტალოპლასტიკის ვიტრაჟი და ვიტრაჟ-კარი; მოეწყო 23,71 კვ.მ. ლითონის კარები; იატაკის საფუძველზე მოეწყო 1 410 კვ.მ. ცემენტის მჭიმის გამასწორებელი ფენა; სარდაფის იატაკზე მოეწყო 777,5 კვ.მ. ცემენტის მჭიმი; დაიგო და მოეწყო 284 კვ.მ. კერამოგრანიტის ფილები და პლინთუსები; მოეწყო 76,5 მ. კიბის ანაკრები ბეტონის მოზაიკურხედაპირიანი საფეხურები; დაიგო და მოეწყო 687 კვ.მ. მეთლახის ფილები და პლინთუსები; მოეწყო 52,8 გ/მ ლითონის მოაჯირები; კედლებზე აკრულ იქნა 630 კვმ. კაფელის ფილები; ფანჯრებისთვის მოეწყო 218 გრძ.მ. მეტალოპლასტმასის რაფები; შებათქაშდა 2 922,5 გრძ.მ. კარების და ფანჯრების ფერდობები; მოეწყო 2 047,7 კვ.მ. შეკიდული ჭერი; შეიღესა 2 078 კვ.მ. კედლები; სარდაფის სართულზე საყრდენი და პერიმეტრის 1 217 კვ.მ. კედლები შეიმოსა ქვიშა-ცემენტის ხსნარით; 8 708 კვ.მ. შიდა ზედაპირები დამუშავდა და მომზადდა შესაღებად; შენობის 1 220 კვ.მ. გარე კედლები დამუშავდა/გადაიღესა ფისოვანი ცემენტით; 1 220 კვ.მ. ფასადის ზედაპირები დამუშავდა ბეტონოკონტაქტის ხსნარით; შელესილ იქნა 310 კვ.მ. ზემირკველი და გარე



ზედაპირები; 110 კვ.მ. ზემირკველი შეიღება ნაშხეფით; 1 220 კვ.მ. კედლებზე გაკრულ იქნა თბოსაიზოლაციო ფილები; კარ-ფანჯრების ღიობების გარე გვერდულებზე გაკრულ იქნა 162 კვ.მ. თბოსაიზოლაციო ფილები; თბოსაიზოლაციო ფილებზე მოეწყო 710 კვ.მ. მარმირებელი ბადე; შენობისა და კარ-ფანჯრების ღიობების წიბოებზე დაყენებული იქნა 845 გ/მ პოლივინილქლორიდის კუთხის პროფილები მარმირებელი ბადით; 650 კვ.მ. ფასადის ზედაპირი დაფარულ იქნა ფასადის სპეციალური დეკორატიული ბათქაშით; გაყვანილ იქნა 234 გ/მ ცივი წყალმომარაგების პლასტმასის მილები; გაყვანილ იქნა 237 გ/მ ცხელი წყალმომარაგების პლასტმასის არმირებული მილები; მილსადენზე დაყენებულ იქნა 250 ც. ვენტილი; გაყვანილ იქნა 493 გ/მ საკანალიზაციო მილები; დამონტაჟდა 61 ც. გამწოვი ვენტულატორი; მოეწყო 8 კვ.მ. წრიული კვეთის ჰაერსატარი; მოეწყო 2 კომპლ. სამზარეულოს გამწოვი ქოლგა; მოეწყო 60 კომპლ. ხელსაბანი; მოეწყო 34 კომპლ. უნიტაზი; მოეწყო 30 ც. ტრაპი; მოეწყო 26 კომპლ. ლითონის უჟანგავი სარეცხელა; მოეწყო 2,66 კბ.მ. საკანალიზაციო ჭა; მოეწყო 127 ც. პანელური რადიატორი; გაყვანილ იქნა 349 გ/მ გათბობის პლასტმასის არმირებული მილები; მილსადენზე დაყენებული იქნა 307ც. ჩამკეტი არმატურა; 316 გ/მ მილებზე მოეწყო იზოლაცია; დაყენებულ იქნა 1 კომპლ. მთავარი გამანაწილებელი კარადა; მთავარ გამანაწილებელ კარადაში დამონტაჟდა 6 ც. ავტომატური ამომრთველი; დაყენებულ იქნა 4 ც. შემყვან-გამანაწილებელი ფარი; შემყვან-გამანაწილებელ ფარებში დამონტაჟდა 4 კომპლ. ძაბვის განმამხოლოებელი აპარატი; შემყვან-გამანაწილებელ ფარებში დამონტაჟდა 52 ცალი ავტომატური ამომრთველი; დაყენებულ იქნა 1 ც. ავარიული განათების ფარი; ავარიული ნათების ფარში დაყენებულ იქნა 1 ც. ავტომატური ამომრთველი; ლიფტის კომპლექტაციის ფარში დაყენებულ იქნა 1 ც. ავტომატური ამომრთველი; დაყენებულ იქნა 174 კომპლ. ჭერის სანათი; მოეწყო 30 გ/მ დამიწების ელექტროდი; დამონტაჟდა 4 880,8 გ/მ ელ. სადენი; დამონტაჟდა 1 კომპლ. აღრიცხვის კარადა; დამონტაჟდა 648 გ/მ ელ. კაბელი; დამონტაჟდა 6 ც. სანათი; მოეწყო 33,8 კბ.მ. რკ/ბეტონის საყრდენი კედელი; სანიაღვრე არხისთვის მოეწყო 150,1 გ/მ რკ/ბეტონის მილები; მოეწყო 6,4 კბ.მ. სანიაღვრე ჭა; მოეწყო 3,71 კბ.მ. ლიფტის შახტის რკ/ბეტონის საძირკვლის ფილა; მოეწყო 30,7 კბ.მ. ლიფტის შახტის რკ/ბეტონის კედელი და ფილა; მოეწყო 5,5 კბ.მ. კრ/ბეტონის კიბე; მოეწყო 3,1 კბ.მ. რკ/ბეტონის გადახურვის ფილა; მოეწყო 21 კვ.მ. სახურავის ცემენტის მჭიმბი, მოეწყო 21 კვ.მ. რბილი სახურავი სამი ფენა ბიტულინით; დამონტაჟდა 1 კომპლ. გათბობის ქვაბი; დამონტაჟდა 1 კომპლ. ცხელი წყლის ქვაბი; დამონტაჟდა 2 კომპლ. ჩქაროსნული თბომცვლელი; დამონტაჟდა 2 კომპლ. საფართოებელი ჭურჭელი, დაყენებულ იქნა 14 გ/მ საკვამლე მილი ქოლგით; დამონტაჟდა 36 გ/მ არმირებული პლასტმასის მილი; დაყენებულ იქნა 4 ც. ავტომატური ჰაერგამშვები; დაყენებულ იქნა 5 კომპლ. თერმომანომეტრი; მოეწყო 268 გ/მ დეკორატიული ღობე; 6 ც. საკანალიზაციო ჭა მოყვანილ იქნა საპროექტო ნიშნულზე; დაიგო 881 კვ.მ. ბეტონის დეკორატიული ფილები; მოეწყო 700 გ/მ ბეტონის ბორდიური; დაიგო 2 248 კვ.მ. კორდი; მოეწყო 1 კომპლ. ფანჩატური. აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით ხარჯთაღრიცხვაში საჭირო იყო რიგი სამუშაოთა მოცულობების კორექტირება, აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ ღონისძიება - "ურეხის ყოფილი ინტერნატის მზურველობამოკლებულ ხანდაზმულთა ცენტრად რეკონსტრუქცია ადაპტაციის სამუშაოებს" 2021 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული N77 ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებდა შპს „ბეგი ჯორჯია“, რომელსაც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, რაც გამოხატული იყო სამუშაოების არაჯეროვნად შესრულებაში და სამუშაოების მოწოდების ვადების დარღვევაში, 2022 წლის დეკემბრის თვეში შეუწყდა



ხელშეკრულება. აღნიშნულის გამო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ძირითადი ნაწილი, ნაწილობრივ იქნა განხორციელებული და გასული პერიოდის ზეგავლენის შედეგად საჭიროებდა გადაკეთებას, ხარვეზების გამოსწორებას, სამუშაოების მოცულობის ზრდას და განახლებას, რაც არ იყო გათვალისწინებული N102 (NAT230017478) ხელშეკრულებაში. არსებული სიტუაციის ანალიზის შედეგად, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა გახდა საჭირო და მხარეთა შეთანხმება N2-ის საფუძველზე სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა 2024 წლის 29 თებერვალის ჩათვლით პერიოდი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ღონისძიება გახდა გარდამავალი და ვერ განხორციელდა დაგეგმილი ინდიკატორის შესრულება.

ავარიული სახლების დემონტაჟი- მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია:

1. ქ. ბათუმში, ავარიული სახლების დემონტაჟი-მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია ფარგლებში, იოსებ გრიშაშვილის ქ. N9-ში ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით საცხოვრებელი სახლების დეტალური პროექტის მომზადება და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელება - შეძენილ იქნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. დემონტაჟი ჩაუტარდა იოსებ გრიშაშვილის ქ. N9-ში მდებარე შენობას და აღნიშნულ მისამართზე მიმდინარეობს 4 651 კვ.მ. ფართის, ხუთსართულიანი და 59 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. აშენდა ხუთი სართული, დასრულდა ფასადის მოპირკეთების სამუშაოები და მიმდინარეობს შიდა სივრცის კეთილმოწყობის სამუშაოები. აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით ქ. ბათუმში, თამარის დასახლება 40/გრიშაშვილის 9- ში და თამარის დასახლება 22-ში მცხოვრებ ბინათმესაკუთრებთან/ფაქტობრივ მოსარგებლებთან, მიმდინარეობდა ინდივიდუალური მოლაპარაკებების წარმოება, ალტერნატიული ფართების შეთავაზებაზე და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმებაზე. საცხოვრებელი ფართების შეთავაზების პროცესში გამოიკვეთა შეთანხმებულ არქიტექტურულ საპროექტო დოკუმენტაციაში ნაწილი ცვლილებების შეტანის საჭიროება. კერძოდ, საჭირო შეიქმნა ცვლილებების შეტანა საპროექტო დოკუმენტაციაში და 35 კვ.მ. , 36 კვ.მ. , 36,9 კვ.მ., და 46.5 კვ.მ. ბინების დამატება. განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით, არსებული გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო სამუშაოების დასრულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. შეთანხმებულ არქიტექტურულ საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის საჭიროებამ გამოიწვია სამუშაოების სრულიად შეჩერება, რაც აისახა სამუშაოს შესრულების გრაფიკზე. არსებული სიტუაციის გათვალისწინებით დღის წესრიგში დადგა ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საჭიროება და გრიშაშვილის ქ. N9-ში სამუშაოების შესრულების ვადა გაგრძელდა 2024 წლის 28 მარტის ჩათვლით. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ღონისძიება გახდა გარდამავალი და ვერ განხორციელდა დაგეგმილი ინდიკატორის მაჩვენებლის შესრულება.

2. ქ. ბათუმში, ავარიული სახლების დემონტაჟი-მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია ფარგლებში, გენერალ გიორგი კვინიტაძის ქ.№1,3,11-ში ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით საცხოვრებელი სახლების დეტალური პროექტის მომზადება და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოები განხორციელება - შეძენილ იქნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

დემონტაჟი ჩაუტარდა გენერალ გიორგი კვინიტაძის ქ. №1-ში, №3-ში და №11-ში მდებარე შენობებს. გენერალ გიორგი კვინიტაძის ქ. №1-ში მიმდინარეობს 1 227 კვ.მ.



ფართის, ექვს სართულიანი და 15 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. აშენდა ექვსი სართული, დასრულდა ფასადის მოპირკეთების სამუშაოები და მიმდინარეობს შიდა სივრცის კეთილმოწყობის სამუშაოები; გენერალ გიორგი კვინიტაძის ქ. №3-ში მიმდინარეობს 1 909,4 კვ.მ. ფართის, ექვს სართულიანი და 25 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. აშენდა ექვსი სართული, დასრულდა ფასადის მოპირკეთების სამუშაოები და მიმდინარეობს შიდა სივრცის კეთილმოწყობის სამუშაოები; გენერალ გიორგი კვინიტაძის ქ. №11-ში მიმდინარეობს 1 382,4 კვ.მ. ფართის, ექვს სართულიანი და 24 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. აშენდა ექვსი სართული, დასრულდა ფასადის მოპირკეთების სამუშაოები და მიმდინარეობს შიდა სივრცის კეთილმოწყობის სამუშაოები. აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით ქ. ბათუმში, კვინიტაძის ქუჩა N1/3/11-ში საცხოვრებელი სახლების მშენებლობის არსებულ არქიტექტურულ პროექტებში საჭირო გახდა შიდა გეგმარების ცვლილება. შესაბამისად ობიექტებზე გამოიკვეთა შეთანხმებულ არქიტექტურულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის საჭიროება. შესაბამისად აღნიშნულმა გამოიწვია სამუშაოების სრულად შეჩერება, რაც აისახა სამუშაოს შესრულების გრაფიკზე. ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ღონისძიება გახდა გარდამავალი და განხორციელდა დაგეგმილი ინდიკატორის მაჩვენებლის შესრულება.

ქ. ბათუმში, ავარიული სახლების დემონტაჟი-მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია ფარგლებში, ჯავახიშვილის ქუჩა №47-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამაგრება-რეაბილიტაცია - საძირკვლისა და სხვა კონსტრუქციული ელემენტების გაძლიერების მიზნით ხელით დამუშავდა 310 კვ.მ. გრუნტი; ლენტური საძირკვლის დასახულ ზედაპირზე მოეწყო 3,26 ტ. ლითონის ბადის პერანგი; შებათქაშდა ძირითადი შენობის მონოლითური ბეტონის ლენტური საძირკვლის 534 კვ.მ. ზედაპირი; გაძლიერდა 20,3 კვ.მ. მიშენებული ნაწილის საძირკვლები; მოეწყო 0,74 კვ.მ. რკ/ბეტონის სვეტები; გაძლიერდა და გაფართოვდა 18,825 კვ.მ. წერტილოვანი საძირკვლები; 1,828 ტნ. ლითონის ელემენტებით გაძლიერდა სვეტები; 0,823 ტნ. ლითონის ელემენტებით გაძლიერდა კოჭები; შებათქაშდა 204 კვ.მ. სვეტების, კოჭების და ფილის ქვედა ზედაპირები; შეილესა 64,2 კვ.მ. დასახული მოჩარჩოება მაღალხარისხოვანი ქვ/ცემენტის ხსნარით; შებათქაშდა 953 კვ.მ. ფასადის ზედაპირი; შებათქაშდა 492 გრძ.მ. კარ-ფანჯრების ფერდობები; შეილესა 953 კვ.მ. ფასადი; შეიღება 230 კვ.მ. ზემირკველი და კარ-ფანჯრების ფერდობები; მოეწყო 83 გრძ.მ. წყალსაწრეტი მილები. (დასრულდა).

ქ. ბათუმში, ხინიკაძის ქ.№7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები - მოეწყო 33 კვ.მ. ფუძე მდინარის ბალასტით, 2,1 კვ.მ. ბეტონის საფუძველი საძირკვლის ქვეშ, 8,6 კვ.მ. წერტილოვანი საძირკვლები, 7,2 კვ.მ. ლენტური საძირკვლები, 1,5 კვ.მ. საძირკვლის კოჭი, 48 კვ.მ. ფილა, 166 კვ.მ. კონსტრუქციული ბადე, 6,5 კვ.მ. რკ/ბეტონის სვეტები, 2,6 კვ.მ. კიბეები, 48 კვ.მ. გადახურვის ფილები, 1,8 კვ.მ. რკ/ბეტონის სართყელი და გულანები, 0,486 ტნ. მოაჯირი, 52,88 კვ.მ. კედლები და ტიხრები, 62,8 გ/მ წყალშემკრები ღარები, 12 ც. წყალმიმღები ძაბრი და მუხლი, 243 კვ.მ. სახურავი, 25 გრძ.მ. წყალსაწრეტი მილები, 37,76 კვ.მ. მეტალოპლასტმასის ფანჯრები, 20,13 კვ.მ. მეტალოპლასტმასის კარები, 9,45 კვ.მ. ლითონის კარები, 75,61 კვ.მ. ლამინირებული პარკეტის იატაკი, 37,52 კვ.მ. მეთლახის ფილები, 82,48 კვ.მ. იატაკი კერამოგრანიტის ფილებით, 330 გრძ.მ. ფლინტუსები, 614 კვ.მ. ბათქაში შიგა კედლებზე, ქერზე და სვეტებზე, 274 გ/მ ბათქაში კარ-ფანჯრების ფერდობებზე, 29,3 კვ.მ. კაფელის ფილები, 360 კვ.მ. ბათქაში გარე კედლებზე და სვეტებზე, 347 კვ.მ. ფილები ფასადზე, 106 გ/მ პოლიპროპილენის ცივი და ცხელი წყლის მილგაყვანილობა, 18 ც. ვენტილი და



ფილტრი, 8 გ/მ საკანალიზაციო მილსადენი, 3 ც. უნიტაზი, 3 კომპ. საშხაპე კაბინა და შხაპ-შემრევი, 3 ც. ხელსაბანი, 3 ც. ტრაპი, 112 გ/მ საკაბელო არხი, 28 გ/მ გოფირებული მილები, 20 გ/მ პოლივინილქლორი. მილები, 858 გ/მ ელ. სადენი, 2 კომპ. მთავარი გამანაწილებელი კარადა, 41 კომპ. ავტომატური ამომრთველი, 20 ც. გამანაწილებელი კოლოფები ვენტილაციისათვის, 17 ც. ჩაფლული ტიპის ჩამრთველები, 30 ც. ჩაფლული ტიპის როზეტი, 79 კომპ. ლედ ტიპის სანათი, 3 კომპ. ჭერის გამწოვი, 34 გრძ.მ. სპილენძის ძარღვიანი დამიწება, 20 გ/მ გათბობის პოლიპროპილენის ცხელი წყლის მილსადენი, 20 ც. რადიატორი, 42 ც. ვენტილი და ვანტუზი, 10 ც. ცხელი წყლის ვენტილი, 2 ც. საშრობი, 3 კომპ. გათბობის ქვაბი, 30 გ/მ წყალგაყვანილობა პოლიპროპილენის მილებით, 14 გ/მ კანალიზაციის პლასტმასის მილები; 398 კვ.მ. გარე კედლები შეიღება ფერდობის ჩათვლით; შეიღება 197,5 კვ.მ. ჭერი; შეიღება 633,25 კვ.მ. შიგა კედლები. (დასრულდა)."

ქ.ბათუმში, 26 მაისის 13-ში საცხოვრებელი სახლის მშენებლობა - დემონტაჟი ჩაუტარდა 26 მაისის 13-ში მდებარე შენობას და აღნიშნულ მისამართზე მიმდინარეობს 5 683,3 კვ.მ. ფართის, რვა სართულიანი და 66 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. აშენდა რვა კარკასული სართული და მიმდინარეობს კედლებისა და ტიხრების მოწყობის სამუშაოები.

ქალაქ ბათუმში, კახაბრის ქ. №30-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი და ახალი სახლის მშენებლობა - აღნიშნულ მისამართზე მცხოვრებ მოსახლეობასთან მოლაპარაკებების წარმოების დროს ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება ფართების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით. ავარიულ სახლში რეგისტრირებულმა ამხანაგობამ საერთო კრების ოქმით დაადასტურა არსებული წესის შესაბამისად ბინების ჩანაცვლებაზე უარი. აქედან გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული სახლების და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელმა მუდმივმოქმედმა საბჭომ N25 ოქმით, მიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ქალაქ ბათუმში, კახაბრის ქუჩა N30-ში მდებარე ავარიული სახლი ამ ეტაპზე ამოღებულ იქნეს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამიდან „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“.

ს.ხიმშიაშვილის ქ. №94-96-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი და ახალსახლის მშენებლობა - დემონტაჟი ჩაუტარდა ს.ხიმშიაშვილის ქ. №94-96-ში მდებარე შენობას და აღნიშნულ მისამართზე მიმდინარეობს 9 544,5 კვ.მ. ფართის, რვა სართულიანი და 182 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მოეწყო საცხოვრებელი სახლის საძირკველი. "

ქ. ბათუმში, ავარიული სახლების დემონტაჟი-მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოები - დასრულდა ჯავახიშვილის ქ. N47-ში, ჯავახიშვილის ქ. N61-ში, რუსთაველის ქ. N10-ში და თამარის დასახლება კორპ. N8-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების გამაგრება-გამლიერების სამუშაოები.

ავარიული სახლების დემონტაჟი-მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია ფარგლებში, ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. N3ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი და ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა - 2023 წლის 28 ივნისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №76 ხელშეკრულების (NAT230007210) გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს არსებული საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი და 4 228,7 კვ.მ. ფართის, თორმეტ სართულიანი, 61 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ამ ეტაპზე მობინადრეების დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური აწარმოებს მოლაპარაკებებს მაიაკოვსკის ქ. N3ა-ში მდებარე



საცხოვრებელ სახლში მცხოვრებ მოქალაქეებთან, რასაც სჭირდება გარკვეული პერიოდი, შესაბამისად მოლაპარაკებების დასრულებამდე ვერ დაიწყება პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოება.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექნიკური დამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე. ანგარიშსწორება მომწოდებელ კომპანიასთან ხდება კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოების შემსრულებელი მომწოდებელი კომპანიის მიერ შემოთავაზებული საბოლოო სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად შესაბამისი პროცენტის ოდენობით. ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ. მომწოდებელმა კომპანიამ არ წარმოადგინა შესრულებული სამუშაოების შესაბამისი დოკუმენტაცია სამმართველოში, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება. "

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხები) (მეორე 2,5%) - ქ. ბათუმში 26 მაისის ქ. N106-ში მდებარე საოჯახო ტიპის სახლისა და ეზოს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები - მომწოდებელ კომპანიას დასაფინანსებლად სამმართველოში შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

➤ მიღწეული შედეგები:

მოქალაქეებისათვის გაუმჯობესდა საცხოვრებელი პირობები.

მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05)

მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სასაფლაოები.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 894,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 887,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,2%.

➤ პროგრამის აღწერა:

2023 წლის წლის განმავლობაში ყოველდღიურად იწმინდებოდა საფლავზე მისასვლელი ბილიკები და საფლავები, მიმდინარეობდა წყალარინების სისტემის, წყლის ქსელების, გზების, შენობებისა და სასაფლაოს სხვა სტრუქტურების წესრიგში მოყვანა, სასაფლაოების მოვლა-პატრონობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების და მოწყობილობების შეძენა, მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების გადახდა,



მიცვალბულთა დაკრძლვისათვის საჭირო მომსახურეობის გაწევა. საანგარიშო პერიოდში კეთილმოეწყო 270 საფლავი, დაიკრძალა 496 მიცვალბული, ამოსვენებული იქნა 7 მიცვალბული, ამოსვენებული და სხვა სასაფლაოზე გადასვენებული იქნა 7 მიცვალბული, დაიკრძალა 5 ფერფლის ურნა, გამოყოფილია 36 ერთადგილიანი საფლავი, 33 ორადგილიანი საფლავი, 4 სამადგილიანი და 1 ოთხადგილიანი საფლავი. გაცემულია 92 საფლავის მოწმობა. სარიტუალო მომსახურეობიდან მიღებულია 70135 ლარი. საფლავის მოწმობის გაცემიდან 1820 ლარი. სარიტუალო სერვისების განხორციელებაზე კონტროლს ახორციელებს მონიტორინგის ჯგუფი.

2022 წლის პირველი იანვრიდან შეიქმნა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ბრიგადა 5 კაცის შემადგენლობით, რომლებიც აღჭურვილია სამუშაო იარაღებით და სპეც-ტანსაცმელით. მონიტორინგის ჯგუფი აწარმოებდა შემოწმებას და უზრუნველყოფდა ხარვეზის და ნაკლოვანების გამოსწორებას, განსაკუთრებული კონტროლი იქნა დაწესებული იმ საფლავებზე, რომლებზეც ხორციელდება კეთილმოწყოების სამუშაოები. შეკეთდა ფერიის სასაფლაოს რკინის ღობის ჭიმკრები და ანჯამები. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ცენტრალურ შესასვლელ ჭისკარს. ფერიის სასაფლაოზე შეიცვალა საოფისე ჯიხური. არსებული გამოყენებული იქნა სამუშაო იარაღებისა და მუშა-მესაფლავეების გარდერობად.

ა(ა)იპ ბათუმის სასაფლაოებს მართვაში გადმოცემული აქვს შემდეგი სასაფლაოები:

1. ქ. ბათუმის ფერიის სასაფლაო, მისამართი სერგი მესხის ქუჩა N 75. ფართობი 153080კვ.მ საკადასტრო კოდი 05.29.47.041;
2. ქ. ბათუმის ბათუმგორის სასაფლაო, მისამართი ყადირ შერვაშიძის აღმართი, ფართობი 9000 კვ.მ,საკ.კოდი05.31.05.010;
3. ქ. ბათუმი, დასახლება ურეხი, მამია ვარშანიძის წყაროსთან, ფართობი 77813კვ.მ საკ. კოდი 05.31.06.121;
4. ქ. ბათუმი, ზედაღელის სასაფლაო, მისამართი ურეხის დასახლება N7ა, საკ. კოდი 05.31.06.201;
5. ქ. ბათუმი ზედა ინჯალოს სასაფლაო მისამართი, ურეხის დასახლება, შარაშიძის N50-თან, ფართობი 11189 კვ.მ. საკ.კოდი 05.31.07.178;
6. ქ. ბათუმი, თოდოგაურის დასახლება, მისამართი მაჭახლის ქ. N30. საკ. კოდი 05.32.08.768;
7. ქ. ბათუმი, კახაბერი „სტეფანოვკის სასაფლაო“, მისამართი ფრიდონ ხალვაშის N44, ფართობი 21894 კვ.მ, საკ. კოდი 05.32.07.770;
8. ქ. ბათუმი, ქვედა ინჯალოს სასაფლაო, მისამართი ურეხის დასახლება, შარაშიძის ქ. 5 ჩიხი;
9. ქალაქი ბათუმი, მახინჯაურის სასაფლაო, მისამართი ჰორტენზიის ქუჩა N3, ფართობი 2713 კვ.მ, საკ. კოდი 05.34.23.253;
10. ქ. ბათუმი, მახინჯაურის სასაფლაო (მწვანე კონცხის ცენტრალური სასაფლაო) N1, მისამართი ჰორტენზიის ქუჩა N30-31, ფართობი 22715 კვ.მ, საკ. კოდი 05.34.23.255;
11. ქ. ბათუმი, მახვილაურის სასაფლაო, მისამართი ხელვაჩაური ნ. მუსხელიძის 103 (არ დარეგისტრირდა)
12. დაბა ჩაქვის სასაფლაო, ფართობი 177073 კვ.მ. საკ. კოდი 20.48.06.039;

უპატრონო მიცვალბულთა დაკრძალვა - უპატრონო მიცვალბულთა დაკრძალვისათვის გამოყოფილია ადგილი დაბა ჩაქვში. დაკრძალვას ახორციელებს კონტრაქტორი კომპანია. 2023 წელს დაკრძალული იქნა 16 უპატრონო მიცვალბული; რეგისტრირებულია სპეციალურ ჟურნალში და მინიჭებული აქვს ნომერი;



მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - შექმნილია საცელაავი აპარატები და სამეურნეო ინვენტარი, ელექტრული საიტის სერვერისათვის პროცესორი და ორი ცალი ლაზერული პრინტერი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოვლილი და მოწესრიგებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 02 06)

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო (პროგრამული კოდი 02 06 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2 506,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 234,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 89,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ადმინისტრირება და მართვა - უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის ქვეპროგრამების მართვა.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - შესყიდულ იქნა: კომპიუტერი - 20 ცალი; პრინტერი - 7 ცალი; კონდიციონერი - 2 ცალი. აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით განვიმარტავთ, რომ გეგმით გათვალისწინებული საოფისე სავარძლების შესყიდვა 2023 წლის განმავლობაში ვერ განხორციელდა, რადგან, მიუხედავად იმისა რომ დაგეგმვის დროს სრულად განხორციელდა ბაზრის შესწავლა და იმ პერიოდისათვის გათვალისწინებული ასიგნება მთლიანად შეესაბამებოდა ხარისხიანი სავარძლების შესყიდვას, საბიუჯეტო წლის განმავლობაში აღნიშნულმა საქონელმა განიცადა ფასთა ცვლილება, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატებოდა გეგმით გათვალისწინებული ერთეულის ფასს, ხოლო გეგმით გათვალისწინებული ხუთი სავარძლის შესყიდვის ნაცვლად, მცირე რაოდენობის შესყიდვა ვერ შეცვლიდა არსებული მოთხოვნის აუცილებლობას. აქვე განვიმარტავთ, რომ 2023 წლის განმავლობაში წარმოიშვა იმაზე მეტი კომპიუტერული და პერიფერიული ტექნიკის შექმნის (პრინტერები) საჭიროება ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, აღნიშნულიდან გამომდინარე, სამმართველოში დასაქმებული თანამშრომლების სამსახურებრივი საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, სამმართველომ, მიზანშეწონილად მიიჩნია, გეგმით გათვალისწინებული საოფისე სავარძლების შესასყიდი გამოთავისუფლებული თანხის დამატება კომპიუტერული და პერიფერიული ტექნიკის შესაძენ თანხაზე, რამაც გამოიწვია აღნიშნულ სამუშაოზე გეგმით გათვალისწინებულ ასიგნებაზე მეტობით სხვაობა, მაგრამ, აღნიშნულ ქმედებას არ გამოუწვევია ღონისძიება „მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება“- სთვის გამოყოფილი საერთო ასიგნების გაზრდა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის ქვეპროგრამების მართვა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 06 02)



➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3 538,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 269,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92,4%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შესყიდულია 27 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ტენდერებისა და სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიების შედეგად მივიღეთ დაგეგმილ ინდიკატორის მაჩვენებელსა და შესრულებულ მაჩვენებელს შორის მეტობით სხვაობა.

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების, საყრდენი კედლების, მიწისქვეშა კომუნიკაციებისა და სხვა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შესყიდულია 91 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

პარკების, მოედნების, სკვერების, ეზოების, სპორტული მოედნების და სხვა მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შესყიდულია 22 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროექტების განხორციელების მიზნით) - შესყიდულია 340 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ტენდერებისა და სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიების შედეგად მივიღეთ დაგეგმილ ინდიკატორის მაჩვენებელსა და შესრულებულ მაჩვენებელს შორის მეტობით სხვაობა.

სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შესყიდულია 162 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ტენდერებისა და სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიების შედეგად მივიღეთ დაგეგმილ ინდიკატორის მაჩვენებელსა და შესრულებულ მაჩვენებელს შორის მეტობით სხვაობა."

ხიდბოგირებისა და ხიდების მოწყობა აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შესყიდულია 13 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ტენდერებისა და სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიების შედეგად მივიღეთ დაგეგმილ ინდიკატორის მაჩვენებელსა და შესრულებულ მაჩვენებელს შორის მეტობით სხვაობა.

წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შესყიდულია 4 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ავარიული სახლების, შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ღონისძიებების ექსპერტიზა - ექსპერტიზა ჩატარდა 54 ერთეულ ავარიულ სახლსა და შენობა-ნაგებობას.

კონკურსები - შესყიდულია 2 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. კონკურსებისა და სამუშაოების წარმოებით წარმოქმნილი ეკონომიის შედეგად, ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება. ქ. ბათუმში, დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მომსახურება - დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა განხორციელდა ექვს მისამართზე.

წინა პერიოდის დავალიანება - მომწოდებელი კომპანიების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციების შესაბამისად დაიფარა დავალიანება. მომწოდებელ კომპანიასთან



დაკავებული თანხის ანგარიშსწორება ხდება მის მიერ შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ. ვინაიდან რიგ შემთხვევებში ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიებმა სამშენებლო სამუშაოები ვერ აწარმოეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, აქედან გამომდინარე მომწოდებელმა კომპანიამ დაკავებული თანხის დასაფინანსებლად დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა და ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

მიღწეული შედეგები:

მომზადდა ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 06 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 10 044,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 7 301,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 72,7%. უწყვეტად ხორციელდებოდა ავარიულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში მცხოვრები იმ მოქალაქეებით ბინის ქირით უზრუნველყოფა, რომლებიც საჭიროებდნენ შესაბამის დახმარებას, ასევე მიმდინარეობდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და კეთილმოწყობითი სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით საკონპესაციო თანხების გაცემა, მაგრამ რიგ შემთხვევებში ტერიტორიის მესაკუთრეებთან (ადლიისა და ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩების შემაერთებელი ქუჩის მშენებლობის პროექტის ფარგლებში ვერ იქნა მიღწეული შესაბამისი შეთანხმება ქონების გადმოცემასთან დაკავშირებით) მოლაპარაკების პროცესის დროში გახანგრძლივების გამო ვერ მოხერხდა ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება.

➤ პროგრამის აღწერა:

„საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო ორი ღონისძიების განხორციელება, მათ შორის: „მოქალაქეთა ბინის (ავარიული) ქირის საფასურით უზრუნველყოფა“ და „ავარიული ან/და დაზინებული შენობა ნაგებობების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საკონპესაციო თანხებით უზრუნველყოფა“.

მოქალაქეთა ბინის (ავარიული) ქირის საფასურით უზრუნველყოფა ფარგლებში უსაფრთხო გარემოში ქირით გაყვანილ იქნა მოსახლეობა შემდეგი მისამართებიდან: 26 მაისის ქუჩა №13; გენ. კვინიტაძის ქუჩა №1; გენ. კვინიტაძის ქუჩა №3; 9 მარტის ქუჩა №3; ტბელ-აბუსერიძის ქუჩა №29ა; წერეთლის ქუჩა №5; კანდელაკის ქუჩა №5; აკაკი შანჭიძის ქუჩა №12; პარმენ რურუას ქუჩა №1ა; მუსხელიშვილის ქუჩა №79; ჯავახიშვილის ქუჩა №47; თამარის დასახლება №40/გრიშაშვილის ქუჩა №9, სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩა №94/96; შავშეთის ქუჩა №29 (ე.წ. შანხაის დასახლება); ფრიდონ ხალვაშის გამზირი №322; პუშკინის ქუჩა N133; სულ დაკმაყოფილებული იქნა 251 ოჯახი.

ქონების გამოსყიდვის მიზნით მოქალაქეთა საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფის ფარგლებში ექსპროპრიატორის მიერ განხორციელდა, ინასარიძის ქუჩის ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩამდე გაგრძელების (შეერთების) პროექტთან



დაკავშირებით - ქუჩის მოწყობის არეალში მოქცეული, საექსპროპრიაციო ქონების (ქ. ბათუმში, ანგისას III ჩიხის №12-ში მდებარე 208.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 47,97 კვ.მ. საერთო ფართის შენობა-ნაგებობის, ს/კ №05.32.12.266) მესაკუთრის საკომპენსაციო თანხის - 243 062,0 (ორას ორმოცდასამი ათას სამოცდაორი) ლარის გადახდა. (ბრძანება ბ14. 14233343, 30.11.2023წ); ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელების (შეერთების) პროექტთან დაკავშირებით - ქუჩის მოწყობის არეალში მოქცეული, საექსპროპრიაციო ქონების (ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. №91-ში მდებარე 1822.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - ს/კ №05.23.12.011) თანამესაკუთრებზე საკომპენსაციო თანხის - 4 162 948,0 (ოთხი მილიონ ას სამოცდაორი ათას ცხრაას ორმოცდარვა) ლარის თანაბრად გადახდა. (ბრძანება ბ14. 142336017, 26.12.2023წ). ჯამში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წელს გამოსყიდული იქნა 4 406 010, 0 ლარის უძრავი ქონება.

რაც შეეხება 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ დარჩენილ 2 000 000 ლარის ათვისებას, რომელიც გათვალისწინებული იყო ადლიისა და ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩების შემაერთებელი ქუჩის მშენებლობის პროექტის ფარგლებში გამოსასყიდი ქონებისთვის, იმის გამო ვერ იქნა ათვისებული, რომ მხარესთან გასულ წელს ვერ იქნა მიღწეული შესაბამისი შეთანხმება ქონების ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ბინის) მოქალაქისათვის ჟ.ფ. უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ“ 2023 წლის 05 სექტემბრის #ბ14. 142324841 ბრძანებით გაიცა საკომპენსაციო თანხა 8800 ლარის ოდენობით.

ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 07)

ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 07 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 5 319,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 5 274,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,2%.

➤ პროგრამის აღწერა:

საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება:

ქალაქ ბათუმში, საშობაო-საახალწლო დღეებში ქალაქის გაფორმების სამუშაოები (2022-2023 წელს) - განხორციელდა 601 ცალი კონსტრუქციის, 200 კომპლექტი კონსტრუქციისა და 15 950 ცალი გირლიანდის დემონტაჟი. (დასრულდა).

ქალაქ ბათუმში, საშობაო-საახალწლო დღეებში ქალაქის გაფორმების სამუშაოები (2023-2024 წელს) - დამონტაჟდა საახალწლო მანათობელი კონსტრუქციები და სხვადასხვა მოწყობილობები, კერძოდ: 3 539 ერთეული ლედ-სტრინგი, 1 224 ერთეული ლედ-ჯონჯოლი, 271 ერთეული მეტეორი განათება, 8 350 ერთეული ლედ-დიოდური განათება, 4 ერთეული 3D დეკორაცია ლოტუსი, 1 472 ერთეული 2D დეკორაცია ბალახი, 46 ერთეული 3D დეკორაცია ღუზა, 45 ერთეული 3D დეკორაცია ყვავილი ლოტუსი, 4 500 ერთეული დეკორაცია ტალღა, 80 ერთეული 2D დეკორაცია გემი, 1 ერთეული 3D დეკორაცია დელფინები, 60 ერთეული დეკორაცია ვეშაპის კუდი, 29 ერთეული დეკორაცია თოლია, 50 ერთეული 2D დეკორაცია ბაბუაწვერა მზე, 156 ერთეული 2D



დეკორაცია შობის ვარსკვლავი, 36 ერთეული კონსტრუქცია განათებული ბორჯღანო, 20 ერთეული კონსტრუქცია განათებული ბორბალი, 91 ერთეული განათება ბადე, 151 ერთეული კონსტრუქცია 3D ფეერვერკი, 117 ერთეული 3D დეკორაცია ბაბუაწვერა, 30 ერთეული 2D დეკორაცია ფიფქი, 2 ერთეული 3D დეკორაცია მატარებელი, 2 ერთეული 3D ლედ დეკორაცია საჩუქრის ყუთი, 1 ერთეული 3D კონსტრუქცია „2024“, 1 ერთეული 3D დეკორაცია სასაჩუქრე ყუთები, 50 ერთეული დეკორატიული კონსტრუქცია „ფიფქი“, 11 ერთეული დეკორატიული კონსტრუქცია „ნამვის ხე“, 14 000 ერთეული დეკორატიული გირლიანდა, 1 ერთეული კონსტრუქცია „ნამვის ხე“.

ქალაქ ბათუმში, საშობაო-საახალწლო დღეებში ქალაქის გაფორმებისათვის საახალწლო მანათობელი კონსტრუქციების და სხვადასხვა მოწყობილობების შესყიდვა - შესყიდულ იქნა საახალწლო მანათობელი კონსტრუქციები და სხვადასხვა მოწყობილობები, კერძოდ: 3 539 ერთეული ლედ სტრინგი, 1 224 ერთეული ლედ ჯონჯოლი, 271 ერთეული მეტეორი განათება, 8 350 ერთეული ლედ დიოდური განათება, 4 ერთეული 3D დეკორაცია ლოტუსი, 1 472 ერთეული 2D დეკორაცია ბალახი, 46 ერთეული 3D დეკორაცია ღუზა, 45 ერთეული 3D დეკორაცია ყვავილი ლოტუსი, 4 500 ერთეული დეკორაცია ტალღა, 80 ერთეული 2D დეკორაცია გემი, 1 ერთეული 3D დეკორაცია დელფინები, 60 ერთეული დეკორაცია ვეშაპის კუდი, 29 ერთეული დეკორაცია თოლია, 50 ერთეული 2D დეკორაცია ბაბუაწვერა მზე, 156 ერთეული 2D დეკორაცია შობის ვარსკვლავი, 36 ერთეული კონსტრუქცია განათებული ბორჯღანო, 20 ერთეული კონსტრუქცია განათებული ბორბალი, 91 ერთეული განათება ბადე, 151 ერთეული კონსტრუქცია 3D ფეერვერკი, 117 ერთეული 3D დეკორაცია ბაბუაწვერა, 30 ერთეული 2D დეკორაცია ფიფქი, 2 ერთეული 3D დეკორაცია მატარებელი, 2 ერთეული 3D ლედ დეკორაცია საჩუქრის ყუთი, 1 ერთეული 3D კონსტრუქცია „2024“, 1 ერთეული 3D დეკორაცია სასაჩუქრე ყუთები. (დასრულდა)

ენვერ ხაბაძის ქანდაკების დამზადება და განთავსება - ქ. ბათუმში, საზაფხულო თეატრის მიმდებარედ დამზადდა და დამონტაჟდა ენვერ ხაბაძის მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლი (ქანდაკება).

მიღწეული შედეგები:

განხორციელდა ქალაქის გაფორმების ღონისძიებები, შეიქმნა სადღესასწაულო გარემო.

ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 07 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1 841,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 784,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,9%.

➤ პროგრამის აღწერა:

1. ქალაქ ბათუმში სხვადასხვა სახის სამხატვრო გაფორმების სამუშაოები - მთელი ქალაქის მასშტაბით წარწერებისა და ლაქებისაგან გაიწმინდა და გასუფთავდა 6000 კვმ შენობების ფასადები და კედლები; გაიწმინდა და შეიღება 2663 კვმ კედელი; სხვადასხვა მისამართზე დამზადდა 7 მემორიალური დაფა;

2. ქალაქ ბათუმში დროშების შექმნა მონტაჟითა და დამონტაჟებით - ქალაქში სადღესასწაულო განწყობის შექმნის მიზნით შეიკერა და გამოიფინა (მონტაჟი -



დემონტაჟი) 214 ცალი დროშა ზომით 1.5 კვმ X 1.00 კვმ; ამავე მიზნით შეიკერა და გამოიფინა არასტანდარტული ზომის 9X6 - 10 ცალი და 1,95 X 5 – 16 ცალი დროშა, ალამი ზომით 0.5 X 0.7 - 4242 ცალი, დროშა ზომით 2 X 1 - 400 ცალი, არასტანდარტული დროშა 0,5*2 - 52 ცალი. ასევე დამონტაჟდა 100 ცალი მარტულლი.

3. ქალაქ ბათუმში საცხოვრებელი სახლების საინფორმაციო ფირნიშების შექმნა-მონტაჟი, ქუჩის მიმართულების მანიშნებელის შექმნა-მონტაჟი - საანგარიშგებო პერიოდში საცხოვრებელი სახლებისთვის დამზადდა და დამონტაჟდა 500 ერთეული დამისამართების აბრა და ასევე ქუჩის მიმართულების მიმანიშნებელი ბანერი 100 ცალის ოდენობით.

4. ბიუსტების ძეგლების და ქანდაკებების მოვლა-დასუფთავება - თვეში ერთჯერ იწმინდებოდა და გასუფთავდა 9 ერთეული ძეგლი შემდეგ მისამართებზე: ილია ჭავჭავაძის ძეგლი - დრამატული თეატრის მიმდებარედ; მემედ აბაშიძის ძეგლი - თავისუფლების მოედანი; გალაქტიონ ტაბიძის ძეგლი - ტაბიძის ქუჩაზე არსებულ სკვერში ჟიული შარტავას ძეგლი- ჟიული შარტავას ქუჩის გზაგამყოფ ზოლში; რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი - ჯავახიშვილის ქუჩაზე არსებულ სკვერში; 9 აპრილის მემორიალი-ჟიული შარტავას ქუჩის გზაგამყოფ ზოლში. 10 თვის განმავლობაში ყოველთვიურად გაიწმინდა და გასუფთავდა 20 ერთეული ბიუსტი შემდეგ მისამართებზე: ა. წერეთლის ბიუსტი - გრიბოედოვის ქუჩა N 22 სკოლის ეზოში; ვ. მაიაკოვსკის ბიუსტი - ბაგრატიონის ქ. N 123-ის მიმდებარედ; შ. რუსთაველის ბიუსტი - შ. რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ეზოში; ფ. გოგიტიძის ბიუსტი - აეროპორტის შესასვლელთან; ს. ჟღენტის ბიუსტი - სასტუმრო „რედისონი“-ს მიმდებარედ; დ. კლდიაშვილის ბიუსტი - მელიქიშვილისა და კლდიაშვილის ქუჩების კვეთაში; ვაჟა ფშაველას ბიუსტი - ხელოვნების მუზეუმის მიმდებარედ; ლუკა ასათიანის ბიუსტი - ხელოვნების მუზეუმის მიმდებარედ; ს. ხიმშიაშვილის ბიუსტი - ბაგრატიონისა და ს. ხიმშიაშვილის ქუჩების კვეთაში; პ. მელიქიშვილის ბიუსტი - მელიქიშვილის ქუჩის დასაწყისში; ნიკო ფიროსმანაშვილის ბიუსტი - ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე სკვერში; ისრაფილ ჯინჭარაძის ბიუსტი - მახინჯაურის ცენტრში მდებარე სკვერში; ილია ჭავჭავაძის ბიუსტი - ჭავჭავაძის ქუჩის დასაწყისში; აკაკი წერეთლის ბიუსტი - წერეთლის ქუჩაზე N23 სკოლის ეზოში; შ. რუსთაველის ბიუსტი - პუშკინის ქუჩაზე N4 სკოლის ეზოში; ისრაფილ ჯინჭარაძის ბიუსტი - მოსწავლე ახალგაზრდობის პარკში. გაიწმინდა და გასუფთავდა ჟიული შარტავას ქუჩის გზაგამყოფ ზოლში არსებულ სკვერში განლაგებული 9 ცალი ქანდაკება 10 თვის განმავლობაში ყოველთვიურად, ასევე გაირეცხა და დასუფთავდა მედეას ძეგლი მაღალი სიმაღლის წვდომის ავტო-ამწეითი 3-ჯერ ათი თვის განმავლობაში. ამავე პერიოდში შერემონტდა 100 ცალი ქუჩის მანიშნებელი ბანერი.

5. ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა, შეკეთება-მოწყობა - ქალაქის მასშტაბით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ეზოებში შეკეთდა 259 ცალი ფანჩატური, 908 ცალი საბაღე სკამი, 99 ერთეული ატრაქციონი, კაუჩუკის საფარი დაიგო 19 მისამართზე (1289 კვმ.); რეაბილიტაცია ჩაუტარდა საცხოვრებელი კორპუსების 54 ერთეულ სახურავს, 98 ერთეულ წყალსაწრეტ მილს და 79 ერთეულ წყალშემკრებ ღარს.

სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი) შედეგად რეაბილიტაცია ჩაუტარდა 39 ერთეულ საცხოვრებელი სახლის სახურავს, ასევე დაზიანებული ფასადების გაწმენდითი და სალიკვიდაციო სამუშაოები ჩატარდა 18 მისამართზე; ქალაქის მასშტაბით სპორტულ მოედნებზე, სკვერებში და სერვისცენტრის შენობებში სულ 82 მისამართზე განხორციელდა დაზიანებული განათების სისტემის აღდგენა; ქალაქის ფარგლებში,



კერძოდ სამ მისამართზე მოეწყო შადრევნების უსაფრთხოების კონტურები, კვირაში 2-ჯერ ირეცხებოდა და სუფთავდებოდა შადრევნები 12 ლოკაციაზე. ქალაქის მაშტაბით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კორპუსების ეზოებში 36 სპორტულ მოედანს ჩაუტარდა შეკეთებითი სამუშაოები, მათ შორის სრული რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს ხელოვნური საფარის, მავთულბადის ღობის, ფეხბურთის კარისა და კალათბურთის ბადეების შეცვლას, განხორციელდა - 8 მისამართზე.

➤ მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია ქალაქის გაფორმების ღონისძიებები, შექმნილია სადღესასწაულო გარემო.

ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 00)

ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 16 104,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 16 099,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქის იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგების, ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვის, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობის მიზნით წლის განმავლობაში რეგულადულად მიმდინარეობდა რიგი ღონისძიებების გატარება, მათ შორის: დასუფთავდა ქალაქის ტერიტორია 5 555 000 კვმ-ზე; გატანილი იქნა 102 000 ტონა ანახვეტი და საყოფაცხოვრებო ნარჩენი; განხორციელდა უტილიზაცია 102 000 ტონა ანახვეტისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენის.

➤ მიღწეული შედეგები:

უზუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება.

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 13 968,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 13 887,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,4%.



პროგრამის აღწერა:

ქ. ბათუმში, ჩაქვის დასახლებაში სარეკრეაციო სივრცის და მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურის მოწყობა (პროექტირება/მშენებლობა) - შესყიდულ იქნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ქ. ბათუმში, დ. აღმაშენებლის ქუჩა #32-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 613 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 435,7 გრძ.მ. ბორდიური, 1 კომპლ. ატრაქციონი, 1 ცალი ფანჩატური, 8 ც. დეკორატიული სკამი, 6 ც. სანაგვე ურნა, 218,6 კვ.მ. მწვანე კორდი, 4 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, 199 გრძ.მ. ელ. სადენი. (დასრულდა).

ქ. ბათუმში, დ. აღმაშენებლის ქუჩა #30-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 510 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 453 გრძ.მ. ბორდიური, 28,84 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 16,5 კვ.მ. რკ/ბეტონის მჭიმი, 110 კვ.მ. კაუჩუკის საფარი, 1 ცალი ფანჩატური, 15 ც. დეკორატიული სკამი, 13 ც. სანაგვე ურნა, 350 კვ.მ. მწვანე კორდი, 3 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, 163 გრძ.მ. ელ. სადენი. (დასრულდა).

ქ. ბათუმში, დ. აღმაშენებლის ქუჩა #34-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 0,32 კვ.მ. რკ/ბეტონის ჭების თავსახურები, 366,48 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 322 გრძ.მ. ბორდიური, 1 კომპლ. ატრაქციონი, 1 ცალი ფანჩატური, 8 ც. დეკორატიული სკამი, 6 ც. სანაგვე ურნა, 118,8 კვ.მ. მწვანე კორდი, 3 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, 163 გრძ.მ. ელ. სადენი; 1 ცალი ჭა მოყვანილ იქნა საპროექტო ნიშნულამდე. (დასრულდა).

ქ. ბათუმში, გ. ანწუხელიძისა და ადლიის ქუჩების კვეთაში სკვერის მოწყობა - მოეწყო 625 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი, 1050 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 562 გრძ.მ. ბორდიური, 22,46 კვ.მ. რკ/ბეტონის მჭიმი, 27,7 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 1 კომპლ. ატრაქციონი, 1 კომპლ. ახალი სავარჯიშო ტრენაჟორები, 17 ც. დეკორატიული სკამი, 10 ც. სანაგვე ურნა, 830,1 კვ.მ. მწვანე კორდი, 9 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, 400 გრძ.მ. ელ. სადენი, 15 კვ.მ. რკ/ბეტონის ლენტური საძირკველი და ზეძირკველი, 585,1 კვ.მ. ბეტონის მჭიმი, 600 კვ.მ. სტადიონის ხელოვნური საფარი, 0,96 კვ.მ. ჭის თავსახური, 83,50 კვ.მ. სტადიონის შემოფარგვლა მავთულბადე უჯრედით; 1 ცალი ჭა მოყვანილ იქნა საპროექტო ნიშნულამდე. (დასრულდა).

ქ. ბათუმში, კოტე აფხაზის ქუჩაზე კალათბურთის მოედნის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 620 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 350 გრძ.მ. ბორდიური, 8 ც. დეკორატიული სკამი, 6 ც. სანაგვე ურნა, 290 კვ.მ. მწვანე კორდი, 4 ც. ელ. განათების ბოძი სანათებით, 85 გრძ.მ. ელ. სადენი. (დასრულდა).

ქ. ბათუმში, მეფე მირიანის ქუჩა #13-15-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - მოეწყო 701 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 679,9 გრძ.მ. ბორდიური, 230 კვ.მ. დეკორატიული შემოღობვა, 6,42 კვ.მ. რკ/ბეტონის მჭიმი, 132,5 კვ.მ. კაუჩუკის საფარი, 2 კომპლ. ატრაქციონი, 1 კომპლ. სავარჯიშო ტრენაჟორები, 2 ც. ფანჩატური, 14 ც. დეკორატიული სკამი, 14 ც. სანაგვე ურნა, 818,3 კვ.მ. მწვანე კორდი, 250 გ/მ ელ. კაბელებისათვის პლასტმასის გოფირებული მილი, 13 ც. ელ. განათების ბოძები სანათებით, 250 გ/მ ელ. სადენი. (დასრულდა).

ქ. ბათუმში, დ. კაკაბაძისა და გ. ანწუხელიძის ქუჩების კვეთაში სკვერის მოწყობა - მოეწყო 77,6 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 69 გრძ.მ. ბორდიური, 1 კომპლ. ატრაქციონი, 1 ც. დეკორატიული სკამი, 2 ც. სანაგვე ურნა, 4,5 კვ.მ. მწვანე კორდი, 1 ც. ელ. განათების ბოძი სანათით, 45 გრძ.მ. ელ. სადენი. (დასრულდა).

თამარ მეფის გამზირი N20-ში სკვერის მოწყობა - მოეწყო 15 ც. რკ/ბეტონის სანიაღვრე ჭების ცხაურა, 132 კვ.მ. დეკორატიული ნაშხეფი, 1,2 კვ.მ. ყორექვა, 115,08 კვ.მ. ლითონის დეკორატიული მოაჯირები, 886,9 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 51,6 კვ.მ.



ტექტილური ფილა, 106,5 გრძ.მ. ბორდიური, 3 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 31 ც. დეკორატიული სკამი, 16 ც. სანაგვე ურნა, 3 064 კვ.მ. მწვანე კორდი, 22 ც. ელ. განათების დეკორატიული ბოძი სანათებით, 22 ც. დამიწება, 1 ც. ელ. ყუთი, 126 მ. პლასტმასის მილები, 6 ც. ფასონური ნაწილები, 8 კომპლ. ტუმბო, 189 გ/მ ელ. სადენი, 2 ც. ავტომატური ამომრთველი; შეიღესა 82,2 კვ.მ. დაზიანებული კიბის მოაჯირების და კედლების ნაწილები; გაიწმინდა და შეიღება 2 ც. ძეგლი; გაიწმინდა და შეიღება 1 ც. ბიუსტი; აღდგენილ და გაწმენდილ იქნა 1 ც. ბიუსტის პედესტალი; წყლის ჭავლით გარეცხილ იქნა 260 კვ.მ. დეკორატიული კედლები და კიბე; შეიღება 270 კვ.მ. ძეგლები, მონუმენტი, პერიმეტრალური კედლები, კიბის მოაჯირი და დეკორატიული კედლები; 18 955 კვ.მ. კიბის საფეხურები და გვერდითი კედლები მოპირკეთდა ბუნებრივი გრანიტის ფილით; 25 კვ.მ. შადრევნის ავზის ზედაპირი შეიმოსა ბუნებრივი გრანიტის ფილით. (დასრულდა).

ქ. ბათუმი, სამების 1 ჩიხი, N3-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია - მოეწყო 547 გრძ.მ. ბორდიური, 557 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 13 ც. საპარკე ავეჯი, 10 ც. სანაგვე ურნა, 52,8 კვ.მ. ბეტონის ფილა, 10,8 ტ. ლითონის მოაჯირი, 16,64 ტ. პერგოლა, 34 ც. განათების ბოძი, 45 კომპლ. სანათი, 34 კომპლ. ავტ. ამომრთველი, 704 გრძ.მ. ელ. სადენი.

ქალაქ ბათუმში, პეტრე ბაგრატიონის ქუჩაზე გზაგამყოფ სივრცეში სკვერის მოწყობა (ს/კ 05.27.40.006) (ს/კ 05.27.41.004) (ს/კ 05.26.04.024) - მოეწყო 1056 გრძ.მ. ბორდიური, 707 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 52,8 კვ.მ. ბეტონის ფილა, 10,8 ტ. ლითონის მოაჯირი, 16,64 ტ. პერგოლა, 79 ც. განათების ბოძი, 170 კომპლ. სანათი, 171 კომპლ. ავტ. ამომრთველი, 1124 გრძ.მ. ელ. სადენი; გადაირგო არსებული და დაირგო 340 ც. მცენარე.

ქ. ბათუმი, ზ. გორგილამის ქ. #8-ში სკვერის რეაბილიტაცია - მოეწყო 195 კვ.მ. გრანიტის ქვაფენილი (ბრუსჩატკა), 2 066 კვ.მ. ბუნებრივი გრანიტის ფილა, 70,5 კვ.მ. ტექტილური ფილა, 914,5 გრძ.მ. ბორდიური, 16,61 კვ.მ. რკ/ბეტონის მჭიმი, 110,7 კვ.მ. კაუჩუკის საფარი, 18,53 კვ.მ. ლითონის მოაჯირები, 18,5 კვ.მ. ლობე, 1 კომპლ. ატრაქციონი, 24 ც. დეკორატიული სკამი, 16 ც. სანაგვე ურნა, 1 226,1 კვ.მ. მწვანე კორდი, 20 ც. ელ. განათების დეკორატიული სანათები, 400 გრძ.მ. ელ. სადენი. (დასრულდა).

აკაკი წერეთლის სკვერის რეაბილიტაცია - მოეწყო 138 გრძ.მ. ბორდიური, 127 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 39,49 კვ.მ. ლითონის მოაჯირი, 137 კვ.მ. გარე კედლების შებათქაშება, 8 ც. საპარკე სკამი, 2 ც. სანაგვე ურნა, 25 კომპლ. სანათი, 25 ც. ავტ. ამომრთველი, 164 გრძ.მ. ელ. სადენი; შეიღება 137 კვ.მ. გარე კედლები; დაირგო 4 ც. ხე-მცენარე, 80 ც. მარადმწვანე ბუჩქი და 157 კვ.მ. რულონური გაზონი. (დასრულდა).

ქ.ბათუმში, ევროპის მოედანზე სარეაბილიტაციო სამუშაოები - მოეწყო 15 კვ.მ. სანიაღვრე ჭა, 155 გ/მ. პლასტმასის მილები, 2,78 კვ.მ. სანიაღვრე არხი, 204,8 ც. თუჯის თავსახურის ცხაური, 5 ც. პოლიეთილენის ოთხკუთხა ჭა, 90,5 გ/მ გარცმის გოფირებული მილები, 200 გ/მ პოლიეთილენის მილები, 7 ც. საკეტ-მარეგულირებელი ვენტილი, 5ც. სწრაფი მიერთების სარქველი, 195,5 გ/მ ბორდიური, 2119 კვ.მ. დეკორატიული გამომწვარი ფილები, 1330 კვ.მ. გრანიტის ფილები, 2,31 ტ. ლითონის მოაჯირი, 60 კვ.მ. წრიული ფორმის ბოლნისის ქვა, 6 ც. სანაგვე ურნა, 412 კვ.მ. გაზონი, 19,19 ტ. ლითონის ცხაურა, 13 კომპლ. ლამპიონის ბოძი, 1 კომპლ. მაღალი ხარისხის პროექტორი, 48 კომპლ. ავტ. ამომრთველი, 5 კომპლ. გამანაწილებელი კოლოფი, 745 გ/მ ელ. სადენი, 740 გ/მ სასიგნალო ლენტი, 740 გ/მ გოფირებული ორშრიანი მილი, 6 ც. კარადა მართვის კვანძით. (დასრულდა).



ქ. ბათუმში, ახალ ბულვარში, სტიქიის შედეგად დაზიანებული სანაპირო ზოლის აღდგენის სამუშაოები - მოეწყო 1 099,498 ტ. ლითონის შპუნტები, 57,54 კბ.მ. რკ/ბეტონის სარტყელი; დამზადდა 123,53 კბ.მ. ბეტონის ტალღამრეკლი ბლოკები.

შენი იდეა ბათუმის ფარგლებში - „საქანელა ყველას“-თვის შერჩეული პროექტების დაფინანსება (მ. ლერმონტოვის ქ. N96-ის მიმდებარედ სკვერში, ინსასარიძის ქ. N3-ის მიმდებარედ სკვერში, ბაქოს ქუჩა N74-ის მიმდებარედ სკვერში, თამარ მეფის გამზირზე არსებულ სკვერში, შინდისის სკვერში) - გამოცხადებული სამი ტენდერი (N230019499; N230017707; 230010523) არ შედგა, ხოლო გამოცხადებული ერთი ტენდერი (N230022977) დასრულდა უარყოფითი შედეგით. ვინაიდან ღონისძიება არის გარდამავალი და ტენდერის საქმის წარმოებას სჭირდება ხანგრძლივი დრო, ზემოაღნიშნული გარემოებებისა და ვადების სიმცირის გათვალისწინებით სამმართველომ მიზანშეწონილად მიიჩნია და ტენდერის გამოცხადება დაიგეგმა 2024 წლისათვის, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

ადაპტირებული ბათუმი, ((ქ. ბათუმის ტერიტორიაზე შშმ პირთათვის გათვალისწინებული სკამების განთავსება) მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტი - შენი იდეა ბათუმის ფარგლებში შერჩეული პროექტის დაფინანსება) - გამოცხადებული ორი ტენდერი (N230019499; N230017707) არ შედგა, ხოლო გამოცხადებული ერთი ტენდერი (N230022977) დასრულდა უარყოფითი შედეგით, ვინაიდან ღონისძიება არის გარდამავალი და ტენდერის საქმის წარმოებას სჭირდება ხანგრძლივი დრო, ზემოაღნიშნული გარემოებებისა და ვადების სიმცირის გათვალისწინებით სამმართველომ მიზანშეწონილად მიიჩნია და ტენდერის გამოცხადება დაიგეგმა 2024 წლისათვის, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

ელ. ენერჯის ქსელზე მიერთების საფასური - გადახდილ იქნა ელ. ენერჯის ქსელზე მიერთების საფასური.

ცენტრალური პარკის დაცვა - ცენტრალური პარკის დაცვისათვის დაიფარა ხარჯები. პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე. ანგარიშსწორება მომწოდებელ კომპანიასთან ხდება კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოების შემსრულებელი მომწოდებელი კომპანიის მიერ შემოთავაზებული საბოლოო სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად შესაბამისი პროცენტის ოდენობით. ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშგაქტურის წარმოდგენის შემდეგ. მომწოდებელმა კომპანიამ არ წარმოადგინა შესრულებული სამუშაოების შესაბამისი დოკუმენტაცია სამმართველოში, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება. "



წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხები) (მეორე 2,5%)

გონიო-კვარიათში ზღვისპირა ბილიკის (პრომინადის) მონაკვეთის რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა - მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

ქ. ბათუმში, გრ. ლორთქიფანიძის ქუჩაზე, ანგისის ხიდის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმში, ზედალელეს ქ. N16-ის მოპირდაპირედ სკვერის მოწყობა - მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

ქ. ბათუმში, ი. ჯავახიშვილის ქ. N2 ა-4-6 (ძველი სასამართლოს შენობის წინ) სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმში მარკოზ აჭარელის N6-ის (ყოფილი ქავთარაძის ქ. N6) მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთზე სპორტული მოედნის და დასასვენებელი სკვერის მოწყობა - მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

ქ. ბათუმში, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე და ზ. გორგილაძის ქ. N8-ში მდებარე სსიპ აჭარის ხელოვნების მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შადრევანის (2 ცალი) რეაბილიტაციის სამუშაოები - მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

ქ. ბათუმში, ცენტრალური პარკის გარე განათების მოწყობის სამუშაოები - მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

მიღწეული შედეგები:

ქალაქის ტერიტორიაზე სარეკრეაციო სივრცეში განხორციელებულია სამუშაოები.

ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 5 601,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 5 475,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,8%.

➤ პროგრამის აღწერა:

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

5 237 509 კვ.მ გაიცელა მწვანე საფარი, შესაბამისად განხორციელდა მწვანე ბალახის შეგროვება და გატანა; დაირგო 1 574 ახლი ხე-მცენარე; განხორციელდა 512 622 ერთწლოვანი, გადაყვავილებული ყვავილების ამოღება; დაირგო 914 645 ერთწლოვანი, სეზონური ყვავილები. განხორციელდა 2440 ძირი ხემცენარის დეკორატიული გასხვლა გაფორმება, 61 ძირი ხე-მცენარის გადაბეღვა, 215 ძირი დაზიანებული ხე-მცენარის ამოძირკვა, ჩაუტარდა სეზონური სამუშაოები სანერგეში არსებულ ხე-მცენარეების ნერგებს; 2 756 ძირი გაიხსნა ზამთრისათვის შეხვეული ხე-მცენარე; ზამთრისთვის შეხვეულია 1 916 ძირი ხე მცენარე. 13 430 ძირი ხე-მცენარეების ირგვლივ განხორციელდა შემობარვა-გათოხნა-გამარგვლა; შეტანილი იქნა საჭიროებისამებრ მიწა; განხორციელდა მცენარეების შეწამლვა შხამქიმიკატებით; ბორდიულზე გადმოსული კორდის ჩამოჭრა 1643 გრმ.მ.

➤ მიღწეული შედეგები:



განხორციელებულია ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, უზრუნველყოფილია ქალაქში არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა, ფუნქციონირებს სანერგე-სასათბურე მეურნეობა.

პრიორიტეტი: განათლება

სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 25 453,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 25 163,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,9%.

➤ პროგრამის აღწერა:

მართვა-აღმინისტრირება - 2023 წლის ოთხ კვარტალში სააღმზრდელო პროცესთან დაკავშირებული ღონისძიებები განხორციელდა 9015 აღსაზრდელზე. სექტემბრის თვეში ექსპლუატაციაში შევიდა სამი ახალი საბავშვო ბაღი - მე-20, 35-ე და 36-ე, რომლებიც ემსახურება 805 აღსაზრდელს. ა(ა)იპ "ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანები"-ს დაქვემდებარებაში არსებული ოცდათექვსმეტი საბავშვო ბაღიდან ფუნქციონირებს ოცდაცამეტი საბავშვო ბაღი. მე-4, მე-13 და 33-ე საბავშვო ბაღებში კაპიტალური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო შეჩერებულია სააღმზრდელო პროცესი. 2023 წლის განმავლობაში საბავშვო ბაღებს გეგმის ფარგლებში მიეწოდა - სათამაშოები, ავეჯი, ჭურჭელი, რბილი ინვენტარი (თეთრეული), ელექტროტექნიკა, კომპიუტერული და პერიფერიული ტექნიკა, სხვადასხვა საბავშვო ლიტერატურა და მუსიკალური ინსტრუმენტები (პიანინოები).

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა - საანგარიშო პერიოდში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მუნიციპალურ დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების, ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვის, ჯანსაღი კვებისა და სწორი ფიზიკური განვითარების მიზნით მუნიციპალური საბავშვო ბაღების აღსაზრდელების ინტერესების დაცვისა და მათი სრულფასოვანი კვების მიზნით საბავშვო ბაღებს შეფერხების გარეშე მიეწოდებათ აღნიშნული მომსახურება და რაიმე სახის დაბრკოლებას ადგილი არ ჰქონია.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - 2023 წლის გეგმის ფარგლებში მიმდინარეობდა დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა N17 საბავშვო ბაღის სახურავს, ხოლო N27 საბავშვო ბაღის სახურავს ჩაუტარდა ლოკალური რემონტი, ცამეტ (N2.3.4.5,12,23,24,25,26,27,28,29,32) საბავშვო ბაღში განხორციელდა ცენტრალური გათბობის სისტემების რეაბილიტაცია, ასევე მცირე სარემონტო სამუშაოები ჩატარდა N2.24.29.32 საბავშვო ბაღებში. ცენტრალურ გათბობასთან დაკავშირებული დანადგარების შესყიდვაზე დაგეგმილი იყო 20000 ლარის ხარჯის გაწევა, მაგრამ ვინაიდან ცამეტი საბავშვო ბაღის ცენტრალური გათბობის სისტემებს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, ცალკეულად აღარ გახდა საჭირო ცენტრალურ



გათბობასთან დაკავშირებული დანადგარების შესყიდვა, რის გამოც დაგაგემილი 20000 ლარიდან გაიხარჯა, მხოლოდ 500 ლარი. ასევე გათვალისწინებული იყო სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა და პროგრამის მუშაობის უზრუნველყოფისთვის შესაბამისი სერვერის შესყიდვა, სერვერის შესყიდვის მიზნებისთვის აუცილებელი ხდებოდა IT სპეცილისტის საშტატო ერთეულის დამატება. ვინაიდან საშტატო ერთეულის დამატება დაკავშირებული იყო დამატებითი ხარჯების გაწევასთან, რომელიც არი იყო თავიდანვე ბიუჯეტით გათვალისწინებული, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის IT სამსახურთნ მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ IT მომსახურებას გაგვიწევდნენ უსასყიდლოდ. აქედან გამომდინარე აღარ დარჩა საჭირო სერვერის შესყიდვა, ხოლო უკეთესი დაგეგმარებისთვის პროგრამის შესყიდვა გადაიდო 2024 წლისთვის, შესაბამისად 2023 წლის ბიუჯეტში პროგრამულად გათვალისწინებული სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის შესყიდვის ხარჯები აღარ იქნა გაწეული.

მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდება.

საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 02-04 01 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 14 546,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 14 426,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,2%.

პროგრამის აღწერა:

ქ. ბათუმში ანდრონიკაშვილის ქუჩა N44-ში მდებარე მე-13 საბავშვო ბაღის გამაგრება-აღდგენა-გამლიერების სამუშაოები - მოეწყო 1 791 გრძ.მ. ჭაბურღილი III კატეგორიის გრუნტში ეტაპობრივი ცემენტაციისათვის, 69,85 კბ.მ. გრუნტის ცემენტაცია, 1 791 გრძ.მ. ცემენტაციის პოლიეთილენის მილი, 32 კბ.მ. ღორღის საფუძველი, 24 კბ.მ. კედლები, 495 კვ.მ. ქვიშა-ცემენტის მოჭიმვა, 270 კვ.მ. მეტლახი და კაფელი, 380 კვ.მ. ლამინირებული იატაკი, 190 გ/მ პლინტუსები, 30 გ/მ პლასტმასის საკანალიზაციო მილი, 70 გ/მ წყალსადენი მილი, 50 კვ.მ. თაბაშირმუყაოს ფილები, 115 მ. ელ. სადენის შიდა ქსელი, 20 ც. ჩამრთველი, 20 ც. სანათი, 44 კვ.მ. შეკიდული ჭერი, 70 გ/მ წყალშემკრები მილი, 50 გ/მ წყალსარინელი მილი, 2 ც. ფასონური ნაწილი; ღიობები გაძლიერდა 5,12 ტ. ლითონის ელემენტებით; შეკეთდა 8 კვ.მ. მეტალოპლასტმასის ფანჯრები; ჩაისვა მეტალოპლასტმასის ფანჯრების 9 კვ.მ. მინა-პაკეტი; 840 კვ.მ. კედელი დამუშავდა ბეტონის უკეთ შეჭიდულობის მიზნით; შეიღება 5,12 ტ. ლითონის ელემენტები; შეიღება 4 290 კვ.მ. კედლები და ჭერები; 840 კვ.მ. კედლები შეიღესა ცემენტის ხსნარით; დემონტაჟი ჩაუტარდა და შემდგომ დამონტაჟდა 2 ც. რკინის კარი; 840 კვ.მ. ფასადი დაიფარა შხეფით; შეკეთდა 1 ც. საკანალიზაციო ჭა. (დასრულდა).

ქ. ბათუმში ტაბიძის ქუჩა N14-ში მდებარე მე-31 საბავშვო ბაღის გამაგრება-აღდგენა-გამლიერების სამუშაოები - მოეწყო 2 114 გრძ.მ. ჭაბურღილი III კატეგორიის გრუნტში ეტაპობრივი ცემენტაციისათვის, 84,34 კბ.მ. გრუნტის ცემენტაცია, 81,2 კბ.მ. ღორღის საფუძველი, 2 114 გრძ.მ. ცემენტაციის პოლიეთილენის მილი, 12 კვ.მ. ფანჯარა და ვიტრაჟი, 8 კვ.მ. მეტალოპლასტმასის კარები, 0,8 კბ.მ. კედლები, 42 კვ.მ. ქვიშა-ცემენტის



მოჭიმვა, 210 კვ.მ. მეტლახი და კაფელი, 22 გ/მ კერამიკული პლინტუსები, 27 კვ.მ. თაბაშირმუყაოს ფილები, 89 გ/მ პლასტმასის საკანალიზაციო მილი, 83 გ/მ წყალსადენი მილი, 360 მ. ელ. სადენის შიდა ქსელი, 3 ც. ჩამრთველი, 2 ც. სანათი, 120 კვ.მ. შეკიდული ჭერი, 80 გ/მ წყალშემკრები მილი, 128 გ/მ წყალსარინელი მილი, 6 ც. წყალშემკრები ძაბრი, 12 ც. ფასონური ნაწილი, 24 კბ.მ. ბეტონის წყალსარინელი; ღიობები გაძლიერდა 0,8 ტ. ლითონის ელემენტებით; შეიღება 12,9 ტ. ლითონის ელემენტები; ჩაისვა მეტალოპლასტმასის ფანჯრების 8 კვ.მ. მინა-პაკეტი; შეიღება 2 860 კვ.მ. კედლები და ჭერები; არსებული კედლები, აივნები და მიშენების ჩარჩოების კარკასები აღდგა, გამაგრდა და გაძლიერდა 11,2 ტ. ლითონის კონსტრუქციებით; შეიღება 950 კვ.მ. ფასადი; შეიღება 2 900 კვ.მ. კედლები და ჭერები; შეკეთდა 1 ც. საკანალიზაციო ჭა. (დასრულდა).

ქ. ბათუმში მ. ვარშანიძის I-ჩიხი, N33 საბავშვო ბაღის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები - მოეწყო 4 000 გრძ.მ. ჭაბურღილი III კატეგორიის გრუნტში ეტაპობრივი ცემენტაციისათვის, 107 კბ.მ. გრუნტის ცემენტაცია, 4 000 გრძ.მ. ცემენტაციის პოლიეთილენის მილი, 12 კბ.მ. ღორღის საფუძველი, 147 კვ.მ. ლამინირებული იატაკი, 130 გ/მ მდფ-ს პლინტუსები, 30 კვ.მ. მეტლახი და კაფელი, 13 გ/მ კერამიკული პლინტუსები, 5 კბ.მ. ბეტონის წყალსარინელი; ღიობები გაძლიერდა 4,21 ტ. ლითონის ელემენტებით; შეიღება 4,21 ტ. ლითონის ელემენტები; შეიღება 3 928 კვ.მ. კედლები და ჭერები; 1 744 კვ.მ. კედელი დამუშავდა ბეტონის უკეთ შეჭიდულობის მიზნით; 1 560 კვ.მ. კედლები შეიღეს ცემენტის ხსნარით; 1 320 კვ.მ. ფასადი დაიფარა შხეფით; შეიღება 1 560 კვ.მ. ფასადი. მომწოდებელმა კომპანიამ 2022 წლის 26 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №112 ხელშეკრულებით (NAT220015470) გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოები ვერ აწარმოა, გამომდინარე აქედან დაერიცხა პირგასამტეხლო (ჯარიმა)."

ქ. ბათუმში თამარ მეფის I შესახვევი. N4-ში მდებარე, N22 საბავშვო ბაღის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები - დამუშავდა 1 490 კვ.მ. კედლები ბეტონის უკეთ შეჭიდულობის მიზნით, არსებულ ლითონის კონსტრუქციებზე მოეწყო 1 კვ.მ. ლითონის ბადე და შებათქაშდა-შეიღეს, ღიობები გაძლიერდა 3,41 ტ. ლითონის ელემენტებით, შეიღება 3,41 ტ. ლითონის ელემენტები, 1 490 კვ.მ. კედლები შეიღეს ცემენტის ხსნარით, 1 490 კვ.მ. ფასადი დაიფარა შხეფით, დამონტაჟდა 80 გ/მ წყალსარინელი მილები, მოეწყო 8 ც. წყალშემკრები ძაბრი და 18 ც. ფასონური ნაწილი. (დასრულდა).

ქ. ბათუმის მელიქიშვილის ქ. N8ა-ში მდებარე მე-4 საბავშვო ბაღის შენობა - ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები - მოეწყო 1 980 გრძ.მ. ჭაბურღილი III კატეგორიის გრუნტში ცემენტაციისათვის, 1 980 გრძ.მ. ცემენტაციის პოლიეთილენის მილი.

ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N82-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა - მოეწყო 5 684 კბ.მ. საძირკვლის ქვეშ ქვიშა-ხრემოვანი ნარევით ბალიში.

ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. N83-ში საბავშვო ბაღის მშენებლობა - მოეწყო 81,8 კბ.მ რკ/ბეტონის წერტილოვანი საძირკველი, 18,4 კბ.მ რკ/ბეტონის ლენტური საძირკველი.

ქ. ბათუმი, ალექსანდრე ნანეიშვილის ქ. N12-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა - მოეწყო 3 834 კბ.მ. საძირკვლის ქვეშ ქვიშა-ხრემოვანი ნარევით ბალიში, 137,1 კბ.მ რკ/ბეტონის წერტილოვანი საძირკველი, 48 კბ.მ რკ/ბეტონის საძირკველის კოჭი.

ქ. ბათუმში, ქათამაძის ქ. N38-ში საბავშვო ბაღის მშენებლობა - მოეწყო 7,36 კბ.მ. რკ/ბეტონის პარაპეტის სარტყელი, 36,6 კბ.მ. ხის სანივნივე სისტემა, 1256 კვ.მ. სახურავის ბურული, 16 ც. წყალმიმღები ძაბრი, 99 გრძ.მ. წყალსაწრეტი მილები, 114 კვ.მ. თუნუქის პარაპეტის პანელი, 211,54 კვ.მ. მეტალოპლასტმასის ფანჯარა, 68,72 კვ.მ.



მეტალოპლასტმასის კარები, 34,5 კვ.მ. მდფ-ის კარები, 1 455,4 გრძ.მ. კარ-ფანჯრების ფერდობის შებათქაშება, 16,65 კვ.მ. ლითონის კარები, 1 351,09 კვ.მ. იატაკი ლამინირებული პარკეტით, 200,99 კვ.მ. კერამიკული ფილები და პლინტუსები, 219,05 კვ.მ. ხელოვნური გრანიტის ფილები და პლინტუსები, 2 504 კვ.მ. თაბაშირ-მუყაოს შეკიდული ჭერი, 882,42 კვ.მ. ნესტგამძლე თაბაშირ-მუყაოს შეკიდული ჭერი, 920,4 კვ.მ. ჭერის შელესვა, 183,84 კვ.მ. კედლები და პარაპეტი, 246,95 კვ.მ. ტიხრები, 3 479 კვ.მ. შიგა კედლების ზედაპირის შელესვა, 408,54 კვ.მ. კაფელის ფილები კედლებზე, 80 გრძ.მ. მოაჯირები, 79,7 კვ.მ. კერამიკული ფილა პანდუსზე, ბაქნებზე და შიგა და გარე კიბის საფეხურებზე, 34,17 კვ.მ. თბოიზოლაცია, 1140 კვ.მ. ფასადის კედლების შელესვა, 1140 კვ.მ. მინაშხეფი ფასადზე, 72,7 კვ.მ. დეკორატიული ფერადი ფილა, 6 ც. მთავარი გამანაწილებელი ფარი, 125 კომპ. ავტომატური ამომრთველი, 1 258 გ/მ ელ. სადენი მთავარ გამანაწილებელ ფარში, 15 ც. მაგნიტური შემკვრელი, 12 ც. მექანიკური ჩამრთველ-გამთიშველი ტუმბლერი, 4 ც. რელე, 3 ც. მაგნიტური გამშვები, 1ც. სახანძრო მოდული, 600 კომპლ. ლედ. განათების სანათი, 99 ც. როზეტი, 2 კომპლ. მოძრაობის სენსორი, 62 კომპლ. ჩამრთველი, 11 კომპლ. ვენტილიატორი, 2 570 გრძ.მ. სპილენძის ორმაგიზოლაციანი კაბელი, 217 ც. გამანაწილებელი კოლოფი, 75 გრძ.მ. სახანძრო ცეცხლგამძლე კაბელი, 1 ც. გენერატორი, 300 გრძ.მ. დამიწების ჰორიზონტალური კონტური, 10 ც. ვერტიკალური დამიწება, 382 გრძ.მ. წყალმომარაგების ქსელი, 38 ც. ხელსაბანი ნიჟარა, 4 ც. ჭურჭლის სარეცხი ნიჟარა, 41 ც. ხელსაბანის შემრევი, 4 ც. შემრევი ჭურჭლის სარეცხი ნიჟარისთვის, 8 ც. სამზარეულოს ჩანი და ჩანის შემრევი, 155 გრძ.მ. საკანალიზაციო მილი, 1 კომპლ. შშმ პირთათვის ხელჩასავლები აქსესუარი, 38 ც. უნიტაზი, 165 ც. ვენტილი, 477,05 ეკმ პანელური რადიატორი, 284 ც. ვენტილი, 1 626 გრძ.მ. გათბობის ქსელი, 19,26 კვ.მ. კაუჩუკის თბოიზოლაცია, 2 კომპ. წყალსათბობი ქვაბი, 2 კომპლ. სანთურა, 2 ც. გამაფართოებელი ავზი, 9 ც. ავტომატური ჰაერგამშვები, 18 ც. თერმომანომეტრი, 2 ც. დამცველი სარქველი, 7 კომპ. საცირკულაციო ტუმბო, 1 კომპ. რეცირკულაციო ტუმბო, 22 გ/მ ფოლადის მილი, 102 გ/მ პოლიპროპილენის ფოლადიანი მილი, 48 ც. ფასონური ნაწილები, 0,339 ტ. საკვამლე მილი, 3 კომპ. წყლის ფილტრი, 52 გ/მ ლითონის მილი, 68 გრძ.მ. სავენტილაციო ჰაერსატარი, 41 ც. სავენტილაციო ცხაურა, 11 ც. გამწოვი, 4 ც. სახანძრო გამწოვის ცხაურა, 1 ც. სახანძრო გამწოვი, 2 ც. სახანძრო დამპერი, 2 ც. სახანძრო დამპერის ამძრავი, 28 კომპლ. სათვალთვალ კამერა, 1. კომპლ. სახანძრო სიგნალიზაციის ქსელი, ერთი ერთეული საქვაბე, სახანძრო სატუმბი სადგური და გენერატორის სათავსო, ერთი ერთეული საჩრდილობელი, ერთი ერთეული სახანძრო სანასოსე და ჰიდრანტი, 238 კვ.მ. ღობე, 405,9 გრძ.მ. ბორდიური, 400,25 კვ.მ. დეკორატიული ფილები, 153,1 კვ.მ. სათამაშო მოედანი, 5 ც. სკვერის სკამი, 81,8 კვ.მ. ასფალტის საფარი, 9 ც. ატრაქციონი, 8 ც. გადასაბმელ გამანაწილებელი ყუთი, 422 გრძ.მ. პლასტმასის მილი, 368 ც. პოლიეთილენის ფასონური ნაწილები, 256 გრძ.მ. მინაბოჭკოვანი მილი, 228 გრძ.მ. კაუჩუკის თბოიზოლაცია, 1 კომპლ. შშმ პირთა სამგზავრო ლიფტი, 14,4 კვ.მ. წვიმამიმღები ჭები, 110 გრძ.მ. გოფირებული მილი, 4,21 კვ.მ. კანალიზაციის ჭები; შეიღება 2 411 კვ.მ. ჭერი და 2 922 კვ.მ. შიგა კედლები. (დასრულდა).

ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N127-ში საბავშვო ბაღის მშენებლობა და საბავშვო ბაღის ეზოს ტერიტორიის კეთილმოწყობა - მოეწყო 7,36 კვ.მ. რკ/ბეტონის პარაპეტის სარტყელი, 36,6 კვ.მ. ხის სანივნივე სისტემა, 1256 კვ.მ. სახურავის ბურული, 16 ც. წყალმიმღები ძაბრი, 99 გრძ.მ. წყალსაწრეტი მილები, 114 კვ.მ. თუნუქის პარაპეტის პანელი, 65,57 კვ.მ. მეტალოპლასტმასის კარები, 34,5 კვ.მ. მდფ კარები, 1 434 გრძ.მ. კარ-



ფანჯრების ფერდობების შებათქაშება, 13,5 კვ.მ. ლითონის კარები, 141,925 კვ.მ. იატაკის მჭიმი, 1 351,09 კვ.მ. ლამინირებული პარკეტი, 209,59 კვ.მ. კერამიკული ფილები და პლინტუსები, 189,05 კვ.მ. ხელოვნური გრანიტის ფილები და პლინტუსები, 30 კვ.მ. ბუნებრივი გრანიტის ფილები და პლინტუსები, 1 703,9 კვ.მ. თაბაშირ-მუყაოს შეკიდული ჭერი, 1 703,9 კვ.მ. ნესტგამძლე თაბაშირ-მუყაოს შეკიდული ჭერი, 25,7 კვ.მ. ჭერის შებათქაშება, 2,5 კვ.მ. ტიხრები, 3 479 კვ.მ. შიგა ზედაპირის შელესვა, 408,54 კვ.მ. კაფელის ფილები კედლებზე, 80 გრძ.მ. მოაჯირი, 79,7 კვ.მ. კერამიკული ფილა პანდუსზე, ბაქნებზე და შიგა და გარე კიბის საფეხურებზე, 34,17 კვ.მ. თბოიზოლაცია, 1140 კვ.მ. ფასადის კედლების შელესვა, 1140 კვ.მ. მინაშხეფი ფასადზე, 717 მ. კარ-ფანჯრების შებათქაშება, 628,88 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 6 ც. მთავარი გამანაწილებელი ფარი, 127 ც. ავტომატური ამომრთველი, 1 765 გ/მ ელექტრო სადენი, 3 ც. მაგნიტური შემკვრელი სამპოლუსა გამშვებით, 9 ც. მაგნიტური შემკვრელი ერთპოლუსა გამშვებით, 14 ც. მექანიკური ჩამრთველ-გამთიშველი ტუმბლერი, 3 ც. რელე, 3 ც. მაგნიტური გამშვები ერთპოლუსა გამშვებით, 1 ც. სახანძრო მოდული, 2 ც. მაგნიტური შემკვრელი ერთპოლუსა, 1 ც. მრიცხველი, 600 კომპლ. ლედ. განათების სანათი, 99 ც. როზეტი, 2 კომპლ. მოძრაობის სენსორი, 62 კომპლ. ჩამრთველი, 11 კომპლ. სველი წერტილის გამწოვი ვენტილიატორი, 4 595 გ/მ კაბელი, 217 ც. გამანაწილებელი კოლოფი, 1 ც. გენერატორი, 300 გ/მ დამიწება მოთუთიავებული ზოლოვანით, 1 კომპ. მეხამრიდი, 382 გრძ.მ. წყალმომარაგების ქსელი, 39 ც. ხელსაბანი ნიჟარა, 4 ც. ჭურჭლის სარეცხი ნიჟარა, 41 ც. ხელსაბანის შემრევი, 8 ც. სამზარეულოს ჩანი და ჩანის შემრევი, 155 გრძ.მ. საკანალიზაციო მილი, 38 ც. უნიტაზი, 113 ეკმ პანელური რადიატორი, 248 ც. მიწოდების და უკუსვლის ვენტილი, 1 626 გ/მ გათბობის ქსელი, 15,66 კვ.მ. კაუჩუკის თბოიზოლაცია, 24 ც. პოლიპროპილენის ვენტილი, 2 კომპლ. წყალსათბობი ქვაბი, 2 კომპლ. გაზზე მომუშავე სანთურა, 1 კომპლ. ბოილერი, 9 ც. ავტომატური ჰაერგამშვები, 8 ც. საცირკულაციო ტუმბო, 22 გ/მ ფოლადის მილი ფასონური ნაწილების გამოყენებით, 14 ც. ფოლადის მუხლი, 102 გ/მ პოლიპროპილენის ფოლგანი მილი, 26 ც. ფასონური ნაწილები, 6 ც. უკუსარქველი, 1 ც. გამანაწილებელი კოლექტორი ფოლადის, 1 გ/მ შემკვრელი კოლექტორი ფოლადის, 0,338 ტ. საკვამლე მილი, 3 კომპლ. წყლის ფილტრი, 36 ც. ვენტილი, 646 გრძ.მ. ბორდიური, 68 გრძ.მ. სავენტილაციო ჰაერსატარი, 41 ც. სავენტილაციო ცხაურა, 11 ც. გამწოვი, 4 ც. სახანძრო გამწოვის ცხაურა, 1 ც. სახანძრო გამწოვი, 8 ც. სახანძრო დამპერი, 8 ც. სახანძრო დამპერის ამძრავი, 29 კომპლ. სათვალთვალო კამერა, 1 კომპლ. სახანძრო სიგნალიზაციის ქსელი, ერთი ერთეული საქვაბე, სახანძრო სატუმბი სადგური და გენერატორის სათავსო, ერთი ერთეული საჩრდილობელი, ერთი ერთეული სახანძრო სანასოსე და ჰიდრანტი, 390 გრძ.მ. ღობე და ჭიშკარი, 208,9 კვ.მ. სათამაშო მოედანი, 10 ც. სკვერის სკამები, 93,6 კვ.მ. ბეტონის საფარი, 16 ც. ატრაქციონი, 422 გრძ.მ. პლასტმასის მილი, 518 ც. პოლიეთილენის ფასონური ნაწილები, 256 გრძ.მ. მინაბოჭკოვანი მილი, 228 გრძ.მ. კაუჩუკის თბოიზოლაცია, 1 კომპლ. შშმ პირთა სამგზავრო ლიფტი, 14,4 კვ.მ. წვიმამიმღები ჭები, 102 გრძ.მ. გოფრირებული მილი, 4,18 კვ.მ. კანალიზაციის ჭები; შეიღება 1 732,1 კვ.მ. ჭერი და 3020 კვ.მ. შიგა კედლები. (დასრულდა).

ქ. ბათუმი, დაბა ჩაქვი, ჭავჭავაძის ქ. N7-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა - მოეწყო 5,02 კვ.მ. რკ/ბეტონის დიაფრაგმები, 132,4 კვ.მ. რკ/ბეტონის გადახურვის ფილები, 11,3 კვ.მ. რკ/ბეტონის რიგელი, 2,9 კვ.მ. რკ/ბეტონის კიბე, 2,1 კვ.მ. რკ/ბეტონის პარაპეტი, 185,9 კვ.მ. კედლების ამოშენება, 202,2 კვ.მ. ტიხრები, 1 429,6 კვ.მ. სახურავი, 76 გ/მ წყალშემკრები ღარები, 84 გ/მ წყალსაწრეტი მილები, 12 ც. წყალმიმღები



მაბრები, 264,7 კვ.მ. ფანჯარა და ვიტრაჟი, 49,3 გ/მ მეტალოპლასტმასის რაფები ფანჯრებზე, 20,44 კვ.მ. ლითონის კარები, 78,2 კვ.მ. მდფ კარები, 44,3 კვ.მ. მეტალოპლასტმასის კარები, 256,1 გ/მ ფერდოები კარებზე, 586,4 გ/მ ფერდოები ფანჯრებზე, 1 კომპ. ხელჩასავლები აქსესუარები შშმ პირთათვის, 59,1 გ/მ მოაჯირები, 2 082,95 კვ.მ. ცემენტის მჭიმი, 260,86 კვ.მ. კერამიკული ფილა, 1 215,36 კვ.მ. ლამინირებული პარკეტის ფილა, 320,3 კვ.მ. კერამოგრანიტის იატაკი, 139,93 კვ.მ. მოზაიკური ფილა, 3 285 კვ.მ. ბათქაში შიდა კედლებზე, 1 510,23 კვ.მ. ამსტრონგის ტიპის ფილებით შეკიდული ჭერი, 256,5 კვ.მ. ნესტგამძლე თაბაშირ-მუყაოს შეკიდული ჭერი, 30 კვ.მ. კიბე და პანდუსი, 102,9 კვ.მ. მოზაიკური ფილა, 115 კვ.მ. ფასადის მოპირკეთება „ალუკაბონდის“ საფასადე ფილებით, 1 155 კვ.მ. ფასადის კედლების თბოიზოლაცია, 795 გ/მ ფერდოები ფანჯრებზე, 1 კომპლ. მთავარი შემყვან-გამანაწილებელი კარადა, 36 ც. ავტომატური ამომრთველი, 29 ც. გამანაწილებელი კოლოფი, 60 ც. ჩამრთველი, 7 ც. გამწოვი, 120 ც. როზეტი, 468 ც. სანათი, 5 060 გ/მ სპილენძის ძარღვიანი სადენები, 130 გ/მ უწვადი საკაბელო არხი, 260 ც. საკაბელო არხის სამაგრი ჭერის კრონშტეინი, 14 გ/მ დამიწების კაბელი, 29 კომპლ. საბავშვო ხელსაბანი, 2 კომპლ. სარეცხელა, 2 კომპლ. ბავშვის ჩასაბანი ვანა, 22 ც. უნიტაზი, 23 ც. ტრაპი, 420 გ/მ ცივი წყლის მილსადენი, 1 470 გ/მ ცხელი წყლის მილსადენი, 107 ც. ვენტილი, 310 გ/მ საკანალიზაციო მილსადენები, 18 გ/მ ცივი-ცხელი წყლის მილსადენი, 15 კომპლ. სათვალთვალო კამერა, 1 კომპლ. სახანძრო სიგნალიზაციის ქსელი, 1 კომპლ. შშმ პირთა სამგზავრო ლიფტი, 85 გ/მ ფოლადის კედლის სისქის მილი კიბის უჯრედში, 4 ც. სახანძრო კარადა, 120 გ/მ ფოლადის წყლის მილი, 10 ც. სამხარეულოს გამწოვი ვენტილიატორი, 30 ც. გამწოვი ცხაურა, 35 გრძ.მ. სავენტილაციო ჰაერსატარი, 2 ც. ქუდი სავენტილაციო მილზე, 30 გ/მ გოფირებული იზოლირებული მილი, 2 კომპლ. ქვაბი, 1 კომპლ. ბოილერი, 2 კომპლ. საფართობელი ავზი, 3 კომპლ. ტუმბო, 1 010 გ/მ პოლიპროპილენის ცხელი წყლის მილსადენი, 104 გ/მ გრძივი რადიატორები, 99 ც. ვენტილი, 320 ფასონური ნაწილები, 1 კომპლ. ხელსაბანი, 18 გ/მ საკანალიზაციო მილსადენი, 18 გ/მ პოლიპროპილენის ცივი-ცხელი წყლის მილსადენი, 1 ც. მთავარი შემყვან-გამანაწილებელი ფარი, 50 გ/მ ალუმინის კაბელი, 85 გ/რ გოფირებული მილი, 5,2 კვ.მ. ლენტური საძირკველი, 1,3 კვ.მ. ბეტონის ზეძირკველი, 1,3 კვ.მ. რკ/ბეტონის სარტყელი, 1,5 კვ.მ. რკ/ბეტონის სვეტები, 2,2 კვ.მ. რკ/ბეტონის კოჭის სარტყელი, 1,4 კვ.მ. მეტალოპლასტმასის ფანჯარა, 28,64 კვ.მ. საფუძველი, 26,6 კვ.მ. გრანიტის ფილა, 12,9 გ/მ ფერდოები კარ-ფანჯრებზე, 85 კვ.მ. ბათქაში გარე კედლებზე, 77,32 კვ.მ. იატაკი, 110 გრძ/მ. პოლიეთილენის მილსადენები, 40 გ/მ ცივი წყლის პოლიეთილენის მილსადენი, 45 გ/მ ფოლადის მილებით გაზსადენი, 36 კომპლ. გარე განათების საყრდენი პლაფონით, 8 კომპლ. გარე განათების საყრდენი პროექტორული სანათი, 800 გ/მ ალუმინის ძარღვიანი კაბელი, 10 გ/მ სპილენძის ძარღვიანი სადენი, 18 ც. ლედ ნათურა, 589 გ/მ გოფირებული მილი, 3,6 კვ.მ. საკანალიზაციო ჭა, 12,6 კვ.მ. ასაწყობი რკ/ბეტონის ჭა თუჯის ხუფით, 7 კომპლ. თუჯის ხუფი, 20,2 კვ.მ. რკ/ბეტონის კაფსული, 12 კვ.მ. რკ/ბეტონის შამბო, 1 კომპლ. ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა, 31 კვ.მ. ბეტონის საძირკველი, 72 კვ.მ. რკ/ბეტონის იატაკი, 4,978 ტნ. ლითონის მილკვადრატი, 351 კვ.მ. ლობე, 1 ერთეული კალათბურთის ფარი, 2 ერთეული ფეხბურთის კარი, 0,788 ტნ. ლითონის მილკვადრატებით ტრიბუნა, 36 ც. პოლიმერული სკამი, 7 გ/მ ლითონის მილი, 290 გ/მ კაბელი, 49,5 კვ.მ. რკ/ბეტონის ფილა, 305 კვ.მ. არმატურის ბადე, 1,04 ტნ. ლითონის სვეტები, 3,2 ტნ. ლითონის კავშირები და კოჭები, 138 კვ.მ. სახურავი, 1 ც. ჭიშკარი, 114 კვ.მ. ბეტონის საფარი, 131,5 გ/მ ბეტონის ბორდიური, 71 გ/მ კაუჩუკის ბორდიური, 850 კვ.მ. ბეტონის ქვაფენილი, 12



ც. სანაგვე ურნა, 12 ც. პარკის სკამები, 16 კომპლ. საბავშვო ატრაქციონი, 185 კვ.მ.კაუჩუკის ფილები ბეტონზე, 292 გ/მ ლობე, 1 ც. ჭიშკარი, 1ც. კუტიკარი; შეიღება 2 796,25 კვ.მ. შიდა კედლები და 256,5 ჭერი; შეიღება 1 155 კვ.მ. ფასადი. (დასრულდა).

ელ. ენერჯის ქსელზე მიერთების საფასური - გადახდილ იქნა ელ. ენერჯის ქსელზე მიერთების საფასური. ბუნებრივი აირის (გაზის) ქსელზე მიერთების საფასური - გადახდილ იქნა ბუნებრივი აირის (გაზის) ქსელზე მიერთების საფასური. წყლის ქსელზე მიერთების საფასური - გადახდილ იქნა წყლის ქსელზე მიერთების საფასური.

საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექნიკური ზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებულ სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე. ანგარიშსწორება მომწოდებელ კომპანიასთან ხდება კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოების შემსრულებელი მომწოდებელი კომპანიის მიერ შემოთავაზებული საბოლოო სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად შესაბამისი პროცენტის ოდენობით. ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ. მომწოდებელმა კომპანიამ არ წარმოადგინა შესრულებული სამუშაოების შესაბამისი დოკუმენტაცია სამმართველოში, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების სრულად ათვისება. "

ბათუმში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის (ენერგოეფექტიანობა - KfW ბანკი) პროექტის დამატებითი თანადაფინანსება - პროექტი ხორციელდება საქართველო-გერმანიას შორის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, KfW ბანკის საგრანტო მხარდაჭერით და ითვალისწინებს ბათუმის საჯარო საბავშვო ბაღების (12-მდე) სრულ ენერგოეფექტურ რეაბილიტაციას ევროკავშირის სტანდარტებით. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის მიმდინარეობდა პირველი კლასტერის საბავშვო ბაღების (N6, N10, N16) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის ბოლო ეტაპი - პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი ფინანსური წინადადებების შეფასება, შეფასებულია ტექნიკური წინადადებები. გამარჯვებულის გამოვლენა და სამუშაოების დაწყება მოსალოდნელია 2024-ის პირველ კვარტალში. დაგეგმილი შედეგების დადგომა შეაფერხა იმ ფაქტმა, რომ სამუშაოების შესყიდვისთვის პირველად გამოცხადებული წინასაკვალიფიკაციო ეტაპი ჩაიშალა, ჩატარდა მოკვლევა და მოხდა სატენდერო მოთხოვნების ხელახლა განსაზღვრა, შესაბამისად, განმეორებითი წინასაკვალიფიკაციო ეტაპი დაიწყო 2022-ის დეკემბერში, დასრულდა 2023 წლის მეორე კვარტალში და შემდგომ დაიწყო სატენდერო პროცესი (ტექნიკური და ფინანსური წინადადებების წარმოდგენა-შეფასება), რომელიც დასრულდება 2024-ის პირველ კვარტალში.

მიღწეული შედეგები:

გაიზარდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა;



პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა
(პროგრამული კოდი 04 02)

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 45,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 19,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 43,4%. ღონისძიებაში „ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა“ დაბალი ჩართულობიდან გამომდინარე ვერ მოხდა ასიგნების სრული ათვისება.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში 21 თებერვალს გამოიცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის N ბ14.14220527 ბრძანება, ღონისძიების „ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. ინფორმაცია ბენეფიციართა ხელმისაწვდომობის მიზნით განთავსდა ბათუმის მერიის ვებ გვერდზე.

ქვეპროგრამის „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში 27 თებერვალს გამოიცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის N ბ14.14230584 ბრძანება, ღონისძიების „საერთაშორისო პრაქტიკა - მონაწილეობის მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. ინფორმაცია ბენეფიციართა ხელმისაწვდომობის მიზნით განთავსდა ბათუმის მერიის ვებ გვერდზე. საანგარიშოპერიოდში აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში შემოვიდა 6 განაცხადი. თებერვლის თვეში განცხადება შემოიტანა ფ/პ ანა მარკოიძემ, რომელიც 5-9 აპრილს იმყოფებოდა რუმინეთში, ქ. ბუქარესტში, სადაც მონაწილეობა მიიღო EGM 2023 Bucharest - ერასმუსის სტუდენტური გაერთიანების შეხვედრაში. ღონისძიება ითვალისწინებდა ვორქშოფებითა და სემინარებით დატვირთულ შეხვედრებს, რომლის მიზანიც იყო მონაწილეებისთვის სწავლება იმისა, თუ როგორ შეიძლება სკოლის ასაკიდან მოსწავლეების ჩართვა სოციალურ პროექტებში, რა უნდა იცოდნენ გაცვლით პროგრამებსა თუ სტაჟირებებში მონაწილეობისთვის, როგორ დაწერონ პროექტები და რა უნდა გააკეთონ მწვანე გარემოს ხელშეწყობისთვის. ღონისძიებაში მონაწილეობის შედეგად ღონისძიების მოსარგებლე ბენეფიციარს მიეცა შესაძლებლობა ათობით ევროპული ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტის 900-ზე მეტ სტუდენტთან დაემყარებინა სოციალური კავშირი, აქმაღლებინა ცნობადობა მათი კულტურული თავისებურებების შესახებ და გაეცნო მათთვის საქართველო. აპრილის თვეში განცხადებები შემოიტანეს ქეთევან ჯიშკარიანმა; ალექსანდრე აბუსელიძემ; თათია გოგრაჭაძემ; ლაშა ქამაშიძემ და მარიამ ბერიძემ. ხუთივე მათგანი დაფინანსდა კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. ქეთევან ჯიშკარიანი, ალექსანდრე აბუსელიძე და თათია გოგრაჭაძე 22-29 მაისს იმყოფებოდნენ იტალიაში, ქ. რომში, სადაც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ღონისძიებაში, რომლის მიზანიც გახლდათ, ინგლისური ენის სასაუბრო და წერითი უნარების გაუმჯობესება, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შემდგომში გამოყენების თვალსაზრისით. ღონისძიებაში მონაწილეობის შედეგად ახალგაზრდებმა გაიუმჯობესეს ინგლისური ენის წერისა და ინგლისურად მეტყველების



უნარები; დაამყარეს კომუნიკაცია სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ ახალგაზრდებთან; მოინახულეს ქ. რომის, ფლორენციისა და ვატიკანის ღირსშესანიშნაობები. ღონისძიებიდან დაბრუნების შემდგომ წარმოადგინეს ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და შესაბამისი ანგარიში. ლაშა ქამაშიძე და მარიამ ბერიძე 1-6 ოქტომბერს იმყოფებოდნენ იაპონიაში, ქ. ტოკიოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციაში, ბიზნეს ადმინისტრირების ახალი განვითარებადი და ტენდენციური მიმართულების შესწავლის მიზნით.

საანგარიშო პერიოდში, ქვეპროგრამის „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ ღონისძიების „ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა“ ფარგლებში შემოვიდა ორი განაცხადი. კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით განაცხადებები შემოიტანა ფ/პ ალექსანდრე ქარცივაძემ და ფ/პ ლილე მამუჭაძემ. ფ/პ ალექსანდრე ქარცივაძე სტაჟირების გავლის მიზნით (კლინიკური პრაქტიკა) 18 სექტემბრიდან 20 ოქტომბრამდე პერიოდში იმყოფებოდა ჩეხეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ოსტრავაში, ხოლო ლილე მამუჭაძე სტაჟირების გავლის მიზნით 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრამდე პერიოდში იმყოფებოდა ესპანეთში, ქ. ბარსელონაში. ორივე კონკურსსანტი დაბრუნდა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და წარმოადგინა ღონისძიების დებულებით გათვალისწინებული მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მიღწეული შედეგები:

წახალისებულია მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ბათუმელი სტუდენტები.

სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის (პროგრამული კოდი 04 02 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 130.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 127.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,7%.

➤ პროგრამის აღწერა:

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის „სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“, ღონისძიების „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ ფარგლებში, განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 2023 წლის 27 თებერვლიდან 31 მარტის ჩათვლით პერიოდში. აღნიშნულ პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში სულ განსახილველად შემოვიდა 209 განაცხადი, რომელთაგან ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა 177 განაცხადი, 32 განაცხადი არ აკმაყოფილებდა ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს.

დოკუმენტაციის განხილვისა და შესწავლისას გაირკვა, რომ პრიორიტეტული მიმართულებებით განაცხადი შემოიტანა 79-მა სტუდენტმა (არქიტექტურის მიმართულებით - 18; მშენებლობის/ინჟინერიის მიმართულებით - 5; ფსიქოლოგიის მიმართულებით - 17; მათემატიკის მიმართულებით - 3 ; ბიოლოგიის მიმართულებით - 2; ეკონომიკის მიმართულებით - 7; ფიზიკის მიმართულებით - 2; ქიმიის მიმართულებით - 2; კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულებით 1; განათლების მიმართულებით - 1; ქართული ფილოლოგიის მიმართულებით - 5; ისტორიის მიმართულებით - 3; საჯარო მმართველობის მიმართულებით - 5; ეკოლოგიის მიმართულებით - 2; სოციოლოგიის მიმართულებით - 1; საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით - 2; ელექტრული



ინჟინერიის მიმართულებით - 1; ფილოსოფიის მიმართულებით - 1 და კულტურული ტურიზმის მიმართულებით - 1, ხოლო არაპრიორიტეტული მიმართულებებიდან 98 სტუდენტმა. ვინაიდან აღნიშნული განაცხადები სრულად აკმაყოფილებენ ღონისძიებით „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ დადგენილ მოთხოვნებს, ღონისძიების დებულების თანახმად სტიპენდია გაიცა საუკეთესო შედეგების მქონე 40 სტიპენდიანტზე პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, რომელთაც ჰქონდათ საშუალო შეწონილი ქულა 93.66 ქულა და მეტი, ხოლო საუკეთესო შედეგების მქონე 10 სტიპენდიანტზე არაპრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით 98.75 ქულა და მეტი. ზემოაღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მეორე ეტაპზე განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 2023 წლის 2 - 31 ოქტომბრის ჩათვლით.

აღნიშნულ პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში სულ განსახილველად შემოვიდა 83 განაცხადი, რომელთაგან ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა 77 განაცხადი. 6 განაცხადი არ აკმაყოფილებდა ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს.

დოკუმენტაციის განხილვისა და შესწავლისას გაირკვა, რომ პრიორიტეტული მიმართულებებით განაცხადი შემოიტანა 33-მა სტუდენტმა (არქიტექტურის მიმართულებით - 11; მშენებლობის/ინჟინერიის მიმართულებით - 1; ფსიქოლოგიის მიმართულებით - 6; მათემატიკის მიმართულებით - 1; ეკონომიკის მიმართულებით - 3; ქიმიის მიმართულებით - 2; კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულებით 1; ქართული ფილოლოგიის მიმართულებით - 1; ისტორიის მიმართულებით - 3; საჯარო მმართველობის მიმართულებით - 2; ფილოსოფიის მიმართულებით - 1; სოციოლოგიის მიმართულებით 1; ხოლო არაპრიორიტეტული მიმართულებებიდან 44 სტუდენტმა. ვინაიდან აღნიშნული განაცხადები სრულად აკმაყოფილებენ ღონისძიებით „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ დადგენილ მოთხოვნებს, ღონისძიების დებულების თანახმად სტიპენდია გაიცა ოცდაცამეტივე სტიპენდიანტზე პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, ხოლო არაპრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, საუკეთესო შედეგების მქონე 17 სტიპენდიანტზე, რომელთა აკადემიური მოსწრების საშუალო შეწონილი ქულა შეადგენდა 98.85 ქულას და მეტს.

საანგარიშო პერიოდში გამოიცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N14.14230513; 20/02/2023 წ. ქვეპროგრამის „სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ ღონისძიება „ტბელ აბუსერიძის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ ფარგლებში, კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ. ინფორმაცია საჯაროობის მიზნით გამოქვეყნდა მერიის ვებ გვერდზე -batumi.ge. განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 1 მარტიდან 24 მარტის ჩათვლით. სულ შემოვიდა 8 განაცხადი, კონკურსის შედეგად გამარჯვებულად გამოვლინდა რვავე კონკურსანტი. კონკურსის მეორე ეტაპზე განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 2023 წლის 18 სექტემბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით. აღნიშნულ პერიოდში განსახილველად შემოვიდა სულ 10 განაცხადი. ვინაიდან აღნიშნული განაცხადები სრულ შესაბამისობაში იყო ღონისძიების დებულებით დადგენილ მოთხოვნებთან, ათივე კონკურსანტზე გაიცა სტიპენდია.

მიღწეული შედეგები:

წახალისებულია ბათუმელი სტუდენტები.

პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი



სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაფუძნებული გეგმა - 885,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 867,3 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 98,0%;

➤ პროგრამის აღწერა:

ეზოს ფეხბურთი, საპლაჟო და ფუტსალი - ბათუმის სპორტული ცენტრის ბაზაზე არსებული მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამა „ეზოს ფეხბურთი“ - ბათუმის 10 ადმინისტრაციულ ერთეულში შექმნილია ბიჭების 10 და გოგონების 2 ასაკობრივი გუნდი. პროექტში ჩართულია 250 მოზარდი. ფუტსალში ჩართული ბავშვებისათვის ვარჯიშების ჩასატარებლად გაწეულია დარბაზის იჯარის ხარჯი. შექმნილია სპორტული ინვენტარი და გადაცემულია მწვრთნელებზე. 2023 წლის 14-17 აგვისტოს სპორტული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ღია ფესტივალი ქვიშის ფეხბურთში. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა 6 გუნდი, ჩართული იყო 80-მდე სპორტსმენი. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები და პრიზები. მწვრთნელებზე გაცემულია ხელფასები.

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა სპორტული სექცია - საანგარიშო პერიოდში „სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა სპორტული სექცია ფუნქციონირებდა მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლეში. ვარჯიშები ტარდებოდა კვირაში 2 დღე (ხანგრძლივობა 1 სთ). პროგრამაში ჩართული იყო 30-მდე აღსაზრდელი. 17 დეკემბერს დასრულდა სპორტული ცენტრის ორგანიზებით სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა სპორტული სექციის ფესტივალი. სულ ჩართული იყო 60-მდე მონაწილე. მათ გადაეცათ სიგელები და სხვადასხვა საახალწლო საჩუქრები.“

სასკოლო ოლიმპიადა - 2023 წლის 17 დეკემბერს დასრულდა სპორტული ცენტრის ორგანიზებით პროექტი - „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“. ღონისძიება გაიმართა სპორტის 8 სხვადასხვა სახეობაში, სულ ჩართული იყო 3000-მდე მონაწილე. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, პრიზები და ფასიანი ვაუჩერი სპორტული მაღაზიიდან.

ბათუმი სპორტის ქალაქი - 2023 წლის 2 ივლისს გაიმართა საერთაშორისო ტურნირი შოტოკან კარატე დო-ში გოგონებსა და ბიჭებში. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო თურქეთის, სომხეთის, უკრაინის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, შოტლანდიის და საქართველოს გუნდებმა. შეჯიბრი ჩატარდა სხვადასხვა წონით კატეგორიაში. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები და პრიზები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 200-მდე სპორტსმენმა.

8-9 ივლისს გაიმართა ნიკოლოზ თავდგირიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია პირველობა ფრენბურთში, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს 4-მა გუნდმა: თბილისი, ცაგერი, ბათუმის "ბათუმი" და ბათუმის სპორტსკოლა, გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები და პრიზები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 50-მდე სპორტსმენმა.

21-28 ივლისს გაიმართა საჭადრაკო ფესტივალი „ბათუმი - 2023“ ღონისძიებაში მონაწილეობდა სხვადასხვა ქვეყნის 116 სპორტსმენი. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები და პრიზები.



6 სექტემბერს სპორტული ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო ფესტივალი შ.შ.მ პირთა შორის სპორტულ სამეჯლისო ცეკვებში. სულ ჩართული იყო 60-მდე სპორტსმენი. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები და პრიზები.

13 დეკემბერს დასრულდა სპორტული ცენტრის ორგანიზებით ბათუმი სპორტის ქალაქის ფარგლებში კონკურსში გამარჯვებული პროექტი ცურვა კერძო და საჯარო სკოლებს შორის. სულ ჩართული იყო 15 სკოლის 50-მდე მონაწილე. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, პრიზები ფასიანი ვაუჩერი სპორტული მაღაზიიდან.

14 დეკემბერს დასრულდა სპორტული ცენტრის ორგანიზებით ბათუმი სპორტის ქალაქის ფარგლებში კონკურსში გამარჯვებული პროექტი მინი ფეხბურთი უწყებებს შორის, რომელშიც ჩართული იყო 8 უწყების გუნდი და 100-მდე მონაწილე. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, პრიზები.

ქვიშის სახეობების ფესტივალი 14-16 სექტემბერს სპორტული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ქვიშის სახეობების ღია ფესტივალი, ღონისძიება ჩატარდა 5 სხვადასხვა სპორტის სახეობაში. სულ ჩართული იყო 200-მდე სპორტსმენი. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, პრიზები და ფასიანი ვაუჩერი სპორტული მაღაზიიდან.

სპორტული ბანაკი: 20-25 აგვისტოს გაიმართა სპორტული ბანაკი ბაკურიანში, სადაც მონაწილეობდა 13-დან 18 წლამდე 60-მდე მონაწილე. ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა დაგეგმილ სპორტულ შემეცნებით ღონისძიებებში.

მხიარული თამაშები - ჩატარდა დეკემბერის თვეში, მონაწილეობდა 7 საჯარო უწყება, ჯამში 60 მონაწილე, გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, მედლები და ფასიანი ვაუჩერები სპორტული მაღაზიიდან.

ველო მარათონი - სპორტული ცენტრის მიერ ორგანიზებული ველო მარათონი 14 დეკემბერს დასრულდა. სულ ჩართული იყო 50-მდე მონაწილე. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები, რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, პრიზები და ფასიანი ვაუჩერი სპორტული მაღაზიიდან.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიება - 20-26 მაისის ჩათვლით გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიება ვეტერანებს შორის. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში - შაში, ნარდი, დარტსი, ბადმინტონი და ჭადრაკი. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 80-მდე მოყვარულმა ვეტერანმა სპორტსმენმა. გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცათ თასები, სიგელები, პრიზები და ფასიანი ვაუჩერები სპორტული მაღაზიიდან.

ბათუმობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიების - 29 აპრილს გაიმართა ბათუმობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიება - "ბათუმობა 2023". ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ქართული საბრძოლო ხელოვნების მასტერკლასები, ასევე გაიმართა ჩემპიონატები - ბადმინტონში, ტექნოლსა და ქართულ ჭიდაობაში. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 80- მდე მოყვარულმა სპორტსმენმა. გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცათ თასები, სიგელები, პრიზები და ფასიანი ვაუჩერი სპორტული მაღაზიიდან.

ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიება - 1 ივნისს გაიმართა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიება, სადაც



ჩართული იყო სპორტული ცენტრის ფიგურული ციგურაობის სპორტსმენები და დამწყები მოციგურავეები. საერთო ჯამში, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 200-მა სპორტსმენმა. ღონისძიებას დაესწრო 5000-მდე მაყურებელი.

ქუჩის კალათბურთი - 13 დეკემბერს დასრულდა სპორტული ცენტრის ორგანიზებით ქუჩის კალათბურთი რომელიც ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. სულ ჩართული იყო 300-მდე სპორტსმენი. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, პრიზები.

ბათუმის თასი ფეხბურთში - 15-18 სექტემბერს სპორტული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა - "ბათუმის თასი ფეხბურთში 2023". ღონისძიებაში მონაწილეობდა 16 საფეხბურთო კლუბი, მათ შორის სამი უცხოური გუნდი, ესენია: უზბეკეთის „ყაზახეთის და იტალიის საფეხბურთო აკადემიები. სულ ჩართული იყო 250-მდე სპორტსმენი. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები და პრიზები.

"ბათუმის თასი ფეხბურთში- 30 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით და 15-18 სექტემბერს სპორტული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ბათუმის თასი ფეხბურთში, 2 სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში. სულ ჩართული იყო 250-მდე სპორტსმენი. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, პრიზები.

ქვიშის ჭიდაობა - მარტიდან სპორტულ ცენტრს შეუერთდა ქვიშის ჭიდაობის სექცია სადაც გაწევრიანდა 25 აღსაზრდელი, რომლებიც სისტემატიურად ვარჯიშობდნენ კვირაში სამი დღე 2 საათით.

14-17 აგვისტოს სპორტული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ღია ფესტივალი ქვიშის ფეხბურთში. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა 6 გუნდი ღონისძიებაში ჩართული იყო 80-მდე სპორტსმენი. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები და პრიზები."

მინდვრის ჰოკეის სექციის განვითარება - მინდვრის ჰოკეი არის ერთ-ერთი პოპულარული სპორტის სახეობა, რომელიც ოლიმპიური სახეობაა რომელსაც ფიზიკური აღზრდის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მინდვრის ჰოკეის სექციაში ფუნქციონირებდა ორი ჯგუფი გოგოების და ვაჟების, სულ 50 აღსაზრდელი, ვარჯიშები ტარდებოდა კვირაში 3 დღე.

საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში „ბათუმის თასი 2023“- 1-3 სექტემბერს სპორტული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში "ბათუმის თასი 2023". ღონისძიებაში მონაწილეობდა 16 საფეხბურთო კლუბი მათ შორის ორი უცხოური გუნდი -ესენია:უზბეკეთისა და იტალიის საფეხბურთო აკადემიები. სულ ჩართული იყო 300-მდე სპორტსმენი. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები და პრიზები.

მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა - 21-28 აგვისტოს სპორტული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა სასკოლო ლიგა ფეხბურთში კერძო და საჯარო სკოლებს შორის. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა 32 სკოლა და სულ ჩართული იყო 350-მდე სკოლის მოსწავლე. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები და პრიზები.

ტურნირი ტაეკვონდოში „Batumi open 2023" 16-17 სექტემბერს სპორტული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ტაეკვონდოს საერთაშორისო ტურნირი, ღონისძიება ჩატარდა 8 სხვადასხვა წონით კატეგორიაში. სულ ჩართული იყო 300-მდე სპორტსმენი.



გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, პრიზები.

საქართველოს ღია ჩემპიონატი მოძრავ სამიზნე სროლაში - 10 სექტემბერს, სპორტული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ღია ფესტივალი სროლაში, ღონისძიება ჩატარდა 4 სხვადასხვა კატეგორიაში. სულ ჩართული იყო 50-მდე სპორტსმენი. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, პრიზები და ფასიანი ვაუჩერი მონადირეთა მაღაზიიდან.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ცენტრის სასპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება. მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობა.

ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 55,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 53,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 23 თებერვლის ბ14.14230547 ბრძანებით დამტკიცდა დებულება ქვეპროგრამის „ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა“, ღონისძიების „ბათუმელი სპორტსმენების/ მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ" დებულება.

2. დამტკიცდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 23 თებერვლის ბ14. 14230548 ბრძანება „ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა ღონისძიების ბათუმელი სპორტსმენები/მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა ფარგლებში, კონკურსის ჩატარების მიზნით, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ".

3. საანგარიშო პერიოდში ორჯერ, გარკვეული შუალედით შემოვიდა მოჭადრაკე კესარია მგელაძის განაცხადი. ჩატარდა კომისიის სხდომა და ორივე შემთხვევაში კონკურსანტს რეკომენდაცია გაეწია დაფინანსების შესახებ.

გამოიცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბ14. 14230814 და 14.142316715 ბრძანება „ქვეპროგრამის „ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა“, ღონისძიების „ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა“ ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და კონკურსში გამარჯვებულის დაფინანსების მიზნით თანხის გამოყოფის თაობაზე". დახმარებამ ერთჯერადი გასაცემლის სახით ჯამში შეადგინა 5603 ლარი (ტურნირში მონაწილეობის, სასტუმრო და მგზავრობის ხარჯი).

5-10 აპრილს იმყოფებოდა გერმანიაში ქალაქ კრეფელდში, ჭადრაკში რაინ - ვესტფალიას ღია ინდივიდუალურ ჩემპიონატში , სადაც წარმატებით იასპარეხა. 24 ივნისი - 02 ივლისი ჩათვლით მონაწილეობა მიიღო გერმანიაში, ქალაქ დორტმუნდში „შპარკასენის ჭადრაკის თასი 2023 - ში” . იასპარეხა წარმატებით და 55 ით მოიმატა ფიდეს რეიტინგი(მიუახლოვდა ფიდეს ოსტატის წოდებას).



4. სექტემბერში შემოვიდა 4 განაცხადი (ნოდარ ხაჯიშვილი, ანასტასია ზოიძე, რუსუდან მიქელაძე, მარიამ ცეცხლაძე), განაცხადების კომისიური წესით განხილვა განხორციელდა მეოთხე კვარტალში. დაფინანსების რეკომენდაცია გაეწიათ კონკურსანტებს. გამოიცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბ14. 14232866 ბრძანება და დაფინანსდა ოთხივე კონკურსანტი. ნოდარ ხაჯიშვილი, ანასტასია ზოიძე და რუსუდან მიქელაძე იმყოფებოდნენ იაპონიაში, ქალაქ ტოკიოში საერთაშორისო სემინარსა და ჩემპიონატში შოტოკან კარატე-დოში. სადაც წარმატებით იასპარეხეს. მარიამ ცეცხლაძე იმყოფებოდა პოლონეთში, და მონაწილეობა მიიღო ჭადრაკში 34 - ე საერთაშორისო ფესტივალში „კრაკოვი 2023“.

ღონისძიება „წლის სპორტსმენი“ ითვალისწინებს წლის ყველაზე წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელების, გუნდების, კლუბების გამოვლენას, რომლებმაც მიმდინარე წელს მიაღწიეს მნიშვნელოვან, განსაკუთრებულ და გამორჩეულ სპორტულ წარმატებებს, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის თუ მის ფარგლებს გარეთ; ასევე, იმ პირთა გამოვლენას, ვინც ღვაწლი გაწია, დამსახურება გააჩნია, თუ პირადი წვლილი შეიტანა სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაში. ნომინაციები, პრიზების და ფულადი ჯილდოს ოდენობები, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია, შეფასების კრიტერიუმები, გადაწყვეტილების მიღების წესი, ვადები და სხვა განისაზღვრა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 24 ოქტომბრის ბ14. 14232977 ბრძანებით.

საანგარიშო პერიოდში სულ შემოვიდა 47 განაცხადი. განაცხადების განხილვა და გამარჯვებულთა გამოვლენა სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით განხორციელდა კონკურსის წესით. კონკურსში გამარჯვებულთათვის თანხის გამოყოფა მოხდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 18 დეკემბრის ბ14. 142335211 ბრძანებით. ღონისძიების ფარგლებში, 21 დეკემბერს გაიმართა დაჯილდოების ოფიციალური ცერემონიალი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ხელშეწყობილია ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარება.

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 5 721,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 5 614,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,1%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

სარაგბო კლუბი ბათუმი - I კვარტალი

1. 2022-2023 წწ საქართველოს დიდი10-ის მიმდინარე ჩემპიონატის პირველ კვარტალში ჩატარდა 6 თამაში (ოთხი გამარჯვებით), აქედან 3 გასვლითი და 3 სახლში;

2. 2022-2023 წწ საქართველოს დუბლ გუნდის მიმდინარე ჩემპიონატის პირველ კვარტალში ჩატარდა 5 თამაში (სამი გამარჯვებით), აქედან 3 გასვლითი და 2 სახლში;

3. საქართველოს ჩემპიონატი - 2022-2023 წწ ჭაბუკთა ""ა"" (1) ოქროს ლიგის გუნდმა ითამაშა 7 მატჩი - 3 გასვლითი და 4 სახლში. ჭაბუკთა ""ა"" ლიგის გუნდმა ოქროს ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა;



4. საქართველოს ჩემპიონატი - 2022-2023 წწ ჭაბუკთა "ა" (2) ვერცხლის ლიგის გუნდმა ითამაშა 3 მატჩი - 1 გასვლითი და 2 სახლში;

5. საქართველოს ჩემპიონატი 2022-2023 წწ ჭაბუკთა "ბ" (1) ლიგის გუნდმა ითამაშა 12 თამაში.

6. საქართველოს ჩემპიონატი 2022-2023 წწ ჭაბუკთა "ბ" (2) ლიგის გუნდმა ითამაშა 3 თამაში (2 გასვლითი და 1 სახლში);

7. საფესტივალო ასაკის გუნდის ბავშვებს ქონდათ 6 თამაში, (6 გასვლითი თამაში).
იასპარეზეს წარამატებით ;

II - კვარტალი

1. 2022-2023 წწ საქართველოს დიდი10-ის მიმდინარე ჩემპიონატის მეორე კვარტალში ჩატარდა 5 თამაში (ოთხი გამარჯვებით), აქედან 3 გასვლითი და 2 სახლში;

2. უმაღლესი გუნდი გახდა საქართველოს დიდი10-ის ვიცე ჩემპიონი; საქართველოს 7 კაცა რაგბის ტურნირი გაიმართა ქუთაისში, სადაც კლუბის მორაგბეები იყვნენ მიწვეულები;"

"3. 2022-2023 წწ საქართველოს დუბლ გუნდის მიმდინარე ჩემპიონატის პირველ კვარტალში ჩატარდა 2 თამაში (სამი გამარჯვებით), აქედან 1 გასვლითი და 1 სახლში;

4. საქართველოს ჩემპიონატი - 2022-2023 წწ ჭაბუკთა "ა" (1) ოქროს ლიგის გუნდმა იასპარეზა და დაიკავა მე-3 ადგილი;

5. საქართველოს ჩემპიონატი - 2022-2023 წწ ჭაბუკთა "ა" (2) ვერცხლის ლიგის გუნდმა იასპარეზა და დაიკავა მე-3 ადგილი;

6. საქართველოს ჩემპიონატი 2022-2023 წწ ჭაბუკთა "ბ" (1) ლიგის გუნდმა ითამაშა 5 თამაში;

7. საქართველოს ჩემპიონატი 2022-2023 წწ ჭაბუკთა "ბ" (2) ლიგის გუნდმა ითამაშა 3 თამაში (3 სახლში). დაიკავა მესამე ადგილი;

8. საფესტივალო ასაკის გუნდის ბავშვებს ქონდათ 8 თამაში, (6 გასვლითი და 2 სახლში). წარამატებით იასპარეზა ბავშვთა ასაკობრივმა გუნდებმა, დასავლეთ საქართველოს ფესტივალი ქუთაისში ნუგზან მაგნიძის ხსოვნის დღისამდღი მიძღვნილი 2010-2011 წწ ასაკის ბავშვთა შორის.

III - კვარტალი

1. 2023-2024 წწ საქართველოს დიდი10-ის მიმდინარე ჩემპიონატის მესამე კვარტალში ჩატარდა 3 თამაში (სამივე გამარჯვებით), აქედან 2 გასვლითი და 1 სახლში;

2. 2023-2024 წწ საქართველოს დუბლ გუნდის მიმდინარე ჩემპიონატის მესამე კვარტალში ჩატარდა 1 თამაში (ერთი წაგებით), აქედან 1 გასვლითი.

3. საქართველოს ჩემპიონატი - 2023-2024 წწ ჭაბუკთა "ა" (1) ოქროს ლიგის გუნდმა ითამაშა 3 მატჩი (სამივე გამარჯვებით), აქედან 2 გასვლითი და 1 სახლში. "

"4. საქართველოს ჩემპიონატი 2022-2023 წწ ჭაბუკთა "ბ" (1) ლიგის გუნდმა ითამაშა 1 თამაში (ერთი გამარჯვებით), სახლის თამაში

5. საქართველოს ჩემპიონატი 202-2024 წწ ჭაბუკთა "ბ" (2) ლიგის გუნდმა ითამაშა 2 თამაში (ორივე წაგებით), აქედან 1 გასვლითი და 1 სახლში;

6. საფესტივალო ასაკის გუნდის ბავშვებს ქონდათ 4 თამაში, აქედან 3 გასვლითი თამაში და 1 სახლში. იასპარეზეს წარამატებით ;

IV - კვარტალი

1. 2023-2024 წწ საქართველოს დიდი10-ის მიმდინარე ჩემპიონატის მეოთხე კვარტალში ჩატარდა 8 თამაში (5 გამარჯვებით და 3 წაგებით), აქედან 3 გასვლითი და 5 სახლში;



2. 2023-2024 წწ საქართველოს დუბლ გუნდის მიმდინარე ჩემპიონატის მეოთხე კვარტალში ჩატარდა 4 თამაში (3 გამარჯვებით და 1 წაგებით), აქედან 3 გასვლითი და 1 სახლში

3. საქართველოს ჩემპიონატი - 2023-2024 წწ ჭაბუკთა "ა" ოქროს ლიგის გუნდმა ითამაშა 9 მატჩი (9 გამარჯვებით), აქედან 4 გასვლითი და 5 სახლში.

7. საქართველოს ჩემპიონატი 2022-2023 წწ ჭაბუკთა "ბ" (1) ლიგის გუნდმა ითამაშა 7 თამაში (6 გამარჯვებით და 1 წაგებით), 4 გასვლითი და 3 სახლში.

8. საქართველოს ჩემპიონატი 202-2024 წწ ჭაბუკთა "ბ" (2) ლიგის გუნდმა ითამაშა 6 თამაში (6 წაგებით), აქედან 2 გასვლითი და 4 სახლში;

9. საფესტივალო ასაკის გუნდის ბავშვებს ქონდათ 11 თამაში, აქედან 10 გასვლითი თამაში და 1 სახლში. იასპარეხეს წარამატებით;"

ფრენბურთის კლუბი ბათუმი - საანგარიშო პერიოდში გათვალისწინებული ღონისძიებების მიხედვით 2023 წლის მონაცემებით შპს ფრენბურთის კლუბი "ბათუმი"-ს მიერ 12 თვის განმავლობაში. 12

თებერვლიდან 14 თებერვლის ჩათვლით დაბა ბაკურიანში ჩატარდა 2023 წლის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თოვლის ფრენბურთში (მამაკაცები, ქალები) მონაწილეობას ღებულობდნენ: სამტრედიისა და გორის ორი გუნდი, ცაგერის, ყვარელისა, სტუ და ბათუმის გუნდები. ფრენბურთის კლუბ «ბათუმი»-ს ვაჟთა გუნდმა ყველა თამაში სრული მოგებით დაასრულეს და ოქროს მედალი მოიპოვეს. ტრამპების გამო გოგონათა გუნდს მონაწილეობა არ მიუღია.

9 მარტიდან 18 მარტის ჩათვლით, თელავის სპორტის სასახლეში ჩატარდა 2022–2023 წლის საქართველოს 31–ე ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის თამაშები ორივე გუნდმა (მამაკაცები, ქალები) მოგებით დასრულდა.

27 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით, თელავის სპორტის სასახლეში ჩატარდა 2022–2023 წლის საქართველოს 31–ე ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ტურის ორივე გუნდმა (მამაკაცები, ქალები) საპრიზო II ადგილი დაიკავა.

21 ივლისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით, ქ. თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა 2023 წლის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ქვიშის ფრენბურთში ფრენბურთის კლუბ „ბათუმი“-დან მივლინებული იყვნენ ვაჟების 3 წყვილი ხოლო გოგონების 2 წყვილი.

24 აგვისტოდან 28 აგვისტოს ჩათვლით. ქ. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ჩემპიონატი ქვიშის ფრენბურთის ფინალურ ტური, სადაც მონაწილეობა მიიღო ფრენბურთის კლუბ „ბათუმი“-ს ორმა წყვილმა, ორივე წყვილმა საპრიზო მეორე ადგილი დაიკავეს.

2 აგვისტოდან 6 აგვისტოს ჩათვლით გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. კაჭრეთში ამბასადორი, ქვიშის ფრენბურთის საერთაშორისო ჩემპიონატი ჩატარდა. “ქართველას თასზე” მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის წევრმა ქვეყნებმა, მათ შორის მონაწილეობდა სომხეთის, აზერბაიჯანის, ლატვიის, ლიტვის, უკრაინისა და საქართველოს გუნდები. ჩემპიონატი ჩატარდა, როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში.

სადაც მონაწილეობა მიიღო ფრენბურთის კლუბ “ბათუმი”-ს გოგონათა და ვაჟთა წყვილებმა გოგონებს შორის მესამე ადგილის მოსაპოვებლად საქართველოს ორმა გუნდმა იზრძოლა, საბოლოოდ კი გოგონათა წყვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

5-9 სექტემბერს ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფრენბურთში „ოქროს ბურთი“ სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს, უკრაინის, თურქეთისა და



ირანის. სულ 18 წყვილმა. ფრენბურთის კლუბ ბათუმის მამაკაცთა წყვილმა საპრიზო II ადგილი დაიკავა.

10 სექტემბერს ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი „კორტის მეფეები-2023“ ფრენბურთის კლუბი „ბათუმი“-ს წყვილი დაჯილდოვდა „კორტის მეფის“ ტიტულით კლუბი „ბათუმის“ მოთამაშე ლიზი ლობჯანიძე გერმანიის Nawaro Straubing-ში გააგრძელებს სპორტულ კარიერას.

11 ნოემბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით ჩატარდა 2023–2024 წლების საქართველოს 32– ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის თამაშები 2023 წლის საქართველოს 32– ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის თამაშები დასრულდა მამაკაცთა გუნდმა 7 შეხვედრიდან მოიგეს 6 შეხვედრა 1 წაგებით, ხოლო ქალთა გუნდმა 5 შეხვედრიდან 3 მოიგეს 2 წაგებით დაასრულეს ."

საკალათურთო კლუბი ბათუმი 2010 - საანგარიშო პერიოდში გათვალისწინებული ღონისძიებების მიხედვით 2023 წლის მონაცემებით საკალათურთო კლუბი "ბათუმი - 2010" მიერ 12 თვის განმავლობაში გაიცა ადმინისტრაციისა ძირითადი გუნდების შრომის ანაზღაურება ასევე ბავშვთა და ასაკობრივი ჯგუფების მწვრთნელების. გადახდილია მოწვეული მოთამაშეების ავიაბილეთების თანხა, შეძენილია ფარმაცევტიული პროდუქტები კალათურთელეებისათვის და სათამაშო ფორმები. 2022-2023წწ სეზონზე, გუნდმა მონაწილეობა მიიღო ზურაბ საკანდელიძის და მიხეილ ქორქიას მემორიალის, საქართველოს თასისა და სუპერთასის გათამაშებაში. კლუბმა, ახალი სეზონისთვის სამზადისი 2023 წლის აგვისტოში დაიწყო. ბათუმმა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში 20 მატჩი ითამაშა, აქედან 15 საშინაო და 15 გასვლით შეხვედრა იყო. ჯამში 10 მოგება და 10 წაგება და საქართველოს ჩემპიონატი 30 ქულით მე-6 ადგილზე. კლუბი „ბათუმი -2010“ ასევე აქტიურად ღებულობს მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმიანობაში, გუნდის სრული შემედაგენლობა მიწვეული იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრაზე და ასევე აქტიურად იყვნენ ჩართული ქალაქის ასაკობრივი ნაკრების გუნდების განვითარების ხელშეწყობის საქმიანობაში.

ხელბურთის კლუბი ბათუმი - ძირითადი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა:

ა) გაიცა ხელფასები 3 ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალზე, 19 სპორტსმენზე, ექმზე და 2 ძირითადი გუნდის მწვრთნელზე.ბ) საქართველოს ხელბურთის 33-ე ეროვნულ ჩემპიონატში კლუბის წევრების მონაწილეობის მიზნით, 22 პირი მივლინებულ იქნა ქ. თბილისსა და გორში. ჩვენი გუნდი 33-ე ეროვნული ჩემპიონატისა და საქართველის თასის მფლობელია.ივლისის თვეში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ""შავი ზღვის თასი 2023"" ქვიშის ხელბურთში.სექტემბრის თვეში ჩატარდა ""თბილისის ღია პირველობა ქვიშის ხელბურთში"" სადაც მონაწილეობდა კლუბის 2 გუნდი(ქალთა და მამაკაცთა), კაცების გუნდი ""ბსბ"" გავიდა პირველ ადგილზე, ხოლო ქალების გუნდი მეორე საპრიზო ადგილზე. ოქტომბრის თვეში დაიწყო საქართველოს 34-ე ეროვნული ჩემპიონატი რომელც გაგრძელდება 2024 წელში.

ხელბურთის კლუბის „ბათუმის“ ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობის მიზნით:

ა) გაიცა ხელფასები 5 მწვრთნელზე. ბ) ბათუმის კლუბს მიმდინარე ასაკობრივ ჩემპიონატებში გამოჰყავს 4 ასაკობრივი გუნდი. გოგონების(2008-2009 და 2010-2011 წლებში დაბადებულები) და ვაჟების (2008-2009 და 2010-2011 წლებში დაბადებულები). ეს ჩემპიონატები იყოფა ორ ზონად (დასავლეთი, აღმოსავლეთი) და ტარდება სხვადასხვა



ქალაქებში (თბილისი, წყალტუბო, სენაკი). 2008-2009 წლებში დაბადებული გოგონებისა და ვაჟების ჩემპიონატი დასრულდა: გოგონები მეორე ადგილზე არიან ხოლო, ვაჟები მესამე საპრიზო ადგილზე. ოქტომბრის თვეში განახლდა 2008-09წწ დაბადებულ ვაჟთა და გოგონათა ახალგაზრდული ჩემპიონატები და დაიწყო 2010-2011 წლებში დაბადებულ ვაჟთა და გოგონათა ახალგაზრდული ჩემპიონატები, რომელიც გაგრძელდება 2024 წელში. კლუბის 16 წლამდე ვაჟთა გუნდის 7 მოთამაშე: სანდრო მახარაძე,საბა ფუტკარაძე, დათა მიქელაძე, არჩილ დოლიძე, ბექა წითელაძე,გიგა ბერიძე, შოთა ხოშორაძე გამოძახებულნი არიან საქართველოს ასაკობრივ ნაკრებში. ვაჟთა გუნდის 14 წლამდელოთა გუნდიდან საქართველოს ასაკობრივ ნაკრებში ასევე გამოძახებულნი არიან საბა დიასამიძე,ანდრია ჟღენტი და დაჩი ოსანაძე. ასევე ჩატარდა სასკოლო ფესტივალი ხელბურთში (მაისი და დეკემბერი).

➤ **მიღწეული შედეგები:**

ხელშეწყობილია მუნიციპალური სპორტული კლუბების განვითარება.

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა" (პროგრამული კოდი 05 01 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა".

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 419,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 364,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საანგარიშო პერიოდის პირველ კვარტალში კლუბის წარმატებული წევრებისთვის გაიმართა ვრცელი თემატური მასტერკლასი ფიდეს სენიორ ტრენერთან - დავით ჯოჯუასთან. 18 მაისს კი გაიმართა თემატური მასტერკლასები "შპს განათლება - სკოლა იმედში" მარიკა ჯაფარიძესთან რომელშიც 50-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. 5 სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით კლუბის წარმატებული წევრებისათვის მიმდინარეობდა სენიორ ტრენერთან GM დავით ჯოჯუასთან. 13 ნოემბერს გაიმართა თემატური მასტერ კლასი და სახალისო საჭადრაკო აქტივობები საბავშვო ბავშვების „ლელები“-ს აღსაზრდელებთან. კლუბის მიერ ორგანიზებული ტურნირები: საანგარიშო პერიოდში ყოველ შაბათს კლუბი "ნონა" პლატფორმა Chess.com - ზე ატარებდა რაპიდ და ბლიც ტურნირებს რომლებშიც სისტემატიურად ღებულობენ მონაწილეობას კლუბის წარმატებული ნორჩი წევრები, აგრეთვე მოჭადრაკეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან და უცხო ქვეყნის წარმომადგენლები. საპრიზო ადგილებზე გასული ვაჟები და გოგონები დაჯილდოვდნენ ელექტრონული დიპლომებით და მედლებით. ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კლუბმა ჩაატარა ონლაინ ბლიც ტურნირი მანდილოსნებისთვის. 29 ოქტომბერს და 10 დეკემბერს გაიმართა საერთაშორისო სარეიტინგო ტურნირები "Batumi Rapid October" და "Batumi Rapid December" რომელშიც 5 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას. 5 ნოემბერს და 2 დეკემბერს გაიმართა კლუბი ნონას საერთაშორისო შიდა პირველობა ჭადრაკში; 12 ოქტომბრიდან 8 ნოემბრის პერიოდში მიმდინარეობდა სასკოლო საჭადრაკო ფესტივალი; მეოთხე კვარტალში ჩატარდა ტრადიციული ღია საერთაშორისო საახალწლო საჭადრაკო ფესტივალი რომელიც 6 ტურნირს მოიცავდა, მონაწილეობდა 8 ქვეყანა და 400-მდე მონაწილე;

25 დეკემბერს გაიმართა კლუბი ნონას წლის შემაჯამებელი ღონისძიება-დაჯილდოების ცერემონიალი. ონლაინ ტურნირები: 29 აპრილს გაიმართა ბლიც



ტურნირი "ბათუმობა"; 26 მაისს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გაიმართა საერთაშორისო ბლიც ტურნირი. კლუბის ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო ბლიც ტურნირი "ნესისის თასი-2023" რომელშიც 8 ქვეყანა და 40-მდე მონაწილე იღებდა მონაწილეობას. მესამე კვარტალში კლუბის ორგანიზებით წარმატებით გაიმართა მე-7 საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი "ბათუმის მერიის თასი-2023" 10 დამოუკიდებელი საერთაშორისო ტურნირი, აგრეთვე საერთაშორისო ფეხბურთის ტურნირი მოჭადრაკეთათვის. ფესტივალის ფარგლებში ბათუმს 20 ქვეყნის 1500 მდე სტუმარი ყავდა. ფესტივალის პერიოდში გაიმართა აგრეთვე საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გურამ ჭანტურიას თასი ვეტერან მოჭადრაკეთა შორის 60+. 30 სექტემბერს გაცვლითი პროგრამების ფარგლებში მეგობრული შეხვედრა გაიმართა შიშვენიის (ყაზახეთი) საჭადრაკო სკოლა "რეიუკზაკი"-ს მოჭადრაკეებთან. სხვადასხვა ორგანიზაციებთან ერთობლივი ღონისძიებების ფარგლებში: 4 თებერვალს, ბათუმის სპორტის სასახლეში გაიმართა ღია საჭადრაკო ტურნირი სტუდენტებისთვის რომელიც BSU "ახალგაზრდები საქართველოსთვის" ინიციატივით და კლუბის ტექნიკური უზრუნველყოფით გაიმართა, მონაწილეობდა 30 მოჭადრაკე. მეორე კვარტალში გაიმართა საქართველო-უკრაინის მეგობრული ტურნირი რომელშიც 61 მოჭადრაკე იღებდა მონაწილეობას;

22 და 23 აპრილს გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის - გურამ ჭანტურიას საერთაშორისო ტურნირი სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში რომელშიც 6 ქვეყანა და 200-ზე მეტი მოჭადრაკე იღებდა მონაწილეობას; 16 მაისს გაიმართა ზებურ ავალიანის თასი-2023 სადაც 2 ქვეყანა და 81 მოჭადრაკე მონაწილეობდა; ასევე, საანგარიშო პერიოდში გაიმართა შიდა საუნივერსიტეტო საჭადრაკო პირველობა სადაც 31 მოჭადრაკე იღებდა მონაწილეობას; 24 მაისს გაიმართა ბათუმის ფიზიკა -მათემატიკის საჯარო სკოლის შიდა პირველობა ჭადრაკში სადაც 64 მოჭადრაკე იღებდა მონაწილეობას; 5 აგვისტოს კლუბის ტექნიკური დახმარებით გაიმართა თიბისის თანამშრომელთა საჭადრაკო ტურნირი. 7-15 დეკემბრის პერიოდში მეოთხე კვარტალში კლუბის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს 45 International Chess Festival Citta di Arco-Open A - ში, რომელიც გაიმართა იტალიაში სადაც FM ირაკლი ახვლედიანმა-II ადგილი მოიპოვა; 11 დან 20 ნოემბრამდე მიმდინარეობდა ევროპის ქალთა გუნდური ჩემპიონატი, რომელიც გაიმართა მონტენეგროში სადაც IM სალომე მელიამ მე-5 დაფაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მიწვეული არბიტრები: -პირველ კვარტალში კლუბის მენეჯერი მარიკა ჯაფარიძე ევროპის საჭადრაკო კავშირის მიერ მიწვეული იყო მატჩ არბიტრად ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე, ერთადერთი ქართველი მსაჯი ლიდერთა სექტორებს მსაჯობდა. მეორე კვარტალში გაიმართა ფიდეს მსოფლიო ჩემპიონატი სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში 8, 10, 12, 14 და 18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის სადაც 25 წვეყნის 450 მოჭადრაკე იღებდა მონაწილეობას. 9 ივნისს გაიმართა საერთაშორისო ბლიც ტურნირი ""ნესისის თასი-2023""; მეოთხე კვარტალი: IA, WFM, FI მარიკა ჯაფარიძე კვლავ მსოფლიოს ტოპ 25 მსაჯით დაკომპლექტებულ ""მწვანე პანელშია რომელშიც 6 მანდილოსან არბიტრდ შორის ერთ-ერთი მარიკა ჯაფარიძეა. ის ასევე, მიწვეული არბიტრია წლის ყველაზე პრესტიჟულ FIDE Grand Swiss & Women Geand Swiss ტურნირებზე (23.10-06.11.2023, Isle of Man, UK); Zakovat Gambit (16-20.11.2023, Tashkent UZB) მთ მსაჯის მოადგილედ; ""Rakirovka"" Open Festival (04-10.12.2023, Tashkent, UZB) მთავარ მსაჯად;



ტურნირები: - პირველ კვარტალში კლუბის წევრმა FM ირაკლი ახვლედიანმა წარმატებით იასპარეზა მთელ რიგ საერთაშორისო ტურნირებში: International Chess Tournament "Kadrioru MK Open-A Tournament" (10-12.02.2023, Estonia, Tallinn, Paul Keres Chess House) -ოქროს მედალი მოიპოვა, მარსელში გამართულ საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალში - "15 eme Festival de Marseille-Tournoi A" FM ვერცხლის მედალი მოიპოვა, იასპარეზა International Chess Festival 15th Kodokan "City of Messina Gate of Sicily" (02-08.01.2023, Messina, Italy), ხოლო თბილისში გამართულ ბლიც ტურნირებში ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა. მესამე კვარტალში: კლუბის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ტურნირებში: ფოთის მე-16 ფესტივალში (12-20.07.2023, ფოთი); XVIII საჭადრაკო ფესტივალში "ბათუმი-2023" (22-28.07.2023); აგრეთვე "შავი ზღვის დელფინი" (14-21.08.2023), სტამბულის მე-8 საერთაშორისო ფესტივალში (20.08-01.09.2023, სტამბოლი, თურქეთი) წევრებმა მოიმატეს საერთაშორისო რეიტინგი; სალომე მელიამ იასპარეზა ფიდეს ქალთა მსოფლიო თასზე (29.07-22.08.2023, ბაქო, აზერბაიჯანი) და საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ქალთა გუნდურ ჩემპიონატში (05-12.09.2023 ბიდგომში, პოლონეთ) სადაც გუნდმა გაიმარჯვა და მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. აჭარის ასაკობრივი ჩემპიონატები 8, 10, 12, 14, 16, 18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის: 1-5 და 15-19 მარტის პერიოდში დაფასთან თამაშის ფორმატით გამართულ აჭარის ასაკობრივ პირველობებში კლუბი ნონას 44 წევრმა იასპარეზა და ჯამში 6 ოქრო, 6 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მ მოიპოვეს. აჭარის თასი სწრაფ ჭადრაკში (29.01.2023, სპორტის სასახლე) გაიოზ ნიგალიძის გამარჯვებით დასრულდა.

➤ მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია ა(ა)იპ „საჭადრაკო კლუბი ნონას“ განვითარება;

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი (პროგრამული კოდი 05 01 06)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 206,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 198,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,1%.

➤ პროგრამის აღწერა:

2023 წელს გაწეული იქნა საოფისე-სამეურნეო ხარჯი, კლუბმა მიიღო როგორც ადგილობრივი ვიზიტორები, ასევე ტურისტები. გაიზარდა რეგიონის საჯარო სკოლების რიცხვი რომლებსაც გეგმიურად დაჰყავდათ მოსწავლეები კლუბში.

მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია საცხენოსნო სპორტის განვითარება და უზრუნველყოფილია საცხენოსნო კლუბის მონაწილეობა ადგილობრივ ტურნირებში.

მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 05 02)

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:



დაზუსტებული გეგმა - 2 885,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 822,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,8%;

➤ პროგრამის აღწერა:

მართვა და ადმინისტრირება - საანგარიშო პერიოდში თანამშრომლებზე გაცა ხელფასები, გაწეულია კომუნალური და კავშირგაბმულობის ხარჯები, სწავლის დაწყებასთან დაკავშირებული ხარჯები, დაფინანსდა ცენტრის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები. შეძენილია საკანცელარიო, სამეურნეო, სანიტარული და სამედიცინო საქონელი, სასმელი წყალი, თაბახის ფურცლები, საწვავი მანქანებისთვის. გადახდილია დაცვის ხარჯი, დაიბეჭდა და დარიგდა ფლაერები, გადახდილია შენობა-ნაგებობის დაცვის საფასური, აუდიტორული მომსახურების საფასური, შეძენილია ავეჯი ოფისისთვის, გაწეულია ცენტრის ბალანსზე არსებული ავტომობილების რემონტისა და დაზღვევის ხარჯები, ასევე ქალთა ფეხბურთის მატჩზე ვიდუო რგოლების გადაღების ხარჯები.

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება - საპლაჟო სპორტული კომპლექსის მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ჩატარდა სანტექნიკური მომსახურებები, მიწაში ჩაისვა ახალი ელექტრო გაყვანილობა, დაყენდა ახალი პროექტორები. შეიღება და რეკონსტრუქცია ჩატარდა ლითონის ღობეს, შესასვლელ კარებს, ტრიბუნებს. ასევე, შერემონტდა სკამები. შეიკურა ღობის დამცავი ბადე და ფეხბურთის ლითონის კარები. შეძენილია მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი, შეძენილია ქვიშა მოედნისთვის

სპორტული ცენტრის ბაზაზე ჰოკეის სექციის განვითარება-საანგარიშო პერიოდში სპორტული ცენტრის ბაზაზე მიმდინარეობდა ჰოკეის ჯგუფების მუშაობა, ბაზაზე ფუნქციონირებდა ყინულის ჰოკეის ორი ჯგუფი, რომელშიც ჩართული იყვნენ 7-დან 18 წლამდე მოზარდები (სულ 40 აღსაზრდელი). მიმდინარე წლის 02-04 ივნისს გაიმართა სპორტული ღონისძიება „ყინულის ჰოკეის ფესტივალი“. ღონისძიების ფარგლებში მონაწილეობა მიიღო ბათუმის, ქუთაისის, თბილისისა და ბაკურიანის გუნდებმა. გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები, რომლებსაც გადაეცათ თასები, მედლები, სიგელები და სპეციალური პრიზები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 100-მდე სპორტსმენმა. 2-3 დეკემბერს სპორტული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ყინულის ჰოკეის ღია ფესტივალი, სულ ჩართული იყო 80-მდე სპორტსმენი. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, პრიზები.

სპორტული ცენტრის ბაზაზე ფიგურული ციგურაობის სექციის განვითარება - 2023 წლის პირველ და მეორე კვარტალში სპორტული ცენტრის ბაზაზე მიმდინარეობდა ფიგურული ციგურაობის ჯგუფების მუშაობა. შეიქმნა 19 ჯგუფი, სადაც ვარჯიშობდნენ 4-დან 15 წლამდე მოზარდები, ხოლო სექციური ვარჯიშები ტარდებოდა კვირაში 6 დღე, სადაც 400-მდე მოზარდი იყო ჩართული. შეძენილია სამოყვარულო ციგურები, ტრენერებზე გაცემულია ხელფასები.

სანიჩბოსნო სპორტის სექციის განვითარების ხელშეწყობა - საანგარიშო პერიოდში ნიჩბოსნობის ბაზაზე ფუნქციონირებდა 2 ჯგუფი რომელშიც გაწევრიანებული იყო 7-15 წლამდე ასაკის 35 აღსაზრდელი, ვარჯიშები ტარდებოდა კვირაში 5 დღე, ვარჯიშის ხანგრძლივობა - 1 საათი და 30 წუთი. 2023 წლის 24-26 მარტს, პირველად გაიმართა „საქართველოს ღია პირველობა საერთო ფიზიკურ მომზადებაში და ნიჩბოსნობაში“ ღონისძიება 2 ეტაპად ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღო ფოთის, დუშეთის, მცხეთის და ბათუმის სანიჩბოსნო კლუბებმა. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები და პრიზები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 100-მდე სპორტსმენმა. ტენდერის ფარგლებში დაფინანსდა



ცენტრის ბაზაზე არსებული ნიჩბოსნობის სექციის შიდა სატურნირო მივლინება, პერსონალზე გაცემულია ხელფასები. 8-10 სექტემბერს სპორტული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ღია ფესტივალის ნიჩბოსნობაში, ღონისძიებაში მონაწილეობდა 9 ნიჩბოსნობის კლუბი - აქედან ორი უცხოური კლუბი: სომხეთისა და საბერძნეთის. სულ ჩართული იყო 100-მდე სპორტსმენი. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები და პრიზები. ასევე, სასწავლო პროცესების ხარისხიანი ჩატარებისთვის შეძენილია სპორტული ნაგები.

ამპუტანტ ფეხბურთელთა მხარდაჭერის პროგრამა - 2023 წლის იანვრიდან ეტაპობრივად მიმდინარეობდა ბათუმის სპორტული ცენტრის მასობრივი სპორტის განვითარების ამპუტანტ ფეხბურთელთა მხარდაჭერის პროგრამა. 2023 წლის მონაცემებით გუნდში გაწევრიანებული იყო 12 სპორტსმენი, რომლებიც სისტემატურად ვარჯიშობდნენ კვირაში ორი დღე. ვარჯიშები მიმდინარეობდა უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით. გაცემულია ხელფასები მწვრთნელებზე. 11-12 ნოემბერს სპორტული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ამპუტანტ ფეხბურთელთა ღია ფესტივალი, სულ ჩართული იყო 50-მდე ამპუტანტი სპორტსმენი. გამოვლინდნენ გამარჯვებული სპორტსმენები რომლებსაც გადაეცათ თასები, სიგელები, პრიზები და ფასიანი ვაუჩერი სპორტული მაღაზიიდან.

ქართული ჭიდაობის სექციის განვითარების ხელშეწყობა - საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ვარჯიშები კვირაში 3 დღე, სადაც ჩართული იყო 25 აღსაზრდელი, მარტის თვიდან გადახდილია იჯარის საფასური ვარჯიშების ჩასატარებლად. ტრენერებზე გაცემულია ხელფასები.

წყალბურთის განვითარების ხელშეწყობის სექცია - 2023 წლის იანვრიდან სპორტულ ცენტრს შეუერთდა წყალბურთის სექცია, რომელშიც 30 აღსაზრდელია გაწევრიანებული და გაყოფილია 2 ჯგუფად. იანვრის თვიდან ვარჯიშები მიმდინარეობდა კვირაში 5 დღე 2 საათით. გადახდილია აუზის იჯარის ყოველთვიური საფასური. ასევე, ტენდერის ფარგლებში დაფინანსდა წყალბურთის სექციის შიდა სატურნირო ღონისძიების ორგანიზება. პერსონალზე გაცემულია ხელფასები.

ქალთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა - საანგარიშო პერიოდში, კონკრეტულად კი მარტის თვეში, სპორტულ ცენტრს შეუერთდა ქალთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, სადაც გაწევრიანებულია 18 ქალი სპორტსმენი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საქართველოს ქალთა ეროვნულ ჩემპიონატში. დაფინანსდა მივლინებები საქართველოს ქალთა ეროვნული ლიგის ტურის ოფიციალურ თამაშებზე. საქართველოს ქალთა ეროვნული ლიგის კალენდარული მატჩის ჩატარებასთან დაკავშირებით მოწვეული მსაჯების სტუმრობასთან დაკავშირებით გაწეული იქნა წარმომადგენლობითი ხარჯები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ცენტრის სასპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება. მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობა,

სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო;

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**



დაზუსტებული გეგმა - 598,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 86,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 14,5%. ქ. ბათუმში, კოტე აფხაზის ქ. N4ა-ში ქართული ჭიდაობის ნახევრად ღია ტიპის მოედნის მშენებლობის გამოცხადებული ტენდერი (სამჯერ გამოცხადდა) და ბათუმის ბულვარში არსებული ფრენბურთის მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოების ტენდერი (სამჯერ) არ შედგა, აქედან გამომდინარე ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქ. ბათუმში, კოტე აფხაზის ქ. N4ა-ში ქართული ჭიდაობის ნახევრად ღია ტიპის მოედნის მშენებლობა, (მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტი - შენი იდეა ბათუმის ფარგლებში შერჩეული პროექტის დაფინანსება) - გამოცხადებული ტენდერები (N230019499; N230017707; 230010523) არ შედგა. ღონისძიება არის გარდამავალი და ტენდერის საქმის წარმოებას სჭირდება ხანგრძლივი დრო, ზემოაღნიშნული გარემოებისა და ვადების სიმცირის გათვალისწინებით ტენდერის გამოცხადება დაიგეგმა 2024 წლისათვის, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

ბათუმის ბულვარში არსებული ფრენბურთის მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები - გამოცხადებული ტენდერები (NAT230019499; NAT230017707; NAT230010523; NAT230015581) არ შედგა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამმართველოს მიერ არსებული სიტუაციის შესწავლის და ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული პროექტი რომელიც N34-1423115586; 25.04.2023წ. წერილის საფუძველზე უსასყიდლოდ გადმოცემული იქნა ა(ა)იპ "ბათუმის სპორტული ცენტრი"-ს მიერ არ აკმაყოფილებდა არსებული ფრენბურთის მოედნის რეაბილიტაციის შედეგად მიღებულ მოქმედ საერთაშორისო მაღალ სტანდარტებს, შესაბამისად სამმართველომ მიზანშეწონილად მიიჩნია არსებული პროექტით აღარ გამოცხადებინა ელექტრონული ტენდერი და დაიგეგმა მისცეს დავალება საპროექტო ორგანიზაციას საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ქვიშისსაფარიანი სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების შესახებ, აღნიშნული პროექტის დამზადების შემდეგ ღონისძიების განხორციელების მიზნით, ტენდერი გამოცხადდება 2024 წელს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

ქ. ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქ. N15-ში მიწის ნაკვეთზე არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები - მოწყო 0,64 რკ/ბეტონის ჭების თავსახურები, 4,42 კბ.მ. სანიაღვრე ჭები, 64 მ. სანიაღვრე მილები, 6,7 კბ.მ. რკ/ბეტონის კედელი, 2,59 კბ.მ. პანდუსის მჭიმი, 191 კვ.მ. გრანიტის ფილა, 604 ა/ბეტონის საფარი, 26,96 კბ.მ. რკ/ბეტონის მჭიმი, 270,5 გ/მ ბორდიური, 764 კვ.მ. დეკორატიული ფილა, 1 ც. ფანჩატური, 17 ც. საპარკე სკამი, 12 ც. სანაგვე ურნა, 1 ც. ელ. განათების ბოძი სანათით, 6 ც. სანათი, 248 გ/მ ელ. სადენი; 0,64 კბ.მ. რკ/ბეტონის ჭის ზომები მოყვანილ იქნა საპროექტო ნიშნულამდე; შეილესა 142 კვ.მ. კედლების დაზიანებული ნაწილი.

წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული თანხები) (მეორე 2,5%):

ქ. ბათუმში, იოანე ლაზის I შესახვევი N6 სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მეფე მირიანის III ჩიხში არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ივანე მესხის N1-ში არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხიხანისა და ხანძთის ქუჩების მონაკვეთში სპორტული მოედნის



მოწყობის,პარმენ რურუას ქ.N13-ში მდებარე სპორტული მოედნის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები , აღმაშენებლის ქ.N3-ში არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ნონეშვილის ქ.N58/60-ში არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სვიშვესკის ქ.N141-ში არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ. ბათუმში, ძმები ნობელების ქ.N44-ში არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები - მომწოდებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დაიფარა დავალიანება.

➤ მიღწეული შედეგები:

მიმდინარეობს ქალაქის სასპორტო ინფრასტრუქტურის განახლება.

კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები (პროგრამული კოდი 05 03)

კულტურული ღონისძიებების მართვა (პროგრამული კოდი 05 03 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 2 390,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 314,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,8%.

პროგრამის აღწერა:

საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფილი იქნა კულტურის ცენტრის გამართულად მუშაობასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება, როგორცაა ოფისის ხარჯების დაფარვა, კომუნალური გადასახადები, ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება და სხვა. ქვეპროგრამის ფარგლებში, ორგანიზაციის მიერ ხელშეწყობილი იქნა კულტურის ცენტრში შემავალი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით ფასიანი კონცერტების გამართვა.

შემოქმედებითი კოლექტივები წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდნენ რეპერტუარის განახლებაზე. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების მიზნით შესყიდული იქნა გახმოვანება-განათების აპარატურა, ლედ მონიტორი, პროექტორი.

მიღწეული შედეგები:

ხელშეწყობილია ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრის ფუნქციონირება.

ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 03 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 1 263,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 190,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,3%.

პროგრამის აღწერა:

საახალწლო ღონისძიებები „ევროპის“ მოედანზე, რომელიც 2022 წლის 20 დეკემბრიდან დაიწყო და 2023 წლის 7 იანვრის ჩათვლით გაგრძელდა, სპეციალურად მოწყობილ სივრცეებში, ღონისძიებები ყველა ასაკობრივ კატეგორიაზე იყო გათვლილი. წარმოდგენილი იყო საბავშვო კონცერტები, თეატრალური წარმოდგენები, ზღაპრის



გმირები, სხვადასხვა გასართობი, კულტურული აქტივობები. ჩატარდა ანსამბლების, ბენდების და ესტრადის მომღერლების კონცერტები.

23 მარტი – 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღის აღნიშვნა. ბათუმის განთავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად ბათუმის დრამატული თეატრის მიმდებარე მოედანზე ტრადიციულად შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მონაწილეობა მიიღო ცენტრის ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა. მემორიალი შემკობილი იქნა გვირგვინითა და ყვავილებით.

9 აპრილი - ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე. გაიმართა ცერემონიული გმირთა ხეივანში, მოქალაქეებმა და მთავრობის წარმომადგენლებმა მემორიალი შეამკეს ყვავილებით.

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება – ორგანიზებული იქნა ვეტერანების და სტუმრების შეკრება გმირთა ხეივანში, მოხდა მემორიალის შემკობა ყვავილებით. ვეტერანებს გადაეცათ სასურსათე პროდუქტების ნობათი. 29 აპრილი - სახალხო დღესასწაული „ბათუმობა“. ღონისძიებები ბათუმის ბულვარში, საზაფხულო თეატრის მიდებარე ტერიტორიაზე გაიმართა. მოეწყო სხვადასხვა ლიტერატურული და თეატრალური პერფომანსი, ფოტო გამოფენები, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. ჩატარდა ბათუმელი და საქართველოში მოღვაწე პოპულარული შემსრულებლების კონცერტი.

ამ დღესთან დაკავშირებით ბათუმს სტუმრობდნენ დელეგაციები ბათუმთან დამეგობრებული ქალაქებიდან. დღესასწაულის ფარგლებში დაიდგა მიუზიკლი „და, აი, ჩვენ აქ ვართ“, რეჟისორი ზაალ ჩიქობავა. 12 მაისი - წილხვდომილობის დღესასწაულის ფარგლებში პატივი მიეგო ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძრის ეზოში დაკრძალულ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისა, ქალაქ ბათუმის მერიის და ბათუმის კულტურის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ონლაინ-სემინარი.

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების მიზნით ქალაქი მორთული იყო საქართველოს დროშებით, საოცრებათა პარკში, ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა გასართობი შოუ - პროგრამები, პოპულარული ბენდებისა და დიჯეების მონაწილეობით. ასევე კონცერტში მონაწილეობდა ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივები, ქორეოგრაფიული და ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი.

მოეწყო თემატური გამოფენები, საბავშვო აქტივობები, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.

1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საზეიმოდ მოირთო 6 მაისის პარკი ფერადი ლენტებით, ბურთებით, სხვადასხვა დეკორაციებით. პარკში დამონტაჟდა სცენა, ჩატარდა საბავშვო კონცერტები ქალაქში მოქმედი სხვადასხვა ანსამბლების მონაწილეობით, დღის განმავლობაში ბავშვების განწყობაზე ზრუნავდნენ ანიმატორები და ზღაპრის გმირები. ღონისძიების დასკვნითი ნაწილი ზვიად ბოლქვაძის და პროექტ „რანინას“ კონცერტით დასრულდა.

8-11 აგვისტოს რუსეთ საქართველოს ომში დაღუპულთა სკვერში და შინდისის გმირების მემორიალთან შეიკრიბა აჭარის მთავრობის, ბათუმის მერიის



წარმომადგენლები და საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომლებმაც გვირგვინით შემკეს მემორიალი, გაიხსენეს ომში დაღუპული გმირები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ქალაქისა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა.

კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 27,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 24,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91,7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

უკრაინული ეთნიკური ჯგუფი:

მოეწყო ტარას შევჩენკოს დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. საბავშვო კონკურსი ხატვაში „ტარას შევჩენკოს შემოქმედება ბავშვთა ნახატებში; აღინიშნა ქალთა დღე; 14 აგვისტო - აღინიშნა უკრაინის დამოუკიდებლობის დღე; 28 აგვისტოს უკრაინული ეთნიკური ჯგუფის მიერ მოეწყო საექსკურსიო ტური იმერეთში;

სომხური ეთნიკური ჯგუფი:

აღინიშნა ახალგაზრდული საეკლესიო დღისასწაუი „სურბ სარქისი“; დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; ებრაული ეთნიკური ჯგუფი: აღინიშნა პასეხის დღესასწაული რუსული ეთნიკური ჯგუფი: მეგობრობის სახლში ჩატარდა სამაგიდო თამაშების ჩემპიონატი (ჭადრაკი, ნარდი, შაში); მოეწყო საექსკურსიო ტური მტირალას ეროვნულ პარკში

რუსული ეთნიკური ჯგუფის მიერ ქართული კულტურული ძეგლების და ღირსშესანიშნაობების მონახულების მიზნით მოეწყო საექსკურსიო ტური ქედამი და გონიოს ციხეზე.

ბერძნული ეთნიკური ჯგუფი - ბერძნულმა ეთნიკურმა ჯგუფმა მარიამობის დღესასწაულის ფარგლებში მოინახულა ეკლესიები სოფელ დაგვასა და ზედა კვირიკეში, ხოლო 16 სექტემბერს ჩატარდა ტური აია სოფიაში.

საანგარიშო პერიოდში - 9 ეთნიკური ჯგუფის მიერ ჩატარდა მოკლევადიანი ექსკურსიები სხვადასხვა ქალაქებში.

➤ **მიღწეული შედეგები:**

წახალისებულია კულტურული მრავალფეროვნება და ხელშეწყობილია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული აქტივობები.

საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 720,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 627,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 87,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**



შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი - შპს „ისტერნ პრომოუშენსის“ (ხელმძღვანელი გიორგი კერესელიძე) ორგანიზებითა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით 2023 წლის 28-29-30 ივლისს ბათუმის ახალ საკონცერტო სივრცეში „სთეიჯ 17“, ჩატარდა „შავი ზღვის ჯაზ - ფესტივალი“. მასში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოში ცნობილმა ანსამბლებმა - „Soul Train“. Marcus Miller“, „Brooklyn Funk Essentials“. ასევე ცნობილმა ქართულმა ბენდებმა. მერიის მიერ ფესტივალისათვის გამოყოფილმა ბიუჯეტმა შეადგინა 90000 ლარი.

საესტრადო მუსიკის ფესტივალი - „ბიძინა კვერნაძე -95“ - ა(ა)იპ ქართული მუსიკის ცენტრის (ხელმძღვანელი ნიკა ნიკვაშვილი) ორგანიზებითა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით 2023 წლის 29 ივლისს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა გენიალური ქართველი კომპოზიტორის - ბიძინა კვერნაძის 95 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. მაყურებლის წინაშე წარსდგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი, მანესტრო ნიკა ნიკვაშვილის ხელმძღვანელობით. რეჟისორი - ბაკურ ბაკურაძე. საღამო მიყავდა თეატრმცოდნე ნიკა წულუკიძეს. შესრულებული იქნა კომპოზიტორის ცნობილი ნაწარმოებები, მონაწილეობდნენ: ანსამბლი „შვიდკაცა“, ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე, ნატალია ქუთათელაძე, სოფიკო ხალვაში, კონსტანტინე კვიციანი, დავით ნოზაძე, ნიკა კორღალიძე და სხვა. საღამოს უდიდესი ნაწილი დაეთმო მელოდიებს კინოფილმებიდან „დათა თუთაშხია“, „შეხვედრა მთაში“, „უდიპლომო სასიძო“ და სხვ. მერიის მიერ ფესტივალისათვის გამოყოფილმა ბიუჯეტმა შეადგინა 90000 ლარი.

ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი „ზოული“ - შპს „გურულო პროექტის“ ორგანიზებითა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით ბულვარში, კოლონადების მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო საფესტივალო სივრცე, სადაც ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა მუსიკალური წარმოდგენები, შემეცნებით-გასართობი აქტივობები, ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, ასევე, ყურძნისეული და ხორბლისეული სასმელების გაყიდვა. 4 დღის მანძილზე პროექტს დაესწრო 5 000 -მდე ადამიანი. პროექტის ფარგლებში მოხდა ნიჭიერი ქართველი ხელოვანების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა, ბათუმის კულტურული ტურიზმის პოპულარიზაცია. პროექტის განხორციელებით განხორციელდა ქართველი მეწარმეების პოპულარიზაცია, მიიღეს ფინანსური შემოსავალი, მოახდინეს კომუნიკაცია ახალ დამკვეთებთან და მიიღეს მარკეტინგული აქტივობები, რაც მნიშვნელოვანია ბრენდის განვითარებისათვის. მერიის მიერ ფესტივალისათვის გამოყოფილმა ბიუჯეტმა შეადგინა 20000 (ოცი ათასი) ლარი."

სამზას მუსიკალური ფესტივალი - ა(ა)იპ „სამზა პროექტ ჯორჯიას“ ორგანიზებითა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით 2023 წლის 19 აგვისტოს ბათუმის მუსიკალური ცენტრში ჩატარდა „სამზას მუსიკალური ფესტივალი“, რომელსაც დაესწრო 350- ზე მეტი მაყურებელი. აღნიშნული სტილის ფესტივალი ბათუმში, და ზოგადად საქართველოში, პირველად ჩატარდა.

პროექტის ფარგლებში მოწვეული იყო ცნობილი ბრაზილიური ბენდი, რომლებმაც მაყურებელს შესთავაზა დაუვიწყარი მუსიკალური წარმოდგენა და განსხვავებული ჟღერადობები, რომლითაც გამოირჩევა სამზა. ასევე შედგა ბრაზილიასა და საქართველოს შორის კულტურის სფეროს მიმართულებებით თანამშრომლობა და დაიგეგმა სამომავლო პროექტები. მერიის მიერ ფესტივალისათვის გამოყოფილმა ბიუჯეტმა შეადგინა 30 997 ლარი.



ბათუმი-თბილისი XV საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ - „ბათუმი-თბილისის XV საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“, რომლის დამაარსებელია მსოფლიოში სახელგანთქმული მევიოლინე და დირიჟორი ლიანა ისაკაძე, გაიმართა 24-25 აგვისტოს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. სოლისტები - ელიკა ვუნში – სოპრანო, გერმანია; რიკარდო მარინელო – ტენორი, იტალია; ჰეიონ პარკი – ვიოლინო, კორეა; თამარ ლიჩელი – ფორტეპიანო, საქართველო;

ფესტივალის საბაზო ორკესტრი „საქართველოს ვირტუოზები“. კონცერტმაისტერი ლელა მჭედლიძე. შესრულებული იქნა მოცარტის, ერნესტო დე კურტისის, იმრე კალმანის, სეზარ ფრანკის, ჯუზეპე ვერდის, ფრანც ლეჰარის, ჯაკომო პუჩინის, ედუარდო დი კაპუას, ჯუზეპე ვერდის ნაწარმოებები, ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია გიორგი ისაკაძე. ორგანიზატორი - ა(ა)იპ „არტ-ალიანსი“. ხელმძღვანელი - ნინო ცაგარელი. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის მიერ პირველი კონცერტი გადაიცემოდა პირდაპირი ეთერით, რითაც ათიათასობით მაყურებელს საშუალება მიეცა ერთდოულად თვალი ედევნებინა ფესტივალის გახსნითი კონცერტისთვის. ფესტივალის გახსნის დღეს, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ფოიეში, ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით მოხდა ქართული ღვინის დაგემოვნება. მერიის მიერ ფესტივალისათვის გამოყოფილმა ბიუჯეტმა შეადგინა 84980 ლარი."

შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმის რაფსოდია" - შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალი "ბათუმის რაფსოდია", დაფუძნდა 2022 წლის 24 სექტემბერს, მსოფლიოში სახელგანთქმული სოპრანოს თამარ ივერის (ჯავახიშვილი) თაოსნობით.

2023 წლის 21 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე, ფესტივალი "ბათუმის რაფსოდიას" ფარგლებში ბათუმის საზაფხულო თეატრსა და ი. ჭავჭავაძის პროფესიულ დრამატულ თეატრში ჩატარდა ფესტივალის სხვადასხვა ღონისძიებები, კლასიკური საოპერო და ინსტრუმენტალური მუსიკის კონცერტები, ცნობილი საოპერო ვარსკვლავების მასტერკლასები და ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი „ოპერის ოქროს ხმა“, დამწყებ მომღერალთა 2 დღიანი მოსმენა მსოფლიოს წამყვანი საოპერო აგენტებისა და თეატრების დირექტორების მიერ, ფესტივალის ბოლოს გაიმართა მასტერკლასში მონაწილე ახალგაზრდა მომღერალთა და მოწვეულ სტუმართა შემაჯამებელი კონცერტი. ფესტივალი დასრულდა საზეიმო გალა-კონცერტით ბათუმის ბულვარის კოლონადებთან, სადაც პუბლიკის წინაშე წარსდგა მსოფლიოს პრესტიჟულ სცენებზე მოღვაწე 3 უმაღლესი დონის ტენორი. პროექტის განმახორციელებელია ა(ა)იპ „ივერ-კლასიკ“. მერიის მიერ ფესტივალისათვის გამოყოფილმა ბიუჯეტმა შეადგინა 90 000 ლარი.

გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ფესტივალი - გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ფესტივალი " 2005 წელს დააფუძნა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ხათუნა მანაგაძემ. მიმდინარე წელს ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს უცხოეთში მოღვაწე ქართულმა ანსამბლებმა ავსტრიიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, თურქეთიდან. ადგილობრივი საგუნდო კოლექტივებისათვის მასტერკლასები ჩატარეს ფოლკლორის ეროვნული ცენტრის გამოცდილმა ეთნომუსიკოლოგებმა. ტრადიციული კულტურის აქტუალური საკითხები იქნა განხილული სამეცნიერო კონფერენციებზე, რომლებიც სამი დღის განმავლობაში



ტარდებოდა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში. ფესტივალის მიზანი იყო ტრადიციული ავთენტური კულტურის შენარჩუნება და პოპულარიზაცია. ბათუმელი მსმენელისთვის ამ სფეროში მიმდინარე მოვლენების გაცნობა. ახალგაზრდების ჩართვა ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის პოპულარიზაციაში. მერიის მიერ ფესტივალისათვის გამოყოფილმა ბიუჯეტმა შეადგინა 21 300 ლარი. ჩატარებულა 2 მასტერკლასი.

თეატრი შენს ეზოში - 2023 წლის 5 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე ბათუმის 14 ადმინისტრაციული ერთეულის ეზოებსა და სკვერებში განხორციელდა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ ფარგლებში, პროექტი „ თეატრი შენს ეზოში“. იგი ჩატარდა შპს „freshtour“-ის (დირექტორი - ირაკლი ბერიძე) ორგანიზებით.

სპექტაკლების ჩასატარებლად ქალაქის ფარგლებში შერჩეული იქნა 10 ლოკაცია, ადმინისტრაციული ერთეულების დიდი ეზოები და სკვერები. ყველა ლოკაციაზე მოეწყო გარე სცენები 30 მკვ. სასცენო იატაკითა და თეატრალური განათებით, თემატური დეკორაციებით, ცივი ნათების ნათურებით, ფერადი გირლანდებით. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო პანტომიმის, თეატრალურმა, თოჯინურმა, მუსიკალურმა კოლექტივებმა. სპექტაკლებზე თეატრალურ-საკონცერტო დასებს საშუალება ჰქონდათ ინტერაქტიური კომუნიკაცია დაემყარებინათ მოზარდებთან. ასობით ბათუმურ ოჯახში გაიზარდა თეატრალური ხელოვნებით დაინტერესება. წარმოდგენების დაწყებამდე მოზარდებს მიეწოდებოდა ინფორმაცია თეატრალურ სამყაროში არსებული სიახლეების შესახებ. მერიის მიერ ფესტივალისათვის გამოყოფილმა ბიუჯეტმა შეადგინა 40000 ლარი.

ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“ - 2023 წელი ბათუმის ანიმაციური ფილმების XV საერთაშორისო ფესტივალისათვის საიუბილეოა. ა(ა)იპ „პროექცია“ მე- 15 წელია ატარებს აღნიშნულ ფესტივალს. მ/წელს ფესტივალი ჩატარდა 14 -18 ნოემბერს ბათუმის თოჯინებისა და მოზარდმაცურებელთა სახელმწიფო პროფესიულ თეატრში და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გაიზარდა ფესტივალის მასშტაბები, რაც გამოიხატა საფესტივალო ღონისძიებების რაოდენობისა და მრავალფეროვნების ზრდაში. ფესტივალმა ბავშვებსა და მოზარდებს მისცა საშუალება კულტურულ ცხოვრებაში ჩართულიყვნენ და ენახათ უახლესი ანიმაციური ფილმები, ასევე მიეღოთ მონაწილეობა საგანმანათლებლო ღონისძიებებში, რამაც უფრო მრავალფეროვანი გახადა მათი ყოველდღიურობა და ხელი შეუწყო გამოცდილების დაგროვებაში, როგორცაა წარმატებულ პროფესიონალებთან ურთიერთობა, როგორც ქართველებთან, ასევე უცხოელებთან. ფესტივალს წელს ახალი პარტნიორი ყავდა და ღონისძიებების რიცხვს დაემატა ახალი, საინტერესო გამოდილება VR ჩვენებები. ფესტივალმა ხელი შეუწყო პროფესიონალებს შორის კავშირების დამყარებას, დამწყებმა ანიმატორებმა მნიშვნელოვანი რჩევები მიიღეს დარგის სპეციალისტებისგან. ფესტივალის გახსნის ღონისძიებაზე გაიმართა თანამედროვე, ანიმაციით გაფორმებული სპექტაკლი „ჩაკრულოს ძიებაში“, რომელმაც დიდი ინტერესი დაიმსახურა როგორც ადგილობრივი თეატრალების მხრიდან, ასევე უცხოელ სტუმრებშიც. პროექტში მონაწილეობა მიიღო 184 სუბიექტმა. მერიის მიერ ფესტივალისათვის გამოყოფილმა ბიუჯეტმა შეადგინა 30 000 ლარი.

საყმაწვილო, სასკოლო თეატრალური დასების ფესტივალი „პირველი ავტოგრაფი“ - 2023 წლის 18-27 ნოემბერს ჩატარდა საყმაწვილო, სასკოლო თეატრალური დასების III



ფესტივალი „პირველი ავტოგრაფი“. სპექტაკლებისათვის გამოიყო შემდეგი ლოკაციები: ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო დრამატული თეატრი (დიდი სცენა. ახალი სცენა), აჭარის აჭარის ხ. ახვლედიანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრი, თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრი. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექვსივე მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების 300 - ზე მეტმა მოზარდმა, ხოლო დამსწრეთა რაოდენობა იყო 5000. ყოველწლიურად იზრდება მონაწილე კოლექტივების რაოდენობა. 2023 წელს მასში მონაწილეობა მიიღო 43 თეატრალურმა ჯგუფმა.

ფესტივალის გამარჯვებულები კვალიფიციურმა ჟიურიმ გამოავლინა, რომლის წევრებიც იყვნენ: რეჟისორი გია კიტია (თავმჯდომარე), მსახიობი ნანული სარაჯიშვილი და პოეტი ტარიელ ხარხელაური. „თანატოლი ჟიური“ მოსწავლე მარიამ ხუჯაძე.

ნომინაციაში „საუკეთესო გოგონა (მოსწავლე) მსახიობი“ ბათუმის მუნიციპალიტეტის სკოლა „ევრო 2000“-ის მოსწავლე მარიამ ჭანტურიამ გაიმარჯვა (ბებიის როლი – სპექტაკლში „მზის დაბნელება საქართველოში“). ნომინაციაში „საუკეთესო ვაჟი (მოსწავლე) მსახიობი“ გამარჯვება შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთის საჯარო სკოლის მოსწავლე თედო მჟავანაძემ მოიპოვა (ოსიკო ხარებაძის როლით სპექტაკლში „დარისპანის გასაჭირი“, თეატრალური დასი „გავქაჩავთ“).

"ნომინაციაში „საუკეთესო ვაჟი (მოსწავლე) სახასიათო როლისთვის“ პრიზი ვახტანგ პაპუნძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის საჯარო სკოლის მოსწავლეებს დათუნა ბერიძეს (მდიდარი მეზობლის როლის შესრულებისთვის) და გიგა ხალვაშს (ვაჭრის როლისთვის) გადაეცათ (თეატრალური დასი, სპექტაკლი „მეგობრობა“).

ნომინაციაში „საუკეთესო გოგონა (მოსწავლე) სახასიათო როლისთვის“ ჯილდო წილად ხვდა ვახტანგ პაპუნძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის საჯარო სკოლის მოსწავლე კესარია ალელიშვილს (მევიოლინეს როლის შესრულებისთვის სპექტაკლში „მეგობრობა“, თეატრალური დასი „რამზა“).

ჯილდო „საუკეთესო მხატვრობა/სცენოგრაფიისთვის“ ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლას გადაეცა (თეატრალური დასი „სარკე“, პიესის ავტორები – დიანა ჩახუნაშვილი, ტარიელ კიკვაძე, სპექტაკლი „პროლოგი“).

ნომინაციაში „გამორჩეული სპექტაკლი“ პრიზი შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ოლადაურის საჯარო სკოლას გადაეცა (თეატრალური დასი „ოლადა“, სპექტაკლი – „ქეთევან წამებული“).

„საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისთვის“ დაჯილდოვდა სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლა (თეატრალური დასი „მერცხლები“, სპექტაკლი „ჩხიკვთა ქორწილი“).

"საუკეთესო დასის" სახელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელვაჩაურის №1 საჯარო სკოლამ მოიპოვა (თეატრალური დასი „ტრიუმფი“, სპექტაკლი „ნუ გააღვიძებ“).

ნომინაციაში „საუკეთესო სპექტაკლი“ ჯილდო ბათუმის სკოლა „ევრო 2000“-ს გადაეცა (თეატრალური დასი „სახილველი“, სპექტაკლი „მზის დაბნელება საქართველოში“).



მსახიობ ბიძინა მიქაუტაძის სახელობის სპეციალური პრიზი გადაეცა აჩი ჯაიანს (გიორგის როლის შესრულებისთვის სპექტაკლში „მზის დაბნელება საქართველოში“, სკოლა „ვერო 2000“, თეატრალური დასი „სახილველი“.

თანატოლი ჟიურის რჩეული ნომინაციაში „საინტერესო პერსონაჟი“ გახდა ლიკა შარაშიძე (მართა ქვიტირიძის როლის შესრულებისთვის სპექტაკლში „დარისპანის გასაჭირი“, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთას საჯარო სკოლის თეატრალური დასი „გავქაჩავთ“). ფესტივალში მონაწილე სხვადასხვა სკოლებს ჟიურის სპეციალური დიპლომებიც გადაეცათ.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ხელშეწყობილია საერთაშორისო ფესტივალების ჩატარება

კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 150,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 149,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

"ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურისა და ხელოვნების სფეროში იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი პროექტების (თავისუფალი ინიციატივები) მხარდაჭერას თანადაფინანსების ფორმატში. ქვეპროგრამა ითვალისწინებს კონკურსების ჩატარებას. ამ მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერმა გამოსცა ბრძანება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის შესარჩევი კონკურსის ჩატარების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ორი კომისიის სხდომა, სადაც შეირჩა 12 პროექტი.

დაფინანსებაზე რეკომენდაცია გაეწია შემდეგ პროექტებს:

პროექტი „აჭარის სამუსიკო სკოლების ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება“ -აჭარის რეგიონის სამუსიკო სკოლების ღვაწლმოსილ პედაგოგების დაჯილდოებასთან დაკავშირებით ჩატარდა ვალერიან შიუკაშვილის სოლო კონცერტი. პროექტის ავტორი: შპს „ხელოვნების აკადემია“; ბიუჯეტი: 8750 ლარი. განხორციელების პერიოდი: 24-25 მარტი."

პროექტი „პროლოგი“, პროექტის ფარგლებში განხორციელდა დამსახურებულ ბათუმელზე, ლეო ქაჯაიაზე ვიდეო ისტორიის გადაღება. პროექტის მიზანი იყო ჩვეულებრივი, რიგითი, მოქალაქეების საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და ღვაწლის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა. ფილმის გადაღების და მონტაჟის დასრულების შემდეგ ფილმის პრეზენტაცია შედგა ქ. ბათუმში კინოთეატრ აპოლოში. პროექტის ავტორი: ააიპ გრიინ თაიმ ჯორჯია; ბიუჯეტი: 10 000 ლარი; განხორციელების პერიოდი: 25 მარტი- 30 აპრილი.

პროექტი მხატვრულ დოკუმენტური ფილმი „სიყვარულის კოქტეილი“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა ფილმის, ხმის დამუშავება ფერის კორექცია და საბოლოო მონტაჟი. პრეზენტაცია შედგა ქ. ბათუმში კინოთეატრ აპოლოში. პროექტის ავტორი: შპს კატიე არტ სტუდია; ბიუჯეტი: 10 000 ლარი; განხორციელების პერიოდი: 27 მარტი -30 აპრილი;



პროექტი „მუსიკალური სპექტაკლი“ პროექტის ფარგლებში შეიქმნა ქართული საბავშვო მუსიკალური სპექტაკლი, სადაც გაერთიანდა 80 - მდე სხვადასხვა ასაკის ბავშვი და მსახიობები. დაიდგა სხვადასხვა მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომერი. პროექტის ავტორი: ააიპ საქველმოქმედო ფონდი ჰარმონია; ბიუჯეტი: 10 000 ლარი; განხორციელების პერიოდი: 27 მარტიდან - 10 ივნისამდე;

პროექტი „კინო“ - პროექტის ფარგლებში განხორციელდა კინო ჩვენებები. სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა გაცნობილიყვნენ ახალ ქართულ კინოპროდუქციას. დაინტერესებულ სტუდენტებს ინფორმაცია მიაწოდა გამოცდილმა სპეციალისტმა, კინოჩვენების, შემდეგ მოეწყო ფილმების განხილვები. პროექტის ავტორი: ააიპ „მომავლის საზოგადოების ცენტრი“; ბიუჯეტი: 5000 ლარი; განხორციელების პერიოდი: 28 აპრილი - 7 მაისი;

პროექტი „წუთისოფელი“- განხორციელდა შემეცნებითი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია. პროექტის ფარგლებში მთხრობელმა მაცურებელს უამბო საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდები. „ქართული ხმების“ ვირტუოზული შესრულებით მოისმენეს ქართულ ხალხური სიმღერა, საგალობლები. პროექტის სცენარის ავტორია ანსამბლ „ქართული ხმების“ სოლისტი თეიმურაზ ჭკუასელი. პროექტის ავტორი: შპს „ქართული ხმები“; ბიუჯეტი: 9 990 ლარი; განხორციელების პერიოდი: 15 მაისი- 15 ივნისი.

პროექტი „კომპოზიტორ ვაჟა დურგლიშვილის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამოს“ ორგანიზება. ქ. ბათუმში ზაქარია ფალიაშვილის სამუსიკო თერთმეტწლედის დარბაზში, ჩატარდა ვაჟა დურგლიშვილის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო, სადაც ცნობილი ქართველის მომღერლებისა და მუსიკოსების მიერ გაჟღერებული იქნა იუბილარი კომპოზიტორის ნაწარმოები. პროექტის ავტორი: ა(ა)იპ ლიმპოპო -1993; ბიუჯეტი: 10 000 ლარი. განხორციელების პერიოდი 21 მაისი- 22 მაისი."

„აია“/„AIA“ - პროექტის ფარგლებში ქ. ბათუმის საზაფხულო თეატრის მიმდებრე ტერიტორიაზე გაიმართა შემოქმედებითი საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმში მოღვაწე მუსიკოს შემსრულებლებმა. ასევე, მოწვეულნი იყვნენ მხატვრები, რომლებიც შემოქმედებითი ღონისძიების მსვლელობისას შექმნენ ნახატები. პროექტის ავტორი: ა(ა)იპ „ართ ფორ ფის“; ბიუჯეტი: 8450 ლარი. განხორციელების პერიოდი: 6 ივნისი - 8 ივნისამდე.

პროექტის მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა“ პროექტის ფარგლებში ბათუმში პირველად განხორციელდება ვოფგანგ ამადეუს მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა“. მუშაობის პროცესში საშუალება მიეცემა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ ამ მნიშვნელოვან პროექტში, რომელიც მათი არამხოლოდ მუსიკალური, არამედ არტისტული მონაცემების გამოვლენასაც შეუწყობს ხელს. ბათუმელ სტუდენტებთან ერთად პროექტში მონაწილეობას მიიღებენ ვილნიუსის მუსიკის აკადემიის სტუდენტები. პროექტის ავტორი: ა(ა)იპ არტ-ალტერნატივა ბიუჯეტი: 7800 ლარი. განხორციელების პერიოდი: 12 ნოემბერი- 19 ნოემბერი. პროექტი „ბათუმი არტ შოუ 2023“

განხორციელდა საფესტივალო კვირეული, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა ღონისძიებებისგან:

1. ერთ მოქმედებიანი კომიკური ოპერა „მოახლე ქალბატონი“.
2. წიგნის „ბათუმის ცნობილი სახეები“ პრეზენტაცია.
3. სოპრანო მარიამ ფირცხალაისვილის მასტერკლასი.



4. ფესტივალის დახურვა - საოპერო გალა კონცერტი. პროექტის ავტორი: შპს „ქართული ლირიკა“; ბიუჯეტი: 5 000 ლარი. განხორციელების პერიოდი: 24 ივნისიდან - 29 ივლისის ჩათვლით."

პროექტი „გერმანიაში მოღვაწე ქართველის ხელოვანის ბელა ბერკემერ-მახარაძის შემოქმედებითი სალამოს ორგანიზება“

ბათუმში ჩატარდა ქართველი მევიოლინის, ვირტუოზი შემსრულებლის ბელა ბერკემერ-მახარაძის შემოქმედებითი სალამო. პროექტის ავტორი: ა(ა)იპ ნათია სვანიძის საერთაშორისო საქველმოქმედი ფონდი „ოცნება“. ბიუჯეტი: 8 000 ლარი. განხორციელების პერიოდი: 30 ივნისი - 1 ივლისი; "

პროექტის „კედელი“ ფარგლებში დაიდგება ვალენტინ კრასნოგორვის პიესა „კედელი“. პროექტის ავტორი: შპს „ნოგაკუ“ ბიუჯეტი: 7 000 ლარი. განხორციელების პერიოდი: 1 სექტემბერი - 5 დეკემბერი.

პროექტი „ქართული თეატრის ამბავი ანუ ...“ სცენაზე გაცოცხლდა საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ქართული თეატრის იდუმალი ისტორიები 1783 წლიდან დამთავრებული მე-20 საუკუნის ჩათვლით. სცენაზე იდგნენ თეატრმცოდნეები, სუბიშვილები, ეკრანზე ნაჩვენები იქნა მსახიობები, რომლებიც დღეს ქმნიან ქართული თეატრის რეალობას. პროექტის ავტორი: ააიპ თეატრი 25; ბიუჯეტი: 10 000 ლარი; განხორციელების პერიოდი: 21 ივლისი- 23 ივლისი.

პროექტი „დავით არჩვაძე“ სოლო კონცერტი ჩატარდა დავით არჩვაძის სოლო კონცერტი, სადაც გაჟღერდა მომღერლის რეპერტუარში არსებული პოპულარული სიმღერები. ასევე, შესრულდა ქართველ კომპოზიტორთა კლასიკად ქცეული ნაწარმოებები. პროექტის ავტორი: შპს „მემო არტ“; ბიუჯეტი: 10 000 ლარი; განხორციელების პერიოდი: 2 სექტემბერი;

პროექტი „ანსამბლების გაერთიანების კონცერტი-ქალაქური მრავალხმიანობა“ ქ.ბათუმში ჩატარდა 5 ანსამბლის გაერთიანებული კონცერტი, კერძოდ: თეატრალური კვარტეტი, ალილო, შვიდკაცა, ქათული ხმები, ფორტე. სადაც შესრულდა სხვადასხვა მუსიკალური კომპოზიციები. პროექტის ავტორი: შპს ქალაქური მრავალხმიანობა; ბიუჯეტი: 10 000 ლარი. განხორციელების პერიოდი: 1 აგვისტო- 30 აგვისტო; "პროექტი „არჩილ გოგიტიძის სოლო კონცერტი“

ქ.ბათუმის მუსიკალურ ცენტრში დავით მაზანაშვილის ბენდისა და ორკესტრის თანხლებით ჩატარდა არჩილ გოგიტიძის სოლო კონცერტი. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო არაერთმა ცნობილმა მომღერალმა, მათ შორის: თამთა ხუბუნაიშვილი, გიორგი ბერიძე, ნიკო ბერიძე, აჩიკო ბერიძე, სულხან დევამე და სხვა. პროექტის ავტორი: შპს ნეივი ივენთს ენდ შოუს; ბიუჯეტი: 10 000 ლარი. განხორციელების პერიოდი: 1 აგვისტო - სექტემბერი."

"ახალგაზრდა კომპოზიტორთა ქართულენოვანი სიმღერების ფესტივალის საზაფხულო კონცერტი „პიტერატურა“ მიმდინარე წლის 23 სექტემბერს ბათუმის ბულვარში ჩატარდა კონცერტი „ახალგაზრდა კომპოზიტორთა ქართულენოვანი სიმღერების ყოველწლიური ფესტივალის“ ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობას მიიღო სხვადასხვა მიმდინარეობის 15-მდე მუსიკოსმა. პროექტი განხორციელდა ღია ცის ქვეშ. პროექტის ავტორი: ააიპ დათო ევგენიძის ფონდი თბილი-სი; ბიუჯეტი: 9700 ლარი. განხორციელების პერიოდი: 16- 23 სექტემბერი;

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია კულტურის სფეროში ინიცირებული პროექტები, შეირჩა და განხორციელდა 17 პროექტი.



04) კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05

ფოლკლორის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 1 675,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 654,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,7%.

პროგრამის აღწერა:

25 თებერვალს - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ადგილობრივი მთავრობა, ბათუმის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობა და საზოგადოების ნაწილი შეიკრიბა გიორგი მაზნიაშვილის თანამებრძოლთა საფლავთან. ღონისძიებაში კულტურის ცენტრის ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა მიიღო მონაწილეობა და შეასრულა საგალობლები.

4 მარტს - მიმა შანიძის თანადგომისათვის გამართულ საქველმოქმედო კონცერტზე გაიმართა ვოკალური ანსამბლის კონცერტი.

23 მარტს – აღინიშნა 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღე. ბათუმის განთავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად ბათუმის დრამატული თეატრის მიმდებარე მოედანზე ტრადიციულად შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ცენტრის ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა. მემორიალი შემკობილი იქნა გვირგვინითა და ყვავილებით.

26 მარტს ევროპის მოედანზე გაიმართა ვოკალური ანსამბლისა და ხალხური სიმღერების ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი უეფას საფეხბურთო ახალგაზრდული მოთამაშეების თასის შემოსვლასთან დაკავშირებით.

9 აპრილს გამართულ მემორიალურ ღონისძიებაზე მიიღო მონაწილეობა ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლმა.

სახალხო დღესასწაული - „ბათუმობა 2023-ის“ აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო - ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „ბათუმმა“, ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლმა და ვოკალურმა ანსამბლმა.

12-17 მაისს იტალიის რესპუბლიკაში, კულტურის დღეებზე გაიმართა - ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ბათუმის“, ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლის და ვოკალური ანსამბლის კონცერტი. ასევე, ენვერ ხაბაძის სახელობის ნაციონალურმა ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა „ბათუმმა“, ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლმა და ვოკალურმა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაში. - ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლი იღებდა მონაწილეობას გივი სიხარულიძის შემოქმედებით საღამოზე საზაფხულო თეატრში.

- წარმოდგენილი იქნა კონცერტების სერია: 7-11-21-24-26 ივნისს ბათუმის საზაფხულო თეატრში გაიმართა ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ბათუმის“ კონცერტები, ხოლო 26 ივნისს გაიმართა ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლის და ვოკალური ანსამბლის კონცერტი.



11-12-13 ივლისი - ქ. კირშეჰირის მუნიციპალიტეტში (თურქეთი) გაიმართა "მუსიკის II საერთაშორისო ფესტივალი". ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ბათუმის კულტურის ცენტრის ენვერ ხაბადის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „ბათუმი“, ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლმა და ვოკალურმა ანსამბლმა.

7 სექტემბერს ქედაში, ღვინის სახლში, საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებისათვის გაიმართა ქორეოგრაფიული ანსამბლის, ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლის და ვოკალური ანსამბლის კონცერტი.

16 სექტემბერს, ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ღონისძიების „ღვინოში შემონახული ისტორია“ ფარგლებში გაიმართა ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლის კონცერტი.

19 სექტემბერს ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლმა და ვოკალურმა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო მელიტონ კუხიანიძის სახელობის ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალში.

23-27 სექტემბერს თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ალანიაში, ტურიზმის სეზონის დახურვასთან დაკავშირებით გაიმართა სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლების ერთობლივი კონცერტები.

ქალაქ ალანიაში მიწვეული იყო ბათუმის კულტურის ცენტრის ქორეოგრაფიულ ანსამბლ "ბათუმის" ვეტერანთა ჯგუფი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გატარებულია ღონისძიებები ფოლკლორის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით.

თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 463,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 389,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 84,0%.

პროგრამის აღწერა:

25 ივნისს - საზაფხულო თეატრში გაიმართა ჯაზ ბიგბენდის კონცერტი;

30 ივლისს - საზაფხულო თეატრში "ზაფხულის კონცერტების სერიის" ფარგლებში გაიმართა „ჯაზ ბიგბენდის" კონცერტი.

შემოქმედებითი კოლექტივები აქტიურად მუშაობდნენ რეპერტუარის განახლებაზე. სხვა ღონისძიებები დაგეგმილია მეოთხე კვარტალში.

ზაფხულის ტურისტული სეზონის გახსნის ღონისძიება - 2024 წელს რეგიონში ზაფხულის ტურისტული სეზონის გახსნის ღონისძიებაზე სხვადასხვა სტრუქტურის მიერ დატვირთული კულტურული ღონისძიებების გამო არ იქნა საჭიროება დამატებით განხორციელებულიყო მუნიციპალიტეტის მიერ შესაბამისი აქტივობები, გამომდინარე აქედან არ იქნება ათვისებული გეგმით გათვალისწინებული ასიგნება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ხელშეწყობილია თანამედროვე მუსიკის მიმართულებით მოქმედი ანსამბლებლები

კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი



➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 557,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 556,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

2-4 მაისი - ქალთა აკადემიურმა კამერულმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო თბილისის საგუნდო მუსიკის XIII საერთაშორისო ფესტივალში.

5 მაისი - გაიმართა სასულე ორკესტრის მარშები შშმ პირთა დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით;

18 მაისი - გაიმართა სიმებიანი კვარტეტის კონცერტი მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მუზეუმში.

27 მაისი - გაიმართა სიმებიანი კვარტეტის კონცერტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში

6-8 ივლისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აღნიშნულ ღონისძიებაზე მონაწილეობა მიიღო ქალთა აკადემიურმა კამერულმა გუნდმა. გუნდმა მსმენელის წინაშე წარმოადგინა ქართველ კომპოზიტორთა საგუნდო მუსიკა. ბათუმის დრამატულ თეატრში გაიმართა ქალთა აკადემიური კამერული გუნდის კონცერტი;

25 ნოემბერს, საზაფხულო თეატრის ფოიეში, ენვერ ხაბაძის საიუბილეო კონცერტთან დაკავშირებით გაიმართა სიმებიანი კვარტეტის კონცერტი;

სასტუმრო ჰილტონში გაიმართა სიმებიანი კვარტეტის კონცერტი კულტურის მუშაკთა დაჯილდოვების ცერემონიაზე.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ხელშეწყობილია კლასიკური მუსიკის მიმართულებით მოქმედი ანსამბლებლები.

ხელოვანთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 47,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 40,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86,6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამა „ხელოვანთა ხელშეწყობა“ ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

1. საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება - ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიმდინარე წლის 10 თებერვლის #ბ14. 14230415 ბრძანებით დამტკიცდა ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“ ღონისძიების „საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ დებულება. შეიქმნა კომისია, ჩატარდა კომისიის სხდომები დაფინანსებაზე რეკომენდაცია გაეწია 11 ბენეფიციარს, ამათგან ორი ხელოვანი ოქტომბრის თვეში უნდა გამგზავრებულიყო ამერიკაში, თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაგეგმილი



ღონისძიება გადაიდო მომავალი წლისთვის, შესაბამისად მათი დაფინანსების ბრძანება გაუქმდა. აღნიშნულიდან გამომდინარე დაფინანსება განხორციელდა 9 ბენეფიციარზე.

2. გამოფენებისა და გასტროლების დაფინანსება - საანგარიშო პერიოდში გამოიცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება ბრძანება #ბ14. 14230606 ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“ ღონისძიების „გამოფენებისა და გასტროლების დაფინანსება“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე. შეიქმნა კომისია. ჩატარდა კომისიის სხდომა, სადაც შეირჩა ერთი პროექტი, კერძოდ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: ა(ა)იპ ლიმპოპო -1993 პროექტი სტუდია „ლიმპოპოს“ 30 წელთან დაკავშირებული გასტროლები, რომლის ორგანიზებაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოცხადდა ელ. ტენდერი.

3. წლის ხელოვანი - ფარგლებში განხორციელდა კულტურის დარგში მოღვაწე წარმატებული ხელოვანების გამოვლენა-დაჯილდოება, რომლებმაც მიაღწიეს მნიშვნელოვან - თვალსაჩინო, განსაკუთრებულ და გამორჩეულ პროფესიულ წარმატებებს. ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ. ჩატარდა კომისია, გამოვლინდა გამარჯვებულები, გაიცა ფულადი ჯილდო და სიგელები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

დაფასებული და სტიმულირებულია ბათუმელი ხელოვანები.

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 04 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 124,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 102,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,1%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: ბიბლიოთეკის მართვა-ადმინისტრირება, საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა; საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა; საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის შექმნა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. საბიბლიოთეკო საქმიანობას ნაწილობრივ დაბრკოლება შეუქმნა საჯარო ბიბლიოთეკის ძირითადი კორპუსის ავარიულმა მდგომარეობამ და იქ მიმდინარე შენობის გამაგრება-რეაბილიტაციის საქმიანობამ. ბიბლიოთეკის ძირითად კორპუსში დროებით შეწყდა მკითხველების მომსახურება. საქმიანობა გრძელდება ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში.

საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული რესურსებით (აუდიო-ვიდეო მასალა და ინტერნეტი) სარგებლობის რაოდენობრივი მაჩვენებელი ასახავს საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების შედეგს. ბიბლიოთეკის ძირითადი კორპუსის გამაგრება-აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების მიმდინარეობის გამო, „ამერიკულმა კუთხემ,“ შესაბამისად იქ არსებულმა კომპიუტერულმა ცენტრმა, ძირითად კორპუსში



შექმნილი სიტუაციის გამო, გარკვეული დროით შეწყვეტა მკითხველების მომსახურება, რაც აისახა ფონდის ელექტრონული რესურსებით სარგებლობის რაოდენობრივ მაჩვენებელზე.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მიუხედავად ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში საქმიანობისა (სარემონტო სამუშაოები), არსებითად უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის ფუნქციონირება, გეგმის შესაბამისად გაზრდილია ბეჭდვითი და ელექტრონული საბიბლიოთეკო ფონდი, ჩატარებულია კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები როგორც ონლაინ ფორმატში, ასევე ფიზიკურ სივრცეში.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება (პროგრამული კოდი 05 05)

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 05 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2 583,2 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 2 315,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 89,6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის შენობის გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოები - მოწყობა 18 კვ.მ. ღორღის საფუძველი, 360 კვ.მ. მონოლითური რკ/ბეტონი, 35 კვ.მ. კედლები, 1 100 კვ.მ. ქვიშა-ცემენტის მოჭიმვა, 3 986,9 მ. ელექტროსადენის შიდა ქსელი, 1 290 კვ.მ. სახურავი, 102 გ/მ წყალშემკრები მილები, 101 გ/მ წყალსარინელი მილები, 10 ც. წყალშემკრები ძაბრი, 30 გ/მ კერამიკული პლინტუსები, 985 კვ.მ. ლამინირებული იატაკი, 90 გ/მ მდფ-ის პლინტუსი, 10 ც. ჩამრთველი; შეიღება 29 ტ. ლითონის კონსტრუქციები; 29 ტ. ლითონის კონსტრუქციებით დროებით გამაგრდა და გაძლიერდა დაზინებული კედლები, გადახურვის ფილები და ღიობები; 6400 კვ.მ. კედლები შებათქაშდა და შეიღეს ქვიშა-ცემენტის ხსნარით; დაიგო და გაიკრა 370 კვ.მ. მეტლახი და კაფელი; შეიღება 4 050 კვ.მ. კედლები და ჭერი; კედლებზე გაიკრა 800 კვ.მ. თაბაშირმუყაოს ფილები; ჭერზე გაიკრა 1 200 კვ.მ. თაბაშირმუყაოს ფილები; შეკეთდა 2 კვ.მ. მეტალოპლასტმასის ფანჯარა; დამუშავდა 340 კვ.მ. კედელი ბეტონის უკეთ შეჭიდულობის მიზნით; ჩაისვა მეტალოპლასტმასის ფანჯრების 10 კვ.მ. მინა-პაკეტი; დამონტაჟდა 2 ც. რკინის კარი.

მომწოდებელმა კომპანიამ 2022 წლის 9 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №90 ხელშეკრულებით (NAT220015466) გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოები ვერ აწარმოა, გამომდინარე აქედან დაერიცხა პირგასამტეხლო (ჯარიმა).

შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით განვიმარტავთ, რომ სამმართველომ მიზანშეწონილად მიიჩნია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა განხორციელებინა სამმართველოში დასაქმებულ მონიტორინგისა და ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტების მეშვეობით, შესაბამისად არ წარმოიშვა აუცილებლობა შეესყიდა მომსახურეობა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების მიზნით გამოეცხადებინა ტენდერი.



ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

ქ. ბათუმში, ირაკლი აბაშიძის ქ. N6/ზარათაშვილის ქ. N26-ში საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია - მომწოდებელ კომპანიას დასაფინანსებლად სამმართველოში შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, გამომდინარე აქედან ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

შენარჩუნებულ და დაცულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და კულტურულ საგანმანათლებლო ობიექტები.

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 06)

ახალგაზრდული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 06 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 320,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 181,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 56,6%. ასიგნებების დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა 40%-ზე მეტია, რადგან ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ორგანიზება ვერ განხორციელდა, კერძოდ, მომწოდებელმა ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულება შეწყდა. თანმდევი პროცედურებიდან გამომდინარე ტენდერის თავიდან გამოცხადებას ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდა, თუმცა გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა არავინ მიიღო, რის გამოც ტენდერი არ შედგა.

➤ **პროგრამის აღწერა:**

„ახალგაზრდული ცენტრის“ მოვლა-პატრონობა. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო წლის მანძილზე განხორციელდა ახალგაზრდული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის მოვლა-პატრონობა, კერძოდ: ლიფტის გამართული ფუნქციონირებისთვის გატარდა შესაბამისი ღონისძიებები; უზრუნველყოფილი იყო ცენტრის დალაგება-დასუფთავება, კომუნალური გადასახადების დაფარვა, მათ შორის ინტერნეტ მომსახურების და შეიცვალა ფარდა-ჟალუზები. „არაფორმალური განათლების ხელშეწყობის“ ფარგლებში გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი ბიუჯეტით გათვალისწინებული მომსახურებების ორგანიზების შესყიდვის თაობაზე. ტენდერის დასრულების შემდგომ დაიწყო ღონისძიებების განხორციელება, ლიტერატურული კლუბის, ფარგლებში ეკოლოგიური კლუბის, ფსიქოლოგის საათის, სამოქალაქო კლუბის, დებატ კლუბისა და მულტიკულტურალიზმის სეზონური სკოლის ფარგლებში გამოცხადდა მონაწილეთა რეგისტრაცია. განხორციელდა დარეგისტრირებულ ახალგაზრდებთან კომუნიკაცია, ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეებთან, მაგრამ მომწოდებელმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, რის გამოც ღონისძიებების უმრავლესობა სრულად ვერ განხორციელდა, ნაწილი კი საერთოდ განუხორციელებელი დარჩა.



"ეკოლოგიის კლუბი - ეკოლოგიის კლუბის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

22 მაისს, ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქ. ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის ეკო კლუბის წევრები გასვლითი აქტივობების ფარგლებში ეწვია ქობულეთის დაცულ ტერიტორიებს. ვიზიტის მიზანი იყო, ქობულეთის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების ადგილზე დათვალიერება და გაცნობა. აქტივობაში მონაწილეობას იღებდა 12 ახალგაზრდა. 27 ივნისს გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე: „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეკოლოგია, მოსახლეობის ცხოვრების წესი და მათი გავლენა ცხოვრებაზე“. შეხვედრას ესწრებოდა 16 ახალგაზრდა, აქედან 9 გოგო და 7 ბიჭი. შეხვედრას უძღვებოდა დარგის სპეციალისტი - მარიამ ცეცხლაძე."

სამოქალაქო კლუბი. სამოქალაქო კლუბის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

5 ივნისს ჩატარდა შეხვედრა თემაზე: „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“. ახალგაზრდები გაეცნენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, იმსჯელეს საქართველოში არსებული კანონმდებლობისა და იმ ორგანიზაციების შესახებ; შეხვედრას ესწრებოდა 28 ახალგაზრდა, აქედან 25 გოგო, 3 ბიჭი. შეხვედრას უძღვებოდა დარგის სპეციალისტი - ზურა კვიციანი.

19 ივნისს ჩატარდა შეხვედრა თემაზე: „ადგილობრივი თვითმმართველობა“. შეხვედრას ესწრებოდა 15 ახალგაზრდა, აქედან 10 გოგო, 5 ბიჭი. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში ახალგაზრდები გაეცნენ ადგილობრივი თვითმმართველობის განმახორციელებელი სახელისუფლებო ორგანოების შესახებ ინფორმაციას; შეხვედრას უძღვებოდა დარგის სპეციალისტი - ზურა კვიციანი.

26 ივნისს ჩატარდა შეხვედრა თემაზე: „პოლიტიკური იდეოლოგიები და რეჟიმები“. შეხვედრას ესწრებოდა 17 ახალგაზრდა, აქედან 13 გოგო, 4 ბიჭი. ახალგაზრდები გაეცნენ ინფორმაციას პოლიტიკური იდეოლოგიისა და რეჟიმების შესახებ, სხვადასხვა ქვეყნებისა და დროის მაგალითზე. იმსჯელეს მათ მსგავსება-განსხვავებებზე და შედეგებზე. შეხვედრას უძღვებოდა დარგის სპეციალისტი - ზურა კვიციანი."

"ფსიქოლოგიის საათი - ფსიქოლოგიის საათის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

6 ივნისს ჩატარდა შეხვედრა თემაზე: „ბულინგი“. შეხვედრას ესწრებოდა 35 ახალგაზრდა, აქედან 27 გოგო, 8 ბიჭი. შეხვედრას უძღვებოდა ფსიქოლოგი ქეთი ბერიძე;

27 ივნისს ჩატარდა შეხვედრა თემაზე: „სტრესი და სტრესთან გამკლავება“. ახალგაზრდებმა ისაუბრეს სტრესის გამომწვევ მიზეზებზე, შედეგებსა და სტრესთან გამკლავების საკითხებზე. შეხვედრას ესწრებოდა 26 ახალგაზრდა, აქედან 18 გოგო, 8 ბიჭი. შეხვედრას უძღვებოდა ფსიქოლოგი ქეთი ბერიძე."

"დებატ კლუბი - დებატ კლუბის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: 9 ივნისს გაიმართა შეხვედრა დებატ კლუბის აქტივობების ფარგლებში. შეხვედრას ესწრებოდა 26 ახალგაზრდა. აქედან 22 გოგო და 4 ბიჭი. შეხვედრა მიზნად ისახავდა დებატების ხელოვნების დაუფლების მიზნით, სხვადასხვა პრაქტიკული სავარჯიშოს შესრულებას და პარალელურ რეჟიმში თეორიული მასალის გაცნობას. შეხვედრას უძღვებოდა დარგის სპეციალისტი -რევაზ ოკუჯავა.

იგივე თემასთან დაკავშირებით 29 ივნისს გაიმართა მორიგი შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდა 22 ახალგაზრდა. აქედან 17 გოგო და 5 ბიჭი."



ლიტერატურული კლუბი. ლიტერატურული კლუბის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობა:

14 ივნისს ჩატარდა ნაწარმოების „მთელი ზაფხული ერთ დამეში“ განხილვა. შეხვედრას ესწრებოდა 17 ახალგაზრდა, აქედან, 15 გოგო და 2 ბიჭი. განხილვისას მონაწილეებმა იმსჯელეს ავტორსა და წიგნის შინაარსზე; მოიყვანეს საინტერესო ფაქტები; იმსჯელეს სკოლებში არსებული ბუღინგის შემთხვევებზე; შეხვედრას უძღვებოდა ლიტერატურათმცოდნე, „წიგნები ბათუმში“ გამომცემელი, რედაქტორი - მარი კორინთელი.

11 ივლისს ლიტერატურული კლუბის აქტივობების ფარგლებში ჩატარდა ნაწარმოების შერონ დრეიპერის რეალისტური და საბავშვო წიგნის „გონების მიღმა“ განხილვა.

შეხვედრას ესწრებოდა 16 ახალგაზრდა, აქედან, 12 გოგო და 4 ბიჭი. განხილვისას მონაწილეებმა იმსჯელეს ავტორსა და წიგნის შინაარსზე; მოიყვანეს საინტერესო ფაქტები; იმსჯელეს თუ რა წინააღმდეგობების გადალახვა უწევს ადამიანს, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა; შეხვედრას უძღვებოდა ლიტერატურათმცოდნე, „წიგნები ბათუმში“-ს გამომცემელი, რედაქტორი - მარი კორინთელი.

კინო კლუბი - კინოკლუბის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: 15 ივნისს ჩატარდა ფილმის „წინააღმდეგობა“ ჩვენება. ფილმის ჩვენების დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია. მოწვეული სპეციალისტთან ერთად ახალგაზრდებმა განიხილეს ფილმის სიუჟეტი, იმსჯელეს ფილმის მხატვრულ ღირებულებასა და იმ პრობლემურ საკითხებზე, რაც ფილმში იყო წარმოჩენილი. შეხვედრას ესწრებოდა 41 ახალგაზრდა, აქედან, 28 გოგო და 13 ბიჭი. შეხვედრას ფასილიტაცია გაუწია კინომცოდნე სოფიკო თოქმაჯიშვილმა.

22 ივნისს ჩატარდა ფილმის „ვახელმენები“ ჩვენება. ფილმის ჩვენების დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია. მოწვეულ სპეციალისტთან ერთად ახალგაზრდებმა განიხილეს ფილმის სიუჟეტი, იმსჯელეს ფილმის მხატვრულ ღირებულებასა და იმ პრობლემურ საკითხებზე, რაც ფილმში იყო წარმოჩენილი, შეხვედრას ესწრებოდა 25 ახალგაზრდა, აქედან, 17 გოგო და 8 ბიჭი. შეხვედრას ფასილიტაცია გაუწია კინომცოდნე სოფიკო თოქმაჯიშვილმა. "

მულტიკულტურალიზმის სეზონური სკოლა. მულტიკულტურალიზმის სეზონური სკოლის ფარგლებში გაიმართა შემდეგი აქტივობა:

30 ივნისს ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა „მულტიკულტურალიზმის სეზონური სკოლის“ პირველი შეხვედრა თემაზე: „მულტიკულტურალიზმის ცნება“, ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდების მულტიკულტურული ღირებულებების ჩამოყალიბების და მულტიკულტურალიზმის მნიშვნელობის, მიმღებლობის, მრავალფეროვან კულტურაში თანაცხოვრებისა და ტოლერანტობის შესახებ ინფორმირებულობის მიზნით. შეხვედრას ესწრებოდა 17 ახალგაზრდა, აქედან 9 გოგო, 8 ბიჭი. სეზონური სკოლის მონაწილეთათვის დამზადდა ბრენდირებული მათარები და კეპები. სეზონურის სკოლის ფარგლებში გამართულ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრას უძღვებოდა პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი.

1 ივლისს ჩატარდა შეხვედრა თემაზე „მულტიკულტურალიზმი და განათლების თანამედროვე გამოწვევები“. შეხვედრას ესწრებოდა 24 ახალგაზრდა, აქედან 16 გოგო, 8 ბიჭი. მათ შორის 5 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდა; ხოლო 2 ივლისს მოეწყო მულტიკულტურული ისტორიის მქონე ქალაქის ტური. ტურის



ფარგლებში გაიმართა ვიზიტი სხვადასხვა დიასპორის წარმომადგენლებთან, ახალგაზრდებმა მოინახულეს სხვადასხვა კონფესიების საკულტო ნაგებობები, სადაც გაიმართა საუბრები და დისკუსია. ქალაქის ტურს უძღვებოდა გიდი, ინგა შარაძე. ტურს ესწრებოდა 20 ახალგაზრდა. აქედან, 16 გოგო და 4 ბიჭი. 5 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი; "

3 ივლისს შედგა მესამე შეხვედრა თემაზე: „ტოლერანტობა“. შეხვედრას ესწრებოდა 23 ახალგაზრდა, აქედან 15 გოგო და 8 ბიჭი, აქედან 5 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი; 4 ივლისს ჩატარდა სეზონური სკოლის ბოლო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა 20 ახალგაზრდა, აქედან 13 გოგო და 7 ბიჭი. 5 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი. სეზონური სკოლის მონაწილეებს გადაეცათ მონაწილეობის დამადასტურებელი ორენოვანი სერტიფიკატი. მულტიკულტურალიზმის სეზონურ სკოლას ფასილიტაციას უწევდა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, ოთარ გოგოლიშვილი.

შემეცნებით ტურები მიმდინარე წლის 11 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა შემეცნებითი შემეცნებითი ტურების ორგანიზება, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთიდან და უკრაინიდან 14 – 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები. აღნიშნული ტურის ფარგლებში სულ მონაწილეობდა 120 ახალგაზრდა, რომლებმაც მოინახულეს შემდეგი ლოკაციები: მაჭახელას ხეობა (მაჭახელას თოფის მონუმენტი; მაჭახელას ეროვნული პარკი ; მაჭახელას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი; ცხემლარას თაღოვანი ხიდი; ზედა ჩხუტუნეთის ჩანჩქერი და სხვა ღისშესანიშნაობები); ჭვანის ხეობა (ოთოლთას ციხე, ვარჯანაულის ისტორიული თაღოვანი ხიდი, ხაბელაშვილების ხის სამსაწლოვანი ხიდი, ასი წლის წინ აგებული მეჩეთი სოფ. ჭვანაში და ცხემლისის ჩანჩქერი); სხალთის ხეობა (სხალთის ეკლესია; შერიფ ხიმშიაშვილის მუზეუმი; საკემპინგე და საპიკნიკე ადგილები) და გოდერძის უღელტეხილი (მწვანე ტბა; შავი ტბა და ალპური ბოტანიკური ბაღი). ახალგაზრდებს მეგზურობას უწევდა პროფესიონალი ინსტრუქტორი და ისტორიკოსი.

„ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სულ შემოვიდა 15 განაცხადი, აქედან 3 განაცხადი არ აკმაყოფილებდა ღონისძიების დებულებით გაწერილ მოთხოვნებს, ხოლო ორი განაცხადი არ იქნა მხარდაჭერილი საკონკურსო კომისიის მიერ. დაფინანსდა 10 პროექტი, რომელთაგან განხორციელდა 9, ხოლო ერთი პროექტის განხორციელება დაგეგმილია ივლისისა და აგვისტოს თვეში. პროექტი 1: „ხე ჩემი მეგობარია“ მიმდინარეობდა 1 აპრილიდან 10 მაისის ჩათვლით. პროექტის ავტორი- ფ/პ მურად ფარტენაძე. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ბათუმის ცენტრალურ პარკში ერთ-ერთი გადაჭრილი ხის გამოკვეთა, რომელსაც მიეცა ბუსა და ციყვის სახე და გადაიქცა პარკში მოსეირნე ბავშვების თამაშისთვის საყვარელ ადგილად. პროექტის ორგანიზებაში ჩართული იყო სამი პირი. პროექტი 2: „ეკოლოგიური ფორუმი - ბათუმი 2023“ მიმდინარეობდა 5 -20 მაისის ჩათვლით პერიოდში. პროექტის ავტორი - ფ/პ ალექსანდრე აბუსელიძე. პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, მოსახლეობაში ეკოლოგიური პრობლემების აღმოსაფხვრელად ცნობიერების ამაღლებას. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ველო მარათონი; ეკოლოგიური ფორუმი და საინფორმაციო კამპანია, ველოსიპედის, როგორც ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი ტრანსპორტის



ერთ-ერთ სახეობის პოპულარიზაციის მიზნით, რის შედეგადაც განხორციელდა ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ეკოლოგიურ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება და აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელი გზების ძიება. პროექტში მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კერძო და საჯარო სკოლების 50 -მა მოსწავლემ.

"პროექტი 3: „საკალათბურთო ფესტივალი" მიმდინარეობდა 5 მაისიდან - 1 ივნისის ჩათვლით პერიოდში. პროექტის ავტორი - ფ/პ ნიკოლოზ კიკვაძე. პროექტის ფარგლებში განხორციელდა საკალათბურთო ფესტივალის ორგანიზება ორ ეტაპად. პირველ ეტაპში მონაწილეობდნენ 12-16 წლის ასაკის მოზარდები და ახალგაზრდები, ხოლო მეორე ეტაპში 16 წლის ზემოთ ახალგაზრდები. ტურნირი ჩატარდა როგორც ბიჭებს, აგრეთვე გოგონებს შორის. მასში მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმში მცხოვრებმა 350 ახალგაზრდამ. პროექტის განხორციელების შედეგად ახალგაზრდებში მოხდა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, „ქუჩის კალათბურთის" პოპულარიზაცია, გოგონათა კალათბურთის განვითარების ხელშეწყობა, კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდების აღმოჩენა და დიდ კალათბურთში გადაყვანა.

პროექტი 4: „იცოდე მეტი შენი ქვეყნის წარსულის შესახებ“ მიმდინარეობდა 5 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით პერიოდში. პროექტის ავტორი - ფ/პ ნათია ახვლედიანი. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებმა დარგის სპეციალისტებთან ერთად არაფორმალურ გარემოში მოიძიეს და დაამუშავეს საკითხები საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია, წიაკითხეს და დარგის სპეციალისტის მოდერატორობით გაიაზრეთ ეპოქასთან კავშირში მყოფი ლიტერატურული ნაწარმოებები; უყურეს და განიხილეს კინომცოდნესთან ერთად ფილმები, რომლებიც აღწერდნენ აღნიშნულ ეპოქას; გაეცნენ უნიკალურ ისტორიებს ქართველი ეროვნული გმირების შესახებ და შეძენილი ცოდნა გაუზიარეს თავიანთ თანატოლებს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმში მცხოვრებმა 35-მა ახალგაზრდამ. "

"პროექტი 5: „კადრებად შენახული ბათუმის ისტორია" მიმდინარეობდა 5-25 მაისის ჩათვლით პერიოდში. პროექტის ავტორი - ფ/პ ნაზრი მიქელაძე. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ქ. ბათუმში მცხოვრები მოსახლეობის გარკვეული ნაწილიდან, ძველი ისტორიული ფოტოების მოძიება, დახარისხება, ბეჭდვა, ჩარჩოში განთავსება, ფოტოების მიხედვით მოკლე მიმოხილვის გაკეთება ბათუმის ისტორიული წარსულის შესახებ და გამოფენის მოწყობა, გადაღებული და მომზადებული იქნა 12 წუთიანი ვიდეო-რგოლი. პროექტის განხორციელების პროცესში ჩართული იყო 4 ბათუმელი ახალგაზრდა, პროექტის განხორციელების შედეგად განხორციელდა საზოგადოების დაინტერესება წინაპრებით, მათი ისტორიითა და გენეალოგიით; ბათუმის ისტორიული სინამდვილის გახსენება; ფოტოხელოვნების, როგორც ხელოვნების დარგის პოპულარიზაცია და ძველი, უკვე მივიწყებული ფოტოების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა.

პროექტი 6: „პალიტრა“ მიმდინარეობდა 5 მაისიდან 10 ივნისის ჩათვლით პერიოდში. პროექტის ავტორი და განმახორციელებელი იყო თვითნასწავლი მხატვარი - ანნა ჭყონია. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ბათუმში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის ხატვის ტექნიკის სწავლება, თემის შერჩევა და შემდეგ აღნიშნული თემის ფარგლებში ნამუშევრების შესრულება. საბოლოოდ კი ნამუშევრების გამოფენა ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში. პროექტის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 26-მა მოზარდმა და ახალგაზრდამ. პროექტის განხორციელების შედეგად ახალგაზრდებში პოპულარიზაცია გაეწია ხატვას, აგრეთვე კიდევ ერთხელ მოხდა იმის ხაზგასმა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების



მიუხედავად, ადამიანის შესაძლებლობებს საზღვრები არ აქვს, ხელშეწყობილი იქნა სხვადასხვა სკოლის მოსწავლეთა შორის კომუნიკაციის დამყარება. "

"პროექტი 7: „კვარას თასი“ მიმდინარეობდა 22 მაისიდან, 20 ივნისის ჩათვლით პერიოდში. პროექტის ავტორი - ფ/პ გოგა ტაკიძე. პროექტის ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებს შორის ჩატარდა საფეხბურთო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 110-მა ახალგაზრდამ. პროექტის განხორციელების შედეგად ახალგაზრდებში განხორციელდა ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია და სკოლის მოსწავლეთა შორის სპორტული წესით ცხოვრების გააქტიურება. "

პროექტი 8: „შემოქმედებითი კომპოზიცია მთაწმინდის პანთეონი“ მიმდინარეობდა 23 მაისიდან 25 ივნისის ჩათვლით პერიოდში. პროექტის ავტორი - ფ/პ ალექსანდრე აბუსელიძე. პროექტის ფარგლებში ქ.ბათუმში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა მოიძიეს, დაამუშავეს და დაისწავლეს ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიული მონაცემები და მათი შემოქმედებიდან გარკვეული ლექსები, რის შემდეგაც მოინახულეს ქ. თბილისში მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი, სადაც გამართეს ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც ლაივ ფორმატში, ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის ფეისბუქ გვერდის მეშვეობით საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია მთაწმინდის პანთეონში დაკრძალული მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შესახებ, ჯამში 36 ისტორიული პიროვნების შესახებ. პროექტში მონაწილეობა მიიღო 37-მა ახალგაზრდამ. "

პროექტი 9: „ისტორიულ-შემეცნებითი ტური ძველი თბილისი და ძველი მცხეთა“ მიმდინარეობდა 20 მაისიდან 25 ივნისის ჩათვლით პერიოდში. პროექტის ავტორი - ფ/პ თათია გოგრაჭაძე. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ისტორიულ-შემეცნებითი ტურის ორგანიზება საქართველოს ორ უძველეს ქალაქსა და დედაქალაქში - მცხეთასა და თბილისში. ქ. ბათუმში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა მოინახულეს ისტორიულ-კულტურული ძეგლები, გაეცნენ ისტორიას თითოეული მათგანის შესახებ, მოინახულეს აგრეთვე ქ. გორში მდებარე შინდისის გმირთა მემორიალი და გამოეხმაურნენ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებსა. აღნიშნული ტური იყო შემეცნებით ხასიათის და ტურის მიმდინარეობისას ახალგაზრდებს მეგზურობას უწევდნენ პროფესიონალი გიდები.პროექტში მონაწილეობდა 37 ახალგაზრდა.

პროექტი 10: „საჯარო სივრცეების მეფინგი (რუკების მომზადება) და კოლექტიური დაგეგმარება“ მიმდინარეობდა 2023 წლის 22-23 ივლისს.პროექტის ავტორი - ფ/პ მარიამ მორჩაძე. პროექტის ფარგლებში სემინარის მონაწილეები გაეცნენ საჯარო სივრცეებზე დაკვირვების მეთოდებს - მოუსმინეს ანთროპოლოგის, თინათინ ხომერიკის მოხსენებას სივრცის აღქმის ტექნიკაზე და პრაქტიკული დავალებების საშუალებით არქიტექტორისა და ქალაქმგეგმარებლის, ნუცა ლომსაძის, დახმარებით „მეფინგი“-ის ტექნიკის გამოყენების საშუალებით, ჩაუტარდათ პრაქტიკული სამუშაო - ველზე დაკვირვება, რუკასთან კოლექტიური მუშაობა და მასზე ნარატიული შეფასების/აღწერის გადატანა, პრეზენტაციის ფორმით გადმოსცეს ის, თუ როგორ აღიქვეს მათმა სენსორულმა შეგრძნებებმა საჯარო ურბანული ადგილები. პროექტში მონაწილეობდა 10 ახალგაზრდა.

პროექტი 11: პროექტის „21 საუკუნე - ხელოვნური ინტელექტი და საპიენსი“ „21 Century - AI & Sapiens“ მიმდინარეობდა მ.წ. 23 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში. პროექტის ავტორი გახლდათ ფ/პ მათე კონჯარია. პროექტის მიმდინარეობისას განხორციელდა • დებიუტანტი მხატვრების და ფოტოგრაფების; ხელოვნებაში ახალი მიდგომების გაცნობა საზოგადოებისთვის; თანამედროვე



ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საფრთხეების გაქარწყლება; ხელოვნური ინტელექტის დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩვენება; ქართული კულტურის პოპულარიზაცია, თანამედროვე ტექნოლოგიების მემშვეობით; თანამედროვე ტექნოლოგიების პოპულარიზაცია; ხელოვნებაში ახალი და ინოვაციური მიდგომების დანერგვა. პროექტში მონაწილეობდა 14 ახალგაზრდა.

"ახალგაზრდული ფორუმი - 2023 წლის 22 დეკემბერს, ქ.ბათუმში, სასტუმრო ლე მერიდიენ ბათუმში გაიმართა ახალგაზრდული ფორუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ ბათუმის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მოწვეული სტუმრები, აღნიშნული სფეროს წარმომადგენლები.

სამუშაო შეხვედრა წარიმართა პრეზენტაციისა და კითხვა- პასუხის ფორმატში. ახალგაზრდებმა სფეროს წარმომადგენლებისაგან მიიღეს პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. ფორუმში მონაწილეობდა 50 ახალგაზრდა."

ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ბათუმის ცენტრალურ პარკში 13, 14, 15, 17, 18 და 20 ივლისს ჩატარდა აერობიკის 6 გაკვეთილი. თითო გაკვეთილის ხანგრძლივობა შეადგენდა 1 საათს. აერობიკის გაკვეთილებში ჯამში მონაწილეობა მიიღო 50 - მა ახალგაზრდამ (42 გოგო და 8 ბიჭი). გაკვეთილები ჩატარა ფიტნეს ინსტრუქტორმა, მაია დუმბაძემ.

ლონისძიება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა" - ლონისძიების ფარგლებში 21 მარტს ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის აღნიშვნისადმი მიძღვნილი აქტივობა, რომლის ფარგლებშიც მონაწილეობა მიიღო 20-მა მოზარდმა და ახალგაზრდამ.

კრაფტ კლუბი - კრაფტ კლუბის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არმქონე ახალგაზრდები სწავლობდნენ ხელსაქმეს, ჭრა-კერვას და სხვადასხვა ხელნაკეთი ნივთების დამზადებას. პედაგოგი - მანანა გურგენიძე. კლუბის ფარგლებში ეტაპობრივად მიმდინარეობდა სასწავლო შეხვედრები. 7

ივნისის სწავლების პროცესში მონაწილეობდა 10 ახალგაზრდა, აქედან 8 გოგო, 2 ბიჭი;

17 ივნისის სწავლების პროცესში მონაწილეობდა 14 ახალგაზრდა, აქედან 10 გოგო, 4 ბიჭი;

20 ივნისის სასწავლო პროცესში მონაწილეობდა 11 ახალგაზრდა, აქედან 8 გოგო, 3 ბიჭი;

24 ივნისის სასწავლო პროცესში მონაწილეობდა 10 ახალგაზრდა, აქედან 5 გოგო, 5 ბიჭი.

ინკლუზიური სპექტაკლების დადგმა - ლონისძიების ფარგლებში განხორციელდა თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის არ მქონე ახალგაზრდების კულტურულ ცხოვრებაში ჩართვისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდში დაიდგა 3 სპექტაკლი: 9 მაისიდან 9 ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები სპექტაკლის ჯონ პატრიკის - „ყველას უყვარს ოპალი“ დადგმის მიზნით, რომლის პრემიერაც გაიმართა 9, 10 და 11 ივნისს ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიული თეატრის სცენაზე. სპექტაკლში მონაწილეობდა 7 ახალგაზრდა, 4 გოგო, 3 ბიჭი, ამათგან 4 გახლდათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი; მიმდინარე წლის 9 ივნისიდან 9 ივლისის ჩათვლით მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები სპექტაკლის „აქარნელების“ დადგმის მიზნით, რომლის პრემიერაც გაიმართა 9, 10 და 11 ივლისს ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ



მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიული თეატრის სცენაზე. სპექტაკლში მონაწილეობდა 18 ახალგაზრდა, აქედან 7 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი.

მ.წ. 28 ივნისიდან 28 ივლისის ჩათვლით მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები სპექტაკლის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“. ქვეყანაში შოვის ტრაგედიის შედეგად შექმნილი სამგლოვიარო ვითარებისა და აგრეთვე ადაპტირებული თეატრალური სივრცეების აღნიშნული პერიოდისათვის დაკავებულობის გამო, სპექტაკლის პრემიერა შედგა 2023 წლის 17 აგვისტოს, ადაპტირებულ თეატრალურ სივრცეში, კერძოდ, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიული თეატრის სცენაზე. სპექტაკლში მონაწილეობდა 20 ახალგაზრდა, აქედან 9 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი.

წლის შემაჯამებელი საანგარიშო ღონისძიება - ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა წლის მანძილზე ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის“ ფარგლებში ჩატარებული სხვადასხვა აქტივობების შედეგების შეჯამება, დაჯილდოვდნენ წლის წარმატებული ახალგაზრდები, რომელთაც გადაეცათ მადლობის სიგელები და საცურაო აუზის ერთ თვიანი აბონიმენტები. ღონისძიებას ესწრებოდა 50 ახალგაზრდა.

„შენი იდეა ბათუმს“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „ფერადი ეზოები ბავშვებსგანხორციელება აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული 200 კვ.მ. ფართობის ეზოების მოხატვა შემდეგ ლოკაციებზე:

- ქ. ბათუმი, ალ. პუშკინის ქ. N39 (კედელი);
- ქ. ბათუმი, ბესიკის ქ. N44 (კედელი);
- ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. N6-8 (კედელი);
- ქ. ბათუმი, მელიქიშვილის და ფარნავაზ მეფის ქუჩების კვეთა (კედელი);
- ქ. ბათუმი, მელიქიშვილისა და ი. ჯინჭარაძის ეზო (კედელი);
- ქ. ბათუმი, მ. ლერმონტოვის ქ. N103 (კედელი);
- ქ. ბათუმი, მ. ლერმონტოვიუს ქ. N105 (კედელი);
- ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. N2გ (კედელი);
- ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. N13ა (კედელი);
- ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. N20ა (კედელი);
- ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. N21 (ეზო);
- ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. N1 (ეზო);
- ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ. N35 (ეზო);
- ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. N32 (ეზო);
- ქ. ბათუმი, იოსებ ნონეშვილი ქ. N1 (ეზო). აღნიშნული სამუშაო შეასრულა ბათუმელმა ახალგაზრდა ქუჩის მხატვარმა იოსებ ჯორბენაძემ.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული ახალგაზრდული სივრცე; შექმნილია არაფორმალური განათლების შესაძლებლობები; მხარდაჭერილია ახალგაზრდების იდეების განხორციელება; ხელშეწყობილია ახალგაზრდების მონაწილეობა.

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 06 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 27,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 22,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 82,7%.

➤ პროგრამის აღწერა:

1) საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტენდერი ინტელექტუალური თამაშების „რა? სად? როდის?“ ფარგლებში მონაწილეებისათვის სასაჩუქრე წიგნების მოწოდებაზე; ასევე გამოცხადებული იყო ტენდერი სასაჩუქრე თასების მოწოდებაზე, მაგრამ ტენდერი არ შედგა;

2) ჩატარდა ინტელექტუალური თამაშების რა? სად? როდის? სამივე ეტაპი. პირველი ეტაპის თამაშში მონაწილეობდა ბათუმის მუნიციპალიტეტის 21 საჯარო სკოლა. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველა გუნდი შედგებოდა 6 მონაწილისაგან. საპრიზო ადგილზე გავიდა სამი გუნდი. პირველ ადგილი - „მულაზანზარი“, მეორე ადგილი - „ირიდიუმი“, მესამე ადგილი - „ჰომო დეი“.

მეორე ეტაპი ჩატარდა ორ ეტაპად (7 და 14 მაისი). თამაშში მონაწილეობდა ბათუმის მუნიციპალიტეტში არსებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისაგან შემდგარი გუნდები. პირველ ეტაპზე მონაწილეობდა 32 გუნდი, ხოლო მეორე დასკვნით ეტაპზე 29 გუნდი. თითოეული გუნდი შედგებოდა 6 წევრისაგან. საპრიზო ადგილზე გავიდა სამი გუნდი: პირველი ადგილი - „ვენი ვიდი ვიცი“, მეორე ადგილი - „კაიზერი“, მესამე ადგილი - „უცხოური გავლენის აგენტები“. მესამე ეტაპი (ღია ჩემპიონატის თამაშები და ბრენ რინგი) ჩატარდა 13 აგვისტოს. თამაშში მონაწილეობდა 16 გუნდი (ბათუმი, თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი, სამტრედია, თელავი). პირველ ადგილზე გავიდა ქუთაისის გუნდი „ინტერსტელარი; მეორე, მესამე ადგილზე გავიდა ბათუმის გუნდები „ბასმაჩი“ და „ბათუმი“. ბრენ რინგის გამარჯვებულები გახდნენ: ქუთაისის გუნდი „ინტერსტელარი“ - პირველი ადგილი; ბათუმის გუნდი - „მოვარდა გალაქტიონი“ - მეორე ადგილი; ბათუმის გუნდი „ბათევი“ - მესამე ადგილი.

„ეტალონი“ განახლებული ფორმატით ჩატარდა 26 ოქტომბერს, ბათუმის N25 საჯარო სკოლაში. მონაწილეობა მიიღო ბათუმის 29 საჯარო სკოლამ. კონკურსი ჩატარდა ქალაქ ბათუმის სკოლების მე-6, მე-7 კლასების მოსწავლეებისგან დაკომპლექტებულ გუნდებს შორის. კონკურსი აგებული იყო „ეტალონის“ პრინციპებზე შემუშავებული 20 კითხვისაგან, რომელთაგან თითოეულს თან ახლდა ოთხი სავარაუდო პასუხი. სწორი პასუხი შეფასდა 5 ქულით, არასწორი 0 ქულით, ხოლო თავის შევაკება 2 ქულით. პასუხების აღრიცხვა მოხდა „ეტალონის“ სპეციალური ტექნიკური საშუალებებითა და პროგრამით, ხოლო შედეგები იყო მეყსეული და ცნობილი კონკურსის დასრულებისთანავე. პროექტის გამარჯვებული გახდა ბათუმის 26 - ე საჯარო სკოლა.

პროექტში მონაწილე თითოეული გუნდი დაჯილდოვდა ქალაქ ბათუმის მერიის გერბით დამშვენებული სიგელით, ხოლო პირველ სამ ადგილზე გასული გუნდი - შესაბამისი დიპლომებით.

მიღწეული შედეგები:

ახალგაზრდობისთვის ხელმისაწვდომია ინტელექტუალურ და შემეცნებით პროექტებში მონაწილეობა

პრიორიტეტი: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა



ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1 466,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 253,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 85,5%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1) მედიკამენტები მიეწოდა 5899 ბენეფიციარს, კერძოდ: ბრონქული ასთმით და ქოდის მქონე 19 წლამდე ასაკის პირებს, 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირებს, შშმ პირებსა და ასაკით პენსიონერებს; ეპილექსიით დაავადებულ 18 წლის ჩათვლით ასაკის პირებს, 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირს, შშმ პირებსა და ასაკით პენსიონერებს 4 თვის განმავლობაში (დანარჩენ თვეებში 300 ლარით ფინანსდებოდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამით); პარკინსონით დაავადებულ 0-დან 100 000 ქულის მქონე პირებს, შ.შ.მ. პირებსა და ასაკით პენსიონერებს; შაქრიანი დიაბეტის მეორე ტიპით დაავადებულ 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირებს, შშმ პირებსა და ასაკით პენსიონერებს 7 თვის განმავლობაში (40 ლარით ფინანსდებოდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამით);

2) ფენილკეტონურიით დაავადებულ პირებს საკვები დანამატების შეძენის მიზნით გაეწიათ მატერიალური დახმარება.

3) 18 წლამდე ასაკის ჰომოციტინურიით, ცელიაკით, გალაქტოზემიით და მუკოვისციდოზით დაავადებულ პირებს საკვები დანამატების შეძენის მიზნით გაეწიათ მატერიალური დახმარება.

ქვეპროგრამა გათვლილი იყო - 6 827 ბენეფიციარზე, რომელთაგან მომსახურება მიეწოდა - 5 936 ბენეფიციარს.

➤ მიღწეული შედეგები:

ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით.

ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია (პროგრამული კოდი 06 01 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 113,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 98,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86,7%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ამოქმედებულია 4 ღონისძიება, მათ შორის: ქ. ბათუმში რეგისტრირებული 30-დან 40 წლამდე ქალებისათვის მამოლოგის კონსულტაცია და



მამოგრავია - ისარგებლა - 100-მა ბენეფიციარმა; 25-დან 30 წლამდე ასაკის ქალებისათვის სარძევე ჯირკვლის ელასტოგრაფია ჩაუტარდა 35 ბენეფიციარს; ქ. ბათუმში რეგისტრირებული ქალებისათვის საშვილოსნოს, საკვერცხეების, მკერდის, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიებით ონკო-მარკერებით გამოკვლევა ჩაუტარდა 800 ბენეფიციარს - 2 500 ონკომარკერი; ფილტვის კიბოს სქრინინგი ჩაუტარდა 1 305 ბენეფიციარს. აღნიშნული ქვეპროგრამა წლის მანძილზე გათვლილი იყო 2 440 ბენეფიციარზე, ხოლო მომსახურება გაეწია 2 240 ბენეფიციარს.

ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 151,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 131,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 87,2%.

➤ პროგრამის აღწერა:

რეაბილიტაციის პროცესის ეს ნაწილი გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციას ან რეინტეგრაციას საზოგადოებასთან, რითიც ეხმარება მას მოერგოს ოჯახისა და საზოგადოების მოთხოვნებს. აგრეთვე, ამცირებს ნებისმიერ ეკონომიკურ თუ სოციალურ ხელისშემშლელ ფაქტორებს, ბარიერებს, რამაც, შესაძლოა დააბრკოლოს რეაბილიტაციის პროცესი. აღნიშნული ქვეპროგრამა წლის მანძილზე გათვალისწინებული იყო 35 ბენეფიციარზე და მომსახურებით ისარგებლა 35-მაცე ბენეფიციარმა, რომელთაც გაეწიათ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, მათ შორის ერგოთერაპია, არტთერაპია, ოკუპაციური თერაპია, ფსიქოლოგიური დახმარება და პედაგოგის მომსახურება.

მიღწეული შედეგები:

ფსიქიური პრობლემების მქონე პირთათვის ჩატარდა სარეაბილიტაციო ღონისძიებები.

მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 215,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 212,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,6%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურებით სარგებლობენ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის უფასო მუნიციპალური სასადილოების ბენეფიციარები და ასევე ომის ვეტერანები, ასაკით პენსიონერი, ომში და ომის შემდგომ დაინვალიდებული პირები. საანგარიშო პერიოდში სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურებით ისარგებლა 1047-მა ბენეფიციარმა.



➤ **მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის მიწოდებულია სტომატოლოგიური, ორთოდონტიული და ორთოპედიული მომსახურება.

შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 828,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 790,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,4%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს შშმ პირებითა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის ბავშვთა, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების ბენეფიციართა დასვენებას კურორტზე. საანგარიშო პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა - 1411-მა ბენეფიციარმა.

მიღწეული შედეგები:

ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის ჩატარებულია კლიმატოთერაპიისა და რეაბილიტაციის 12 დღიანი კურსი.

ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3 347,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 280,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილებს ჩაუტარდათ სმენის სქრინინგული გამოკვლევა; 2-დან 10 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს, 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებს, აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე 2-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებს ჩაუტარდათ რეაბილიტაციის კურსი; თანდაყოლილი ამოვარდნილობის მქონე 1-წლამდე ბავშვებში მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ახალშობილებში ჩატარებულია აუდიოლოგიური სქრინინგი. განხორციელებულია შესაბამისი ასაკის განვითარების შეფერხების და სმენის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია. ორთოპედიული პათოლოგიის მქონე 1 წლამდე ასაკის ბავშვებში ჩატარებულია ამბულატორიული მკურნალობის ერთი კურსი



ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 07)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 201,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 171,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 85,2%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ბათუმში რეგისტრირებული ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთათვის და ლეიკემიით დაავადებული 18 წლის ჩათვლით პირებისათვის გაიცა ყოველთვიური მატერიალური დახმარება. ჯამში, საშუალოდ 141 ბენეფიციარზე.

➤ მიღწეული შედეგები:

ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით.

მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 08)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 960,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 711,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 74,0%. მოქალაქეთა დაბალი მომართვიანობიდან გამომდინარე ვერ მოხდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო 6 ღონისძიება, მაგრამ 2023 მარტიდან ქვეპროგრამის ფარგლებში მოქმედებდა 4 ღონისძიება, ვინაიდან ღვიძლის ტრანსპლანტაცია და ძვლის ტვინის გადანერგვა ხორციელდებოდა აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ.

2023 წელს ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება გაეწია 1084 ბენეფიციარს, ძვლის ტვინის გადანერგვა - 6 ბენეფიციარს, კორონარული არტერიებისა და სხვა ანგიოგრაფიული გამოკვლევები - 68 ბენეფიციარს, მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევების დაფინანსება - 201 ბენეფიციარს. ანგიოგრაფიის დაფინანსება - 6 ბენეფიციარს.

➤ მიღწეული შედეგები:

განხორციელდა მკურნალობის თანადაფინანსება. მატერიალური დახმარება გაწეულია ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის.

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 10)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:



დაზუსტებული გეგმა - 187,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 187,2 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის ხარისხიანი და მაღალკვალიფიციური ბინაზე მომსახურება. მოხდა დაავადების რეციდივებისა და რეჰოსპიტალიზაციის შემცირება. ბენეფიციარებს მიეწოდათ მედიკამენტები. ქვეპროგრამა გათვლილი იყო 100 ბენეფიციარზე, რომლის ფარგლებში სრულად მოხდა ბენეფიციართა რაოდენობის შევსება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია ბინაზე მომსახურება. შემცირებულია რეჰოსპიტალიზაციის შემთხვევათა რაოდენობა.

სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06 02 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 832,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 607,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 73,0%. მოქალაქეთა დაბალი მომართვიანობიდან გამომდინარე ვერ მოხდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 1. გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაუქურამდე - მომსახურეობა გაეწია 24 ბენეფიციარს. 2. ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალ დაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება - ღონისძიების ფარგლებში ყოველთვიურად 5 კგ თხევადი აირის ტალონი გადაეცა 120-მდე ვეტერანს, მათთან გათანაბრებულ პირს, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს და მარჩენალ დაკარგულებს. 3. დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის დაფარვა განხორციელდა 15414 პირზე. 4. წყლისა და კანალიზაციის გადასახადის დაფარვა - განხორციელდა საშუალოდ - 9599 ბენეფიციარზე 5. მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების, ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების ყოველთვიურად სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა განხორციელდა - საშუალოდ 493 ბენეფიციარზე ყოველთვიურად.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან ძირითადი კომუნალური სერვისებით.

მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 02)



➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3 524,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 639,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 74,9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში სადღესასწაულო დღეებში (15 თებერვალი, 9 მაისი, 27 სექტემბერი და ახალი წელი) 87 ვეტერანს (ომის მონაწილეები და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები) გაეწია ფულადი მატერიალური დახმარება. 2. ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწია 76 - (0-100.000 ქულის მქონე) სოც. დაუცველ ოჯახს. 3. ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 53 ოჯახს. 4. ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება არ შესრულდა იმის გამო, რომ სუბსიდირების მიზნით ბენეფიციარებს არ მოუმართოთ. 5. სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახების, უდემამო ბავშვებისა და მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა - საშუალოდ ყოველთვიური მატერიალური დახმარება გაეწია 2479 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 3 შვილიან, 4 შვილიან, 5 და მეტ შვილიან ოჯახს, უდემამო ბავშვებს, მარტოხელა მშობელს (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა); 30 წლის ასაკის ჩათვლით შშმ მქონე მოვლის საჭიროების მქონე პირებს, სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ქულის მქონე) ყოველ ერთ წლამდე ასაკის ბავშვს; სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ქულის მქონე) ყოველ ერთი წლიდან ორ წლამდე ასაკის ბავშვს. კომუნალური გადასახადების სუბსიდირება გაეწია 879 პირი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოწყვლადი სოციალური კატეგორიების წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით.

მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06 02 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3 215,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 131,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,4%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

სოციალურად დაუცველი 0-დან 70000 ქულის მქონე პირების, მასწავლებლების, მოსწავლეების, სტუდენტების, შშმ პირების, პენსიონრების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების მუნიციპალურ ტრანსპორტზე მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობაზე მგზავრობის საფასურის სუბსიდირების ქვეპროგრამა. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, 2023 წლის მონაცემებით, საშუალოდ 39289 ბენეფიციარმა



ისარგებლა მუნიციპალური ტრანსპორტის საფასურის 100%-იანი შეღავათით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

საზოგადოების განსაზღვრული კატეგორიებისათვის უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი მუნიციპალური სატრანსპორტო მომსახურება.

მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 430,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 320,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 92,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა ზრუნვა მუნიციპალიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. განსაკუთრებით იმ პირებისათვის, რომლებიც დარჩენილი არიან ყოველგვარი მოვლა-პატრონობის გარეშე. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი უკვე წლების განმავლობაში ახორციელებს უპოვარ და მზრუნველობამოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსებას, რომელიც ითვალისწინებს ამ კატეგორიის მოქალაქეების თავშესაფრით, შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, საყოფაცხოვრებო პირობებითა და კვებით უზრუნველყოფას.

გარდა ამისა, გათვალისწინებულია სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდება სახლის პირობებში იმ ბენეფიციარებზე, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება. კერძოდ, მომსახურება ეწევა ქრონიკულად დაავადებულ, ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე ან/და საწოლს მიჯაჭვულ ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 0-დან 100 000-მდე ქულის მქონე ბენეფიციარებს, შშმ პირებს, ასაკით პენსიონერებს. ქვეპროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, მზრუნველობას მოკლებულ და ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება ღონისძიებების ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა 234-მა ბენეფიციარმა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მზრუნველობა-მოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები .

მუნიციპალური უფასო სასადილო (პროგრამული კოდი 06 02 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 7 137,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 6 800,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

არსებული ქვეპროგრამა მოიცავს სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფას. აღნიშნული მომსახურების გაწევა ხორციელდება 6



მუნიციპალური სასადილოს საშუალებით. საანგარიშო პერიოდში სააგენტომ მომსახურება გაუწია 7650 ბენეფიციარს. მომსახურებით ისარგებლეს იმ მოქალაქეებმა, რომლებიც მონაწილეობენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“ და მინიჭებული აქვთ 0-დან 65000 ჩათვლით სარეიტინგო ქულა. განხორციელდა ქვეპროგრამით გათვალისწინებული იმ მარტოხელა ბენეფიციართა ბინაზე მომსახურება, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ გადაადგილებას. საახალწლოდ, სააგენტოს ყველა ბენეფიციარს დაურიგდა სხვადასხვა სასურსათო პროდუქტებისა და ტკბილეულისაგან შემდგარი საახალწლო ნობათი.

უფასო მუნიციპალური სასადილოების გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, განხორციელდა ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და N1, N2, N4 და N5 სასადილოებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

7650 ბენეფიციარზე ყოველთვიურად გაიცა სასურსათო კალათა.

დროებითი ღამის თავშესაფარი (პროგრამული კოდი 06 02 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 768,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 407,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 53,0%. საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო რეაბილიტირებული თავშესაფრის შენობის ავეჯითა და სხვა ინვენტარით აღჭურვა, ვინაიდან დროებითი ღამის თავშესაფრის შენობის რეაბილიტაცია არ დასრულებულა, ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნების სრული ათვისება ვერ მოხდა.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა თავშესაფრის 50 ბენეფიციარის მომსახურება: ღამის გათევა, ორჯერადი კვებით (საუზმე, ვახშამი) და სუფთა მეორადი ტანსაცმლით უზრუნველყოფა. ყოველდღიურად მიმდინარეობდა რეგულაციებით გათვალისწინებული სამუშაოები: შენობის და ავეჯის დასუფთავება, რეცხვა, დეზინფექცია. დეზინსექცია და დერატიზაცია. ბენეფიციარები უზრუნველყოფილი იყვნენ ფარმაცევტული და სამედიცინო მოწყობილობებით. საანგარიშო პერიოდში ბენეფიციარებს გაეწიათ სამედიცინო მომსახურება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში. ურეხის დროებითი ღამის თავშესაფარში მიმდინარე სრული რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის დასრულებამდე, თავშესაფრის ბენეფიციარები განთავსებულნი არიან ორ ლოკაციაზე: მამია ვარშანიძის ქ. N183- ში მდებარე (25 ბენეფიციარზე) და მიხეილ შარაშიძის ქ. N81- ში მდებარე შენობებში (25 ბენეფიციარზე), სადაც მიეწოდებათ პროგრამით გათვალისწინებული ყველა სერვისი. საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო რეაბილიტირებული თავშესაფრის შენობის ავეჯითა და სხვა ინვენტარით აღჭურვა, რომელიც არ განხორციელდა, ვინაიდან დროებითი ღამის თავშესაფრის შენობის რეაბილიტაცია არ დასრულებულა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

დროებითი ღამის თავშესაფარი ფუნქციონირებს შეუფერხებლად.



საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 02 07)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 140,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 137,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,9%.

➤ პროგრამის აღწერა:

დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის დაფინანსება - „სოციალური უზრუნველყოფის“ პროგრამის „საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამის ფარგლებში იჯარის, საკანცელარიო და კომუნალური ხარჯების დაფარვა.

ა(ა)იპ იალქანის მხარდაჭერის ღონისძიება - პროგრამის ფარგლებში კომუნალური, მიმდინარე აქტივობების და საოფისე ხარჯების უზრუნველყოფა.

ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება „ომგადახდილის,, ქალაქ ბათუმის ორგანიზაციაზე დახმარების გაწევა - 2023 წლის საოფისე, საკანცელარიო, კომუნალური ხარჯების დაფარვა.

ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციაზე დახმარების გაწევა - 2023 წლის საოფისე, საკანცელარიო, კომუნალური ხარჯების დაფარვა.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევა, კერძოდ: სხვადასხვა სოციალური ღონისძიებები (ექსკურსია,შემოქმედებითი საღამოები, ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა და სხვა) გაცვლითი ვიზიტები ბენეფიციარების, თანამშრომლებისა და მოხალისეებისათვის. მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა მათ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით. პირველი დახმარების სწავლების ტრენინგებისა და სიმულაციური ვარჯიშების ჩატარება სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებში. მართვადი დაავადებისაგან იმუნიზაციის გზით ქვეყნის მოსახლეობის ეფექტური დაცვის მიზნით მოხალისეთა გუნდის ჩამოყალიბება და გადამზადება სხვადასხვა თემატური ტრენინგების ჩატარების გზით, საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალის შემუშავება და გავრცელება თემის წევრებს შორის, ასევე სესიების ჩატარება. სისხლის ნებაყოფლობითი უსაფრთხო, უანგარო დონაციის პროპაგანდისა და ქვეყანაში უანგარო სისხლის დონაციის წილის გაზრდის მიზნით მოხალისეთა გუნდის ჩამოყალიბება და გადამზადება. საქმიანობათა დღის ცენტრის მიმდინარე ხარჯები. სატრანსპორტო ხარჯები.

ბათუმის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის მხარდაჭერის ღონისძიება - 2023 წლის საოფისე, საკანცელარიო, კომუნალური ხარჯების დაფარვა.

შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის სუბსიდირება (5 პირისათვის) - ცენტრის ბენეფიციარებს 24 საათიან რეჟიმში მიეწოდებოდათ სხვადასხვა სერვისი, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო აქტივობებს, ფსიქოლოგის მომსახურებას, კვებას, პირადი ჰიგიენის დაცვას და სხვა.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევა , უსინათლოთა და ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა. შშმ პირთა



საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის სუბსიდირება

ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 08)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 3 525,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 362,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი 95,4%.

➤ პროგრამის აღწერა:

აღნიშნულ პროგრამაში კლასიფიცირდებოდა სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეებზე გამოყოფილი ერთჯერადი მატერიალური დახმარებები.

მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა-უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 09)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 219,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 103,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 47,0%. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო საშემე მერქნის შესყიდვა, რომელიც ვერ განხორციელდა, მომწოდებელმა ორგანიზაციამ ვერ უზრუნველყო სამერქნე მასალის მოწოდება.

პროგრამის აღწერა:

აღნიშნული ქვეპროგრამის მიზანია მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის, უპირატესად სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, სოციალური პირობების გაუმჯობესება და მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდა ბენეფიციართა ოჯახების მოკვლევა და საჭიროებების იდენტიფიკაცია. სამშენებლო მასალების შესაძენად და სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად გაფორმდა ხელშეკრულებები შემსყიდველ ორგანიზაციებთან და გაიცა 52 სამშენებლო ვაუჩერი.

➤ მიღწეული შედეგები:

მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები და შექმნილია მინიმალური საცხოვრებელი პირობები.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 10)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 250,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 224,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 89,8%.

➤ პროგრამის აღწერა:



ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 2 ღონისძიება: 1. პერსონალური ასისტენტების მიერ სერვისის მიწოდება ეტლით მოსარგებლე შშმ პირებისათვის - ისარგებლა 11 პირმა. 2. მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლო პირების და ეტლით მოსარგებლე შშმ პირების ასისტენტით მომსახურება - ისარგებლა 36 პირმა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლო პირები უზრუნველყოფილი არიან გამცილებლის სერვისით

სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა (პროგრამული კოდი 06 03)

ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი (პროგრამული კოდი 06 03 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 105,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 105,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულია: ჩამონარეცხების აღება-6400; კალორაჟის განსაზღვრა -210; სტომატოლოგიური კლინიკების სტერილობა--180; აუზის წყლის ქიმურ ბაქტერიოლოგიური კვლევა-26; განათება-120; სადეზინფექციო საშუალებები--32; მუნიციპალურ სასადილოებში კვების პროდუქტები-96.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია ქვეპროგრამით განსაზღვრული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და ეპიდემიური სიტუაციის მონიტორინგის ღონისძიებები.

დეზინსექცია დერატიზაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 03 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 445,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 445,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულია: ქალაქის ტერიტორიაზე (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების) დერატიზაცია - 957600 კვ.მ; მრავალსართულიანი (3 სართული და მეტი) სახლებისა და სადარბაზოების დეზინსექცია (232,2 ჰა); იტალიური ეზოებისა და სარდაფების დეზინსექცია 292500 კვ.მ.; ქალაქის ტერიტორიის (ღია არხები, დაჭაობებული ტერიტორიები) დეზინსექცია -24 ჰა; ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექცია (3000ც); ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით ტერიტორიის დამუშავება სულ-70000 კვ.მ; კრაზანების



(ბუდეს) საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება (სულ-90 ერთეული).

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია დერატიზაცია-დეზინსექციის ღონისძიებები.

უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 03 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 400,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 400,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: ცხოველების (ზრდასრული ძაღლი, კატა) დაჭერა და ტრანსპორტირება ვეტერინალურ კლინიკამდე ავტომანქანით.

სტერილიზაცია, კასტრაცია, კვება, ვაქცინაცია, დაბირკვა და ევთანაზია, დაავადებული და ტრავმირებული ცხოველის მკურნალობა მ/მ ოპერაციული მკურნალობა სულ -2600; 2. ბუნებრივ არეალში გაშვებული დაბირკული გასტერილებული ცხოველების ეტაპობრივი გამოყვანა ქალაქის ტერიტორიიდან და ტრანსპორტირება ვეტერინალურ კლინიკაში რევაქცინაციასთან დაკავშირებული პროცედურების ჩატარების მიზნით.

ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ცხოველების ლემის (სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული სიკვდილით) დროული გამოყვანა სპეციალური ტრანსპორტით და კრემაცია (კრემატორიუმში) სულ - 2000.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მაწანწალა ცხოველების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები განხორციელებულია.

პრიორიტეტი: ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება

ქალაქის ურბანული განვითარება (პროგრამული კოდი 07 01)

ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 07 01 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 597,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 336,9 ათასი ლარი; პროცენტული მაჩვენებელი - 21,1%. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში კონტრაქტორი კომპანიის მიერ წარმოდგენილ იქნა ეტაპი (4,2) - გეგმების მონახაზების შეჯერებული ვერსია, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს კონცეფციას, რის საფუძველზეც უნდა შემუშავდეს სივრცითი განვითარების და განაშენიანების მართვის დოკუმენტის საბოლოო გეგმა, აღნიშნული გეგმა საჭიროებს სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ჩართულობას და მათ მოსაზრება/დასკვნას. ამ ეტაპის მიღების პროცესში.



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მიერ 4.2 ეტაპის დოკუმენტაცია გადაიგზავნა კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო უწყებებში, საიდანაც ელოდება რეკომენდაციებს. გარემოებების გათვალისწინებით ვერ მოხდა გეგმით გათვალისწინებული ასიგნების ათვისება.

პროგრამის აღწერა:

ქალაქის დასახლებული ტერიტორიების გეგმაზომიერი განაშენიანებისა და რაციონალური გამოყენების, ქალაქის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ქალაქს გააჩნდეს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს ერთის მხრივ ქალაქის, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ორგანიზმის სივრცით-არქიტექტურულ გარემოს, განაშენიანების ფორმებისა და იერსახის შენარჩუნებასა და განვითარებას, ასევე, მეორეს მხრივ, მისი ეკონომიკური პოტენციალის ზრდას, რაც განპირობებული იქნება ქალაქის ფუნქციონალური პროფილის კვლევისა და შესაბამისი პოტენციალის მქონე დარგების განვითარებით, რაც ასევე თავის მხრივ შეამცირებს რისკს ბათუმი გახდეს მონოფუნქციური - ეკონომიკის ერთ სექტორზე, კერძოდ, ტურიზმზე დამოკიდებული ქალაქი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2021 წლის 16 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება N88 „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“, რომლითაც ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ დაევალა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების და განაშენიანების მართვის დაგეგმვა და სათანადო შედეგების, შუალედური და საბოლოო დოკუმენტების სახით მიწოდება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტი ამ ეტაპზე არის 2021 წლის 16 აგვისტოს N88 ხელშეკრულებით გათვალისწინებული 4.2 ეტაპის პროცესში. მიმწოდებელი კომპანიის ანუ ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ მოწოდებული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 4.2 ეტაპი - გეგმების მონახაზების შეჯერებული ვერსია, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს კონცეფციას, რის საფუძველზეც უნდა შემუშავდეს სივრცითი განვითარების და განაშენიანების მართვის დოკუმენტის საბოლოო გეგმა.

წარმოებაში არსებული 4.2 ეტაპი- გეგმების მონახაზების ეტაპის შეჯერებული ვერსია კანონმდებლობის შესაბამისად საჭიროებს „სხვა ადმინისტრაციული ორგანოების“ ჩართულობას და მათ მოსაზრება/დასკვნას ამ ეტაპის მიღების პროცესში. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მიერ 4.2 ეტაპის დოკუმენტაცია გადაიგზავნა კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო უწყებებში, საიდანაც ელოდება რეკომენდაციებს.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 07 01 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 10,0 ათასი ლარი;

➤ პროგრამის აღწერა:



ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო გარდამავალი ღონისძიებების დაფინანსება (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისას მიმწოდებელ კომპანიებს დაუკავდათ საგარანტიო თანხები, რომელთა ანაზღაურება მოხდება პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების შემდგომ).

ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 07 02)

მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირება (პროგრამული კოდი 07 02 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური;

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 196,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 73,3 ათასი ლარი; პროცენტული მაჩვენებელი - 37,3%. საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო ინტერაქციული სივრცის სარემონტო სამუშაოების დაწყება, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ ამ სივრცის ფუნქციური კონცეფციის და დიზაინის მომზადების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერი ჩაიშალა და ხელშეკრულების გაფორმება მოხდა განმეორებითი ტენდერის საფუძველზე, რის გამოც დარჩენილი პერიოდიდან გამომდინარე 2023 წელს ვერ მოხდა დამტკიცებული ასიგნების სრულად ათვისება.

➤ პროგრამის აღწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტმა 2022 წლის დასაწყისში გაიმარჯვა გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით მიმდინარე ევროკავშირის რეგიონული ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) მეორე ფაზის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელი“, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელის შექმნასა და დანერგვას. მოპოვებული გრანტის - 200000,0 ევროს მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემა მიმდინარეობს ეტაპობრივად.

ქალაქის ხედვის და იდენტიფიცირებული კომპლექსური გამოწვევების (მაგ. უმუშევრობა, არადივერსიფიცირებული შრომის ბაზარი, კა და ა.შ.) გათვალისწინებით, საერთაშორისო/ადგილობრივი ექსპერტების და დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრის ჩართულობით გადაწყდა ტრანსფორმაციის პორტფელის (სისტემური მიდგომის და მეთოდების) შემუშავება და დანერგვა ბათუმში სტარტაპ ეკოსისტემის განსავითარებლად. რა მიზნითაც აქტივობების განხორციელება დაიგეგმა შემდეგი მიმართულებებით: ახალგაზრდებში დამკვიდრებული ნარატივების (სტერეოტიპების) შეცვლა; საინფორმაციო ჰაბის შექმნა; ქსელური კავშირების შექმნა; ახალგაზრდული სივრცის შექმნა (შერჩეული ფართი); მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების გაძლიერება.

საანგარიშო წელს პროექტის ფარგლებში:

• გაიმართა ბათუმის მერიის პარტნიორობით განხორციელებული ბათუმის ტექპარკის პრე-აქსელერაციის პროგრამის დემო დღე, რომელზეც პროგრამის მონაწილე ადგილობრივმა სტარტაპებმა წარადგინეს თავიანთი სტარტაპ იდეები და პროექტები. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამის მონაწილე რამდენიმე სტარტაპმა შემდგომში მოიპოვა GITA-ს 25000 ლარიანი გრანტი თავიანთი სტარტაპ იდეების განსახორციელებლად;



• მომზადდა კომუნიკაციების სტრატეგია საინფორმაციო ჰაბისთვის, შეიქმნა ვებ-გვერდის სატესტო ვერსია;

• ბათუმის მერიის ინიციატივით ქალაქის ცენტრში გამოიყო ფართი ახალი ინტერაქციული (სტარტაპ) სივრცის მოსაწყობად, საანგარიშო პერიოდში მომზადდა ამ სივრცის ფუნქციური კონცეფცია, დიზაინი, ბრენდინგის დოკუმენტები, ოპერაციული და სამუშაო გეგმები, სივრცის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადდა ტენდერი, რომელიც დასრულდება 2024 წლის დასაწყისში; • ბათუმში, ბათუმის მერიის პარტნიორობით (ძირითადი პარტნიორი) გაიმართა ორ დღიანი სტარტაპ სამიტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სილიკონ ველის წამყვანმა ინვესტორებმა და მსოფლიოში აღიარებულმა ტექ-ლიდერებმა. "

სამიტის ფარგლებში ბათუმმა მეორედ უმასპინძლა სტარტაპების მსოფლიო თასის ეროვნულ ჩემპიონატს რჩეულ ქართულ სტარტაპებს შორის, გამარჯვებულმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარ ფინალში, შერჩეულ იქნა მსოფლიოს 10 საუკეთესო სტარტაპს შორის და მონაწილეობა მიიღო ფინალურ ღონისძიებაში, სან ფრანცისკოში. სამიტის მიმართ ინტერესი იყო საკმაოდ მაღალი (სამასამდე მონაწილე), მათ შორის ადგილობრივი სტარტაპით დაინტერესებული პირების. იგი მნიშვნელოვანი იყო კავშირების დამყარების ("ნეთვორქინგი"), სტარტაპისა და AI ტექნოლოგიების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და დაინტერესების თვალსაზრისით. პარალელურად გაიმართა ახალგაზრდების შეხვედრა ლუკა კოვალსკისთან (ორაკლის კორპორაციული ლიდერი და UC ბერკლის ბლოკჩეინ ლაბორატორიის დირექტორი);

• გაიმართა ევროკავშირის ელჩისა და ადგილობრივი სტარტაპერების შეხვედრა, რომლის ფარგლებში სტარტაპერებს მიეცათ შესაძლებლობა თავიანთი საქმიანობის წარმოდგენისა და გაცნობისა. ბათუმში ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამდივნოს ინიციატივის "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" (M4EG) ფარგლებში რეგიონული ურბანული ფორუმი "მომავლის ქალაქები" ("Future-Fit Cities") გაიმართა, რომელშიც 200-ზე მეტი მონაწილე იყო ჩართული. ფორუმის მიზანი იყო ქალაქების განვითარების ახალი გზების გამონახვა თანამედროვეობის გამოწვევების გათვალისწინებით; "

• ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა ტურიზმის ფესტივალი, "ტურისტერი". ფესტივალის თემატიკა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა, როგორცაა: ციფრული ტექნოლოგიები ტურიზმში, ტურისტის ქცევის ცვლილება, ტურიზმის მარკეტინგი და მონაცემთა ანალიტიკა ტურიზმში. ფესტივალის ფარგლებში ადგილობრივი მეწარმეებისათვის გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე - "მეწარმეობას და ინოვაციებს ქართულ საზღვაო ეკონომიკაში";

• ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის/M4EG“, ურბანული ტრანსფორმაციის პორტფელის ფარგლებში ბათუმის მერიისა და USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით გაიმართა სტარტაპების საინვესტიციო ფორუმი ("Startup Investment Forum – Batumi") , რომლის მიზანიც იყო რეგიონში სტარტაპ ეკოსისტემის განვითარება და კერძო სექტორის დაინტერესება.

საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო ასევე ინტერაქციული სივრცის სარემონტო სამუშაოების დაწყება, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ ამ სივრცის ფუნქციური კონცეფციის და დიზაინის მომზადების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერი ჩაიშალა და ხელშეკრულების გაფორმება მოხდა განმეორებითი ტენდერის საფუძველზე,



რამაც განაპირობა სივრცის კონცეფციის და დიზაინის და შემდგომ სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების დაგვიანებით მომზადება, შესაბამისად სარემონტო სამუშაოების შესყიდვისთვისაც ტენდერი გვიან გამოცხადდა. ამ სამუშაოების შესრულება მოსალოდნელია 2024 წლის პირველ კვარტალში.

მიღწეული შედეგები:

ბათუმმა უმასპინძლა სტარტაპ სამიტს, რომელშიც სილიკონ ველის წამყვან ვენჩურული კაპიტალის ინვესტორებმა და საერთაშორისო ტექ-ლიდერებმა განიხილეს თემები ხელოვნურ ინტელექტზე, ინვესტიციებსა და სტარტაპების განვითარებაზე. 9 ივნისს ბათუმში მყოფი ევროკავშირის ელჩთან მოხდა განხილვა ბათუმში ახალი სტარტაპ ეკოსისტემის შექმნის მნიშვნელობისა და „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) ინიციატივის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებისა. ოქტომბერში ბათუმში გამართულ ფორუმში რეგიონული ურბანული ფორუმი მომავლის ქალაქები/Future-Fit Cities მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნის 200-მდე წარმომადგენელმა, ხოლო მუნიციპალიტეტებისათვის გაიმართა სამუშაო შეხვედრა, ევროკავშირის ელჩის ჩართულობით და განხორციელდა პორტფელის ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

პრიორიტეტი: მუნიციპალური სერვისების განვითარება 08 00

მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 08 01)

ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება (პროგრამული კოდი 08 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 42,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 42,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,7%.

➤ პროგრამის აღწერა:

"მუნიციპალური სერვისების სამსახურის IT მიმართულების სპეციალისტები ემსახურებიან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სამ ძირითად შენობას (ლ. ასათიანის ქ. N25, მ. ლერმონტოვის ქ. N90ა და სულხან-საბა ორბელიანის ქ. N10), მუნიციპალური სერვისების სააგენტოს ცენტრალურ ოფისსა და 14 ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრს, ასევე მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ სხვა ორგანიზაციებს. ივნისის თვეში მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ ქ.ბათუმის მერიის ძირითად შენობაში (ლ.ასათიანის N25) დაასრულა მუშაობა რიგის მართვის სისტემის მოწყობაზე. მისი საშუალებით, მომხმარებელი, სერვისცენტრში შემოსვლისთანავე იღებს რიგის ნომერს, რის შემდეგაც მოსაცდელში კომფორტულად ელოდება საკუთარი ნომრის საინფორმაციო ტაბლოზე ასახვას. სურვილის შემთხვევაში მომხმარებელს რიგის დისტანციურად დაჯავშნის შესაძლებლობაც აქვს, რის შემდეგაც, სერვისცენტრში მოსვლისთანავე აიღებს პრიორიტეტულ ბილეთს და მიიღებს მომსახურებას რიგის მართვის სისტემით პირველივე გათავისუფლებულ ოპერატორთან.

მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაცია - მუნიციპალური სერვისების სამსახური მუშაობს შემდეგი მიმართულებით: ქ. ბათუმის მერიაში არსებული ბიზნესპროცესების ანალიზი; პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა; ერთიანი



ელექტრონული სერვისებისა და გეო-სერვისების პორტალის შექმნა. სამივე მიმართულებით გადაიდგა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები და შეიქმნა კონკრეტული პროდუქტები."

"აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში რიგი ნაბიჯები გადაიდგა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მეტი ჩართულობისათვის მუნიციპალურ საქმიანობაში. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა (ბმა) წარმოადგენს მრავალბინიან სახლში მდებარე საცხოვრებელი და არა საცხოვრებელი, მათ შორის კომერციული მიზნებისთვის გამოყენებული ფართების მესაკუთრეთა გაერთიანებას. ამხანაგობის ფუნქციაა საერთო ქონების, საკუთრების მოვლა-პატრონობა და განვითარება. 2019 წელს ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით იქნა მიღებული გადაწყვეტილება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ელექტრონული პორტალის შექმნის და აღრიცხვაზე დაყენების თაობაზე. 2022 წელს მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ შეიქმნა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ელექტრონული პორტალი (Bma.batumi.gov.ge), რომლის ძირითადი მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებმა ინდივიდუალური ვებ-გვერდიდან შეძლონ ბათუმის მუნიციპალური მერიის პროგრამებში ჩართვა და მიიღონ წვდომა სააღრიცხვო ბარათთან. 2023 წლის მონაცემებით, პორტალზე დასარეგისტრირებლად შემოსულია 108 განაცხადი, აქედან 71 განაცხადმა სრულად დააკმაყოფილა კანონით განსაზღვრული მოთხოვნები და დარეგისტრირდა, 6 განაცხადი იმყოფება პრეაქტიულ რეჟიმში, რომელიც კანონით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას სრულად აკმაყოფილებს, მაგრამ საცხოვრებელი კორპუსი ან არ არის მიღებული ექსპლუატაციაში ან არ აქვს შევსებული აქტივების შესახებ ინფორმაცია.

2023 წლის პირველ ივნისს გაფორმდა მემორანდუმი არასამთავრობო ორგანიზაცია „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან“. მემორანდუმი ითვალისწინებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების (Bma.batumi.gov.ge) პორტალის განვითარებას და მოქალაქეებში ცნობიერების ამაღლებას. აქტიურად მიმდინარეობს ასევე მერიის ახალ ვებ-გვერდზე (Batumi.gov.ge) მუშაობა. ამ მომენტისთვის ხორციელდება ვებ-გვერდის ტექნიკურად გამართვა და მერიის სამსახურების მიერ ხდება ინფორმაციის განთავსება, რის დასრულების შედეგადაც მოხდება ძველი ვებ-გვერდის (Batumi.ge) ჩანაცვლება.

აქტიურად მიმდინარეობს არსებულ აპლიკაციაზე (fix.batumi.ge) მუშაობა, ყოველდღიურად კეთდება პრობლემების ანალიზი და ეგზავნება შესაბამის სამსახურებს (Fix.baTumi.ge). აპლიკაციით შესაძლებელია ინფრასტრუქტურული და სხვა პრობლემების შეტყობინების (ინფორმაციის) მობილური გაცვლა, სტატისტიკის წარმოება და სამუშაო პროცესების ეფექტური კონტროლი. აპლიკაციამ უნდა ჩაანაცვლოს სხვადასხვა (whatsapp, viber, messenger) ჩატები. დღეის მონაცემებით, აპლიკაციაზე დარეგისტრირებულია 12823 პრობლემური საკითხი, აქედან შესრულებულია 8743, მიმდინარეობს მუშაობა 2220, შეწყვეტილია 1446. აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ბათუმში მუნიციპალური ინსპექციის ვებ-გვერდზე www.inspection.batumi.gov.ge, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას მისცემს ვებ-გვერდიდან მარტივად გადაიხადონ ჯარიმები.

ივნისის თვეში მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ იქნა შემუშავებული ახალი სერვისი ბათუმის ავტოტრანსპორტისთვის რომელიც მოიცავს მომხმარებლის მიერ ავტომობილების პარკირების საშვის შეძენას. ასევე შეიქმნა ახალი ვებ გვერდი www.batumitransport.ge, საიდანაც მომხმარებლებს შეძლებათ ავტომობილის პარკირების საშვების შეძენა ვებ-გვერდიდან, ნებისმიერი ბანკის როგორც სწრაფი ჩარიცხვის აპარატებიდან ასევე ოპერატორებიდან."



საანგარიშო პერიოდში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ძირითად შენობებში შეიცვალა საოფისე ტექნიკა: ლუკა ასათიანის ქ. N25-ში არსებულ შენობაში ჩანაცვლდა 29 კომპიუტერი და 10 პრინტერი, ორბელიანის ქ. N10-ში არსებულ შენობაში ჩანაცვლდა 10 კომპიუტერი და 2 პრინტერი, ხოლო ლერმონტოვის ქ. N90-ში არსებულ შენობაში შეიცვალა 25 კომპიუტერი და 17 პრინტერი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ელექტრონული მომსახურების სისტემა გაუმჯობესებულია.

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო (პროგრამული კოდი 08 01 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3 860,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 778,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

